

o. ສູນເວລີໂມງ

ສະບັບອຸປະກອດ
ໜັດຕະຫຼາດ
ສະບັບອຸປະກອດ



0401 ზურაბიშვილი

2007
ქართველი ფილიალი
ა 3 0 6 1
„კესალო და ეთერი“



ტექნიკური და სამეცნიერო ჟურნალი „ტექნიკა და ურბანისტიკა“

თბილისი

1941

რედაქტორი—შ. ბუაჩიძე

ხელმიწერილია დასაბეჭდად—7/V—41 გ.

შე 20001

ტირაჟი—3.000


შეკვეთა № 732

ზომა—5×8

ფორ. რაოდ.—9³/₄

საავტორო ფორმა 5.

გამომც-ბა „ტექნიკა და მრომა“-ს სტამბა, ფურცელაძის ქუჩა, № 5.



ზაქარია ფალიაშვილის პორტრეტი,
დაწატული უჩა ჯაფარიძის მიერ.

შინაგითყვაობა

ზაქარია ფალიაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. ის სამართლიანად ითვლება ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლად და დამაარსებლად.

ზ. ფალიაშვილი იყო პირველი, ვინც ღირსეულად შეაფასა ქართული ხალხური მუსიკის სიმღიდრე და მხურვალედ დაეწაფა ხალხური მუსიკალური შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროს. ზ. ფალიაშვილამდე კანტი-კუნტად თუ იცნობდნენ ქართულ მუსიკას საქართველოს გარეთ. მართალია, გლინკას, ღარგომიუსკის, მუსორგსკის, ჩაიკოვსკის, ბოროდინის, რუბინშტეინის, ბალაკირევის, იპოლიტოვ-ივანოვის შემოქმედებაში ვხვდებით ქართულ მოტივებს, მაგრამ ისინი ყოველთვის სწორად არ გადმოგვცემენ სპეციფიურ ქართულ კოლორიტს. მხოლოდ ზ. ფალიაშვილის შემდეგ წარსდგა ქართული მუსიკა მთელი მსოფლიოს წინაშე „აბესალომ და ეთერის“ მთელი ბრწყინვალებით. „აბესალომ და ეთერი“ ეყუთვნის ყველაზე გრანდიოზულ მუსიკალურ-დრამატურგიულ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელთაც კი იცნობს მსოფლიო საოპერო ლიტერატურა. ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ იყო პირველი ქართული ოპერა, სადაც ყველაფერი ბუმბერაზულ ფარგლებშია გამოხატული—ხალხიც, მისი პოეტური აღმაფრენით შექმნილი გმირებიც, ქართული ბუნების სიღიადეც.

თასდაუდებელია ზ. ფალიაშვილის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. ზ. ფალიაშვილი იგივეა ქართული მუსიკისათვის, რაც ი. ჭავჭავაძე და ა. წერე-თელი ქართული ლიტერატურისათვის.

* * *

ზ. ფალიაშვილი დაიბადა 1871 წლის 4 აგვისტოს ქუთაისში იქაური კათოლიკური ეკლესიის უბრალო მსახურის ოჯახში.

ბავშვობა მან მეტად მძიმე პირობებში გაატარა. მამა მისი პეტრე თვეში 15 მანეთს იღებდა და სარჩენი ჰყავდა 18 შვილი—10 ვაჟი და 8 ქალი. უფროსი მათ შორის ვანო იყო, მისი მომღევნო კი—ზაქარია.

ბავშვებს მუსიკალური ნიჭი აღრე აღმოაჩნდათ. ეს მათ მშობლებისაგან მიიღეს მემკვიდრეობით. მამა მომღერალი იყო და ორგანზე უკრავდა, დედასაც ცეკვილი ხმა ჰქონდა და მღეროდა. ბავშვები ხშირად მიმართავდნენ დედას—გვიმღერე რამეო, და ისიც სიამოენებით უსრულებდა მათ თხოვნას. დედის სიმღერებმა დიდი როლი ითამაშეს ძმების ბუნებრივი ნიჭის განვითარებაში.

პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება ვანო და ზაქარია ფალიაშვილებმა ქუთაისში მიიღეს ფორტე-პიანოს დაკვრის იმღროინდელ ცნობილ მასწავლებელ ალოიზ მიზანდართან. ზაქარია მაშინ 7 წლისა იყო. პარალელურად ორივე ძმა ორგანზე უკრავდა.

ვანო იმდენად დახელოვნდა, რომ მალე ის თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში მიიწვიეს. ამას მოჰყვა მთელი ოჯახის გადმოსვლა თბილისში. ეს იყო 1888 წელს. ამ დროისათვის და-ძმათაგან ცოცხალი იყო მხოლოდ რვა—ხუთი ვაჟი და სამი ქალი.

თბილისში გადმოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ზაქარია ფალიაშვილისათვის. თბილისში უკვე არსებობდა მუსიკალური სასწავლებელი, სადაც მომავალ კომპოზიტორს შეეძლო დაწაფებობა ნამდვილ მუსიკას, ესწავლა და თან განევითარებინა, გაელრმავებინა თავისი ნიჭი.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ ვანომ მალე თავი მიანება ეკლესიას, ორგანი ზაქარიას გადასცა, თითონ კი თპერეტის თეატრში შევიდა დირიჟორად. ზაქარია ამ დროს ორგანისტია, თან დიდის წვალებით ახერხებს სამუსიკო სასწავლებელში შესვლას. აქ ის მუსიკის თეორიას სწავლობს პროფესორ ნ. ს. კლენოვსკისთან, ხოლო ვოლტორნის დაკვრას იტალიელ მოსკასთან. პარალელურად აყალიბებს მომღერალთა რუსულ გუნდს, რომლითაც კონცერტებს მართავს მუშათა უბნებში.

1900 წელს ზაქარია ამთავრებს თბილისის სამუსიკო სასწავლებელს. მაგრამ მიღებული განათლება მას არ აკმაყოფილებს. მეგობრების დახმარებით იგი აწყობს ქართული მუსიკის კონცერტს და შეგროვილი ფულით მოსკოვს მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. გუნდი, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, მან მესამე ძმას პოლიკარპეს გადააბარა. პოლიკარპეც ორგანზე უკრავდა. ორგანისტობა არ ასცდა არცერთ ძმას.

მოსკოვში ზაქარია შედის კონსერვატორიაში და სამი წლის მანძილზე კომპოზიციის თეორიას სწავლობს გამოჩენილ კომპოზიტორ, პოლიტონიური (მრავალხმიანი) მუსიკის შესანიშნავ ოსტატ პროფესორ ს. ი. ტანეევთან. 1903 წელს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ზ. ფალიაშვილი ბრუნდება თბილისში, სადაც იწყებს მუსიკალურ-პედაგოგიურ და კომპოზიტორულ მოღვაწეობას.

ზაქარიაშვილი პედაგოგიური მუშაობა დაიწყო იმავე სასწავლებელში, საღაც ერთდროს თვითონ მიიღო მუსიკალური განათლება. აქ მან გაიარა პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა საფეხური, დაწყებული სოლფეჯიოს და ჰარმონიის მასწავლებლობიდან და გათავებული პროფესორის სახელწოდებით. ერთდროს ის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორიც იყო.

ამავე დროს ზ. ფალიაშვილი ეწევა დიდ მუსიკალურ-საზოგადოებრივ მუშაობას. მისი უშუალო აქტიური მონაწილეობით 1908 წელს თბილისში არსდება ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომლის სათავეშიც თვითონ დგება.

ზ. ფალიაშვილის კომპოზიტორული მუშაობა მიმდინარეობდა პედაგოგიურ მოღვაწეობასთან პარალელურად. მიზნად დაისახა რა ქართული ნაციონალური მუსიკის აღორძინებისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ზ. ფალიაშვილმა მრავალი წლის განმავლობაში შემოიარა მთელი საქართველო, დაწყებული ქართლკახეთით და გათავებული სვანეთის მიუვალი კუთხეებით, საღაც აგროვებდა და იწერდა ხალხურ სიმღერებს.

ამ მასალის საფუძველზე მან დასწერა ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ და „ლატავრა“. ზ. ფალიაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა შეიცავს აგრეთვე რამდენსამე სიმფონიურ ნაწარმოებს და მთელ რიგ რომანსებსა და საგუნდო ნომრებს.

1925 წელს საქართველოს მთავრობამ ზ. ფალიაშვილი 30 წლის ნაყოფიერი პედაგოგიურ-კომპოზიტორული მუშაობისათვის დააჯილდოვა ჩესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელწოდებით.

გარდაიცვალა ზ. ფალიაშვილი 1933 წლის 6 ოქ-
ტომბერს 61 წლისა.

* * *

ოპერის წერა ზაქარიას ერთბაშად არ დაუწყია. ამას წინ უძლოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. „ოპე-
რის დაწერის იდეა,—იგონებს კომპოზიტორის ძმა ექ.
ნ. ფალიაშვილი,—მას ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარმა
პეტრე მირიანაშვილმა ჩააგონა. ზაქარია დიდხანს უარ-
ზე იდგა. რა დროს ოპერის წერაა, ჯერ მასალა უნდა
შევაგროვოთ. ბოლოს, როცა პ. მირიანაშვილმა „აბესა-
ლომ და ეთერის“ გამზადებული ლიბრეტო მოუტანა,
ზაქარია დასთანხმდა.

ზაქარია „აბესალომზე“ მუშაობის დროს პიანი-
ნოსთან იშვიათად მივიღოდა. სწერდა მაგიდაზე, პირდა-
პირ ნოტებზე გადაჰქონდა მელოდიები. როდესაც დაამ-
თავრებდა რომელსამე ნაწყვეტს, მხოლოდ შემდეგ მი-
მართავდა შესამოწმებლად პიანინოს.

ზაქარია დიდი ენერგიის პატრონი იყო. მას
იშვიათი შრომისმოყვარეობა ახასიათებდა. მახსოვს ასე-
თი მომენტები: ზაქარია ამუშავებდა მოგზაურობის
დროს ჩაწერილ ხალხურ სიმღერებს. ის უკრავდა მათ
ფონოგრაფზე, უკრავდა დიდხანს, ზოგჯერ ასჯერაც კი,
სანამ არ გადაამუშავებდა ისე, როგორც სურდა. ამ მუ-
შაობის დროს შინაურები სახლიდან გავრბოდით, რად-
გან ფონოგრაფის ყვირილი მაინცდამაინც ვერაფერი სა-
სიამოვნო იყო“.

„აბესალომ და ეთერს“ ზ. ფალიაშვილი სწერდა
ზანგამოშვებით, ზაფხულის თვეებში, რაღაც ზამთრო-
ბით გადატვირთული იყო საზოგადოებრივ-პედაგოგიური
მუშაობით. სწერდა მას ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხშირად არც
კი მისდევდა ლიბრეტოს თანმიმდევრობას. კომპოზიტო-

რის მუშაობის მხრივ ყველაზე ინტენსიური იყო 1913 და 1914 წ. წ. ზაფხულისთვეები, როდესაც ზაქარია ისვენებდა სოფელ ნიკულიჩიში, ქ. რიაზანის ახლოს. მეორე მოქმედების ბალეტი დაწერილია საგარეჯოში, საღაც კომპოზიტორი სტუმრად იყო თავის ძმასთან ანტონთან.

„აბესალომ და ეთერი“ ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა 1917 წელს. შემდეგ ორი წლის განმავლობაში ის მუშაობდა ოპერის ორკესტრობაზე *).

* *

ზ. ფალიაშვილის ბრწყინვალე ნიჭი, როგორც ნაციონალური კომპოზიტორისა, ჩამოყალიბდა ერთის მხრივ ქართული ხალხური სიმღერისა და ხალხური მუსიკის, ხოლო მეორეს მხრივ რუსული და დასავლეთ ევროპის მუსიკალური კულტურის ზეგავლენით. პოლიფონიური მუსიკის გამოჩენილ მცოდნე ს. ტანეევთან მეცადინეობამ შეაიარალა ზ. ფალიაშვილი მაღალი კომპოზიციური ტექნიკით, რამაც საშუალება მისცა მას სავსებით აეთვისებინა. თანამედროვე მუსიკის მიღწევები. ამავე დროს ზ. ფალიაშვილი დაუახლოვდა რუსულ მუსიკალურ ხელოვნებას და მისი საშუალებით დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა უდიდეს ტრადიციებს. მოსკოვში ზ. ფალიაშვილმა შეიძინა არა მარტო ტექნიკური ცოდნა, არამედ განავითარა თავისი შემოქმედებითი იდეებიც. ის დარწმუნდა, რომ მხოლოდ ეროვნული ხალხური მუსიკა ჰქვებავს, ასულდგმულებს და აღრმავებს კომპოზიტორის შემოქმედებას, რომ ხალხური სიმ-

*) ცნობები ამოკრეფილია შ. ახლანიშვილის „წერილიდან— „აბესალომ ი ეთერი“. იხ. „Вечерний Тбилиси“ 2/XI 1937 წ.

ღერაა ის შესანიშნავი და ულევი წყარო, საიდანაც იკვებება დიად ნაწარმოებთა ავტორების აღმაფრენა.

კომპოზიტორის მიერ შეთვისებული ორი კულტურის სინთეზმა, თან ქართული ხალხური სიმღერის ღრმად შესწავლაში საშუალება მისცა ზ. ფალიაშვილს საფუძველი ჩაეყარა ქართული ნაციონალური ოპერისათვის. მან ევროპული მუსიკის მაღალი ტექნიკა შეუჭამა ქართული ხალხური მუსიკის მელოდიურ სიმღიდრეს. ტრადიციულ საოპერო ფორმაში შეიტანა ნაციონალური კოლორიტი და ოსტატურად გამოიყენა ქართული ხალხური ხელოვნების სასიმღერო და პოეტური ქმნილებანი.

ზ. ფალიაშვილს უყვარდა ხალხური მუსიკა. მას სრული უფლებით შეეძლო გაემეორებინა მ. ი. გლინკის სიტყვები: „მუსიკას ჰქმნის ხალხი, ჩვენ კი, მხატვრები, მას მხოლოდ ვამუშავებთ“. რასაკვირველია, მ. გლინკა, თავისი მხატვრული მორიდებულობისა და თავმდაბლობის გამო, ამცირებდა კომპოზიტორის მნიშვნელობას. ისე, როგორც გლინკა არ ყოფილა ხალხური სიმღერის მარტო დამმუშავებელი, არამედ თან დიდი შემოქმედიც იყო. ზ. ფალიაშვილიც არა მარტო იკვებებოდა ხალხური შემოქმედებით, არამედ თვითონაც ჰქმნიდა ხელოვნების ნაწარმოებებს, რომელებმაც გაამდიდრეს ხალხი.

ზ. ფალიაშვილი იშვიათად თუ მიმართავდა ფოლკლორის ციტირების მეთოდს. „აბესალომ და ეთერის“ მთელი მუსიკალური ენა აგებულია ხალხურ მუსიკალურ მასალაზე, მაგრამ კომპოზიტორის მიერ გადამუშავებულზე, შემოქმედებრივად გადახარშულზე. მთელს ოპერაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ხალხური სიმღერების ზუსტად განმეორებას, დანარჩენი ნაწილი კი კომპოზიტორის პირადი შემოქმედების ნაყოფია. სცდებიან კრი-

ტიკოსები, როცა ამბობენ, რომ „კომპოზიტორი იღებს ხალხურ მელოდიებს შეუმღვრეველი სახით, ხშირად „შეულამაზებლად“ აწყობს ამ ვეებერთელა ზოდებსო“; ან კი-დევ—„ზ. ფალიაშვილის ოპერებში, მისი ავტორის უშუალო ხალხოსნობის გამო, დიდი ადგილი დაეთმო ეთნო-გრაფიულ ელემენტს, გაურანდავ, შიშვლად შეტანილ ნაციონალურ მელოდიებს. არც თუ არქაული ელემენტებისაგან იყო მისი შემოქმედება თავისუფალიო“.

ზ. ფალიაშვილის დიდი ლირისება სწორეთ ის არის, რომ იგი ოსტატურად იყენებდა ქართული სიმღერის დამახასიათებელ თავისებურებას, მის ორიგინალურ ორნამენტიკას და მის საფუძველზე ჰქმნიდა საკუთარ, უაღრესად მეტყველ მელოდიებს, რომლებსაც უნარჩუნებდა ხალხური მუსიკის სტილს, კოლორიტს და ყველა თავისებურებას. ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა ქართული მუსიკალური კულტურის შექმნისა და განვითარების საქმეში.

ზ. ფალიაშვილმა „აბესალომ და ეთერში“ მოგვცა ქართული ნაციონალური მუსიკის უმაღლესი ნიმუში, რომელიც კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშთა სიმაღლეზე დგას. მუსიკალური დახასიათების სიძლიერე და სიმართლე, ადამიანურ განცდათა სიღრმე, მუსიკალური ენის სიცხოველე და მსმენელის გულში ჩაწვდომის უნარი „აბესალომს“ აახლოვებენ რუსული და საერთაშორისო საოპერო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებთან. ზ. ფალიაშვილის მიერ შექმნილი სახეები სამუდამოდ შევიდა ხალხის მეხსიერებაში.

„აბესალომ და ეთერი“, — სწერდა „პრავდა“, — კლასიკური ნაწარმოებია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ის შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ მუსიკალური

ხელოვნების ისეთ შედევრებს, როგორიც არის ვერდის „აიდა“, გლინკას „რუსლანი და ლიუდმილა“, ბოროდინის „თავადი იგორი“.

„მსოფლიო მუსიკა,—ამბობს „კრასნაია გაზეტა“, რომელმაც ლენინგრადის სხვა გაზეთებთან ერთად აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა „აბესალომ და ეთერს“ თბილისის საოპერო თეატრის ლენინგრადში გასტროლებზე ყოფნის დროს 1938 წლის აგვისტო—სექტემბერში,—მდიდარია საოპერო ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებით. მაგრამ არის მათ შორის ისეთი განსაკუთრებული შედევრები, რომლებიც ადამიანის გენის მიერ შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებათა შორისაც კი გამოირჩევიან. ასეთ შედევრებს ეკუთვნიან, მაგალითად, მოცარტის „დონ-ჟუანი“ და ბეთჰოვენის „ფიდელიო“, ბიზეს „კარმენი“ და ვერდის „ოტელო“, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ და ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“; ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მათ შეიძლება გვერდში ამოუყენოთ ზ. პ. ფალიაშვილის გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

აფასებს რა ოპერის ღირსებას, გაზეთი სწერს: „მაგრამ ყველაზე საუკეთესო ქებად შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ ოპერის მოსმენის დროს სრულიად არ გინდა ანალიზი გაუკეთო იმას, რაც სცენაზე ხდება: გინდა მთლიანად მიეცუ ბგერათა ნაკადს, რომელიც გამოუთქმელ მღელვარებას იწვევს და განცვითრებს თავისი ემოციური ძალით. და ამიტომ უნებლიერ გადაგაქვს ამ ოპერაზე ა. მ. გორკის მიერ შენახული სიტყვები ვ. ი. ლენინისა ბეთჰოვენის „აპასიონატას“ შესახებ: „განსაცვითრებელი, არააღამიანური მუსიკაა. მე ყოველთვის სიამაყით... ვფიქრობ: აი რა სასწაულთა მოხდენა შეუძლიანთ აღამიანებს“.

ასეთ ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს „აბესალომ და ეთერი“ და ამ ძვირფასი საუნჯის შესახებ ჩვენ დღემდის არ მოგვეპოვება არა თუ ვრცელი მონოგრაფია, არამედ მცირე ნარკვევიც კი. აქა-იქ უურნალ-გაზეთებში გაბნეული წერილები და რეცენზიები ამ ხარვეზს ვერ შეავსებენ.

თთქოს პირველი სიტყვა ამ უკვდავი ნაწარმოების შესახებ მუსიკის სპეციალისტებს უნდა ეთქვათ, მაგრამ მათ მოიმიზებეს „აბესალომის“ კლავირის გამოცემლობა და ოცი წლის განმავლობაში მჭერმეტყველურად სდომან. „ეს დიდი ნაკლი (ე. ი. ზ. ფალიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე რომ არა გვაქვს მონოგრაფია) არა ქართული მუსიკალური კრიტიკის უმწეობით აიხსნება, არამედ იმ გარემოებით, რომ განსვენებულის ოპერებს დღემდე ვერ ელირსა დაბეჭდვა და გამოცემა. როცა ზაქარია ფალიაშვილის ოპერებს ვიხილავთ კლავირების სახით, მაშინ მის მუსიკაზე ალბად ბევრი დაიწერება“, — სწერს ერთი მუსიკისმცოდნე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე ჩვენმა მთავრობამ მშრომელებს მიუძლვნა ძვირფასად გამოცემული კლავირი „აბესალომ და ეთერისა“, რომელიც სამს ენაზეა დაბეჭდილი — ქართულ, რუსულსა და ფრანგულზე. უნდა ვითიქროთ, რომ ეს საბაზს მისცემს მუსიკალურ კრიტიკოსებსა და მუსიკის სპეციალისტებს ხმა ალიმალლონ ზაქარია ფალიაშვილის, ჰეინეს. სიტყვებით რომ ვსთქვათ, ამ „ბგერათა პოეტის“ შესახებ და ბოლოსდაბოლოს მოგვცენ მის ნაწარმოებთა, კერძოდ „აბესალომ და ეთერის“ ნამდვილი

გარჩევა. მანამდის კი ილია ზურაბიშვილის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ერთადერთი წიგნია ქართულს ენაზე, რომელიც მიზნად ისახავს გზა გაუკვლიოს მასობრივ მსმენელს ქართული საოპერო ხელოვნების ამ შედევრისაკენ.

წიგნი სამი ნაწილისაგან შესდგება: პირველში მოცემულია მასალა „აბესალომის“ პირველად დადგმის ისტორიისათვის, მეორეში გარევეულია საკითხი—თუ რა ფორმით არის დაწერილი „აბესალომ და ეთერი“ და როგორია კომპოზიტორის მუსიკალური სტილი, მესამე შეიცავს ოპერის შემაღენელი ნაწილების ცალკეულად შეფასების ცდას, იძლევა ფაქტიურ მასალას ამ ნაწილების და მათი შემოქმედებრივი ჩანაფიქრის, მათი კონსტრუქციის შესახებ.

ავტორს ოპერის მუსიკის ენა მოხერხებულად გადაჰყავს სიტყვების ენაზე, ამასთანავე არ გაურბის ლამაზ ლიტერატურულ ანალოგიებსაც. მართალია, მუსიკალური ნაწარმოების ასეთი განმარტება მეტწილად სუბიექტიურობის ხასიათს ატარებს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ი. ზურაბიშვილის დებულებები მოკლებული იყოს დასაბუთებას. მისი დასკვნები ემყარება არა მარტო ჭ. ფალიაშვილის მუსიკის სუბიექტიურ ათვისებას, არა მარტო „აბესალომ და ეთერის“ შეფასებას მსმენელის მიერ, არამედ ფაქტიურ მასალასაც, მათ რიცხვში კომპოზიტორის აზრებს, მის მიერ საჯაროდ გამოთქმულს.

„აბესალომი“ გრანდიოზული მოვლენაა ქართულ მუსიკაში. მთელი მისი ლირსების ერთ პატარა ნაშრომში შეფასება ერთობ ძნელია. ამას არც წინამდებარე წიგნი ისახავს მიზნად. ავტორის ამოცანა იყო პოპულა-

რული ენით განემარტა ოპერის ნიშანდობლივი თვისებანი, მისი დამახასიათებელი თავისებურებანი, დახმარებოდა მსმენელს მისი ცალკე ადგილების გარკვევაში. თუ „აბესალომ და ეთერის“ გამოკვლევის აქ მოყვანილი დასკვნები ოდნავ მაინც დააინტერესებს მსმენელს, ხოლო მუსიკის სპეციალისტს ბიძგს მისცემს უფრო ღრმად ჩასწევდეს ზ. ფალიაშვილის შემოქმედებას და მეცნიერულად გაარკვიოს მისი საფუძვლები,—წიგნის მიზანიც მიღწეული იქნება.

დასასრულ, არ შემიძლია არ მოვიყვანო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრი ი. ზურაბიშვილის ნაშრომზე. უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის შეკითხვაზე, სადაც ეს ნაშრომი იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით, სახელოვანმა მეცნიერმა ასე უპასუხა:

„ილ. ზურაბიშვილის მონოგრაფია ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შესახებ კარგად არის დაწერილი და იქ ამ უკვდავი ნაწარმოების ღირსება, მისი მუსიკის მომხიბლავი თვისებები და ღრმა ეროვნული საფუძველი ნიშანდობლივ არის დახასიათებული. დარწმუნებული ვარ, ამ ნაშრომს ყველა სიამოვნებით წაიკითხავს. ამიტომაც სასურველია, რომ ეს მონოგრაფია ცალკე წიგნადაც ყოფილიყო გამოცემული.“

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი ქართული მუსიკის ღილი მცოდნე და მასთან თვითონ მუსიკოსი იყო ახალგაზრდობაში. მისი ასეთი დაღებითი შეფასება ი. ზურაბიშვილის წიგნისა საკმარისად მოწმობს ამ უკანასკნელის ღირსებას.

შალვა ბუაჩიძე

2007

нр. 8475 в г. Ростове-на-Дону
наименование "История и право"
авторы: Альберт Иванович Смирнов
и др. издано в 1928 году.
Стоимость 60 копеек.
Одна книга из коллекции Альберта Смирнова.
Книга из коллекции Альберта Смирнова.
Книга из коллекции Альберта Смирнова.
Библиотека Центрального музея
имени М.А. Бакунина
1920 19 №



I

წელს *) თებერვლის 21-ს შესრულდა ოცი წელიწადი, რაც პირველად დაიღგა განსვენებული სახალხო არტისტის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

წელსვე, ივნისის 19-ს „აბესალომ და ეთერი“ პირველად რუსულად დაიღგა ჩვენი საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქში მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე.

ამ ორი ფაქტის თანამთხვევა მეტად საგულისხმიეროა და ღირსშესანიშნავი.

მე ამას „თანამთხვევა“ განვებ ვუწოდე.

სსრ კავშირის დიდმა თეატრმა „აბესალომი“ დადგა არა იმიტომ, რათა აღენიშნა ამ ოპერის ოცი წლის არსებობა, არამედ იმიტომ, რომ ამას უკარნახებდა თავისი მაღალი მოწოდება და დანიშნულება მართლაც მთელი საბჭოთა ქვეყნის უდიდესი კულტურული კერისა და მსოფლიოში ერთი საუკეთესო თეატრისა: გამოამზეოს, აჩვენოს ჩვენი თვალუწვდენი კავშირის საზოგადოებას და, თუ შეიძლება, მთელ მსოფლიოსაც ყოველივე ის, რაც მისი

*) 1939 წ.

საქმიანობის სფეროში შეუქმნია დიდი საბჭოთა ქვეყნის შედგენილობაში შემავალ ამათუიმ ერს, მრავალრიცხოვანი, იქნება ეს ერი, თუ მცირერიცხოვანი.

ამაშია სწორედ სიბრძნე და ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმი ლენინ-სტალინის ერთადერთი სწორე ეროვნული პოლიტიკისა.

სასაცილოც კია იმაზე ფიქრი, რომ თუ არა ეს სასწაულმოქმედი პოლიტიკა, თუ არა საბჭოთა სახელმწიფო ებრივი ცხოვრების განსხვავებული, თავისთავადი პირობები, რამაც სხვადასხვა ხალხთა არსებობა ძირითადად გარდაქმნა, გარდაახალისა და ერთ, მაგრამ მრავალწახნაგოვან დარიჯავში მოათავსა, — „აბესალომი“ როდისმე, არამც თუ ოცი წლის განმავლობაში, არამედ თუნდაც ასისაც, მიაღწევდა მოსკოვს და ჰპოებდა მშვენიერ განსახიერებას დიდი თეატრის სცენაზე.

და იცით, ეს ფაქტი რას ნიშნავს?

საათნოვა რომ ამბობს: „სიტყვას ვიტყვი — ცამ ქუხილი დაიწყოს“ — აი, ამას ნიშნავს!

ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ „აბესალომის“ სახით და დიდი თეატრის მეოხებით მსოფლიოს ამცნო თავისი არსებობა!

და თუ „აბესალომი“ ნამდვილად ის არის, რაც ბევრს ჰერნია, მათ შორის ზოგიერთ ცნობილ მუსიკოსს, — დმედი უნდა ვიქონიოთ, „აბესალომი“ საბჭოთა ფარგლებს გარეთაც გაიხმაურებს.

ერთი სიტყვით, მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ამ ოპერის დადგმა და რეპერტუარში შეტანა ნიშნავს მის ხელახლად დაბადებას და მისი ავტორისადმი, როგორც შემოქმედასადმი, დიდი ინტერესის აღძვრას.

ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტი და „აბე-
სალომის“ პირველად დადგმის ოცი წლისთავი მაბედვი-
ნებს გადავათვალიერო, მკითხველთან ერთად, პირველი
შთაბეჭდილებანი, „აბესალომის“ მოსმენით განაცადნი,
შემდეგში მრავალჯერ განმეორებულნი, და, ამ შთაბეჭდი-
ლებათა მიხედვით, გამოვთქვა რამდენიმე აზრი „აბესა-
ლომის“ მუსიკის არსის თაობაზე.

ეს იქნება, რასაკვირველია, მარტოოდენ „მსმენე-
ლის“ აზრები, არა სპეციალისტისა, არამედ დილეტანტისა,
საერთოდ მუსიკის მოყვარულისა, კერძოდ ქართული მუ-
სიკისა, ხოლო „აბესალომისა“ — ალტაცებამდე.

დე, თუნდაც ეს მცთარი აზრები იყოს. იქნება ამ
მცთარმა აზრებმა მაინც ააღელვოს ის მდორე ზედაპირი
ჩვენი სპეციალისტების უცნაური ყურწაყრუებისა, რომ-
ლითაც ასე დიდხანს უმასპინძლდებიან ისინი ამ უეჭვე-
ლად დიდ მოვლენას — „აბესალომის“ გაჩენას ჩვენი მუსი-
კალური კულტურის წიაღში და საზოგადოების დიდ სიყ-
ვარულს მისაღმი.

დიალ, სიყვარული საზოგადოებისა, ხალხისა „აბე-
სალომისადმი“ განუსაზღვრელია. რაც დრო გადის — ეს
სიყვარული მატულობს და იზრდება, რაც სრული ანტი-
ტეზაა მუსიკის სპეციალისტთა ინდეფერენტიზმისა იმავე
„აბესალომისადმი“ და მისი ავტორის შემოქმედებისადმი.

აბა, თუ ვინმე გამოჩენილა მცოდნეთაგან, რომელ-
საც აეხსნას და განემარტოს, სად არის სათავე. იმისა,
რომ ხალხი ასე დამთვრალია ამ ოპერის მელოდიებით,
რომ მან თითქმის ზეპირად იცის ეს გრძნეული მელო-
დიები და, რამდენადაც უფრო ითვისებს მათ, მით უფრო
ეტანება ოპერის მოსმენას.

აბა, თუ ერთი ვინმე მუსიკის ნამდვილი მცოდნე, კომპოზიტორია იგი, თეორეტიკოსი, თუ სხვა ჯურის სპეციალისტი, გამოსულა ჩვენში მონოგრაფიით, ნარკვევით, სერიოზული, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკული წერილით, თუნდაც მოხსენებით მაინც „აბესალომზე“ — კერძოდ და მის შემოქმედზე — საერთოდ.

არავინ!

რაც აქამდე დაწერილა ქართულად „აბესალომზე“ და ზაქარია ფალიაშვილის სხვა ოპერებზე — ყოველივე ეს ჩვეულებრივ საგაზეთო რეცენზიას არ გასცილებია, და ისიც შემთხვევითი აღამიანების მიერ, არა ნამდვილი მუსიკოსებისა, არამედ „მუსიკის მოყვარულთა“, დილეტანტების მიერ. უსამართლობა იქნებოდა არ აღმენიშნა აქ პროფესორი შალვა ასლანიშვილის წერილი უურნ. „მნათობის“ 1937 წლის №-ში მოთავსებული, „ქართული მუსიკის განვითარების ეტაპები“, სადაც იგი, სხვა კომპოზიტორებთან ერთად, ზაქარია ფალიაშვილსაც ეხება და მაღალ შეფასებას იძლევა მისი შემოქმედებისას. მაგრამ ეს არის მხოლოდ გაკვრითი შენიშვნები, ერთი თვალის გადავლება უჭიველად მცოდნე აღამიანისა. ამგვარ ზოგად მიმოხილვაში სხვანაირადაც არ შეიძლებოდა. ზაქარია ფალიაშვილი კი ისეთი მძლეთამძლე ფიგურაა ქართული მუსიკის სფეროში, რომ უეჭველად მოითხოვს უფრო ღრმა შესწავლას და განმარტებას. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს წერილი გამოქვეყნდა უკვე იმის შემდეგ, რაც „პრავდაში“ დაიბეჭდა ლირსშესანიშნავი წერილი „Сумбур вместо музыки“.

მაგონდება ერთი რუსი მუსიკოსის სიტყვები, კერძო საუბარში თქმული ამ ხუთიოდე წლის წინათა „ყველა ქართველმა მუსიკოსმა თავისი მოღვაწეობა „აბესალო-

მის „სერიოზული შესწავლით უნდა დაიწყოს-ო“. თითონ ამ მუსიკოსმა „აბესალომის“ მთელი პარტიტურა ზედ-მიწევნით იცის.

ამავე დროს „აბესალომი“ აღიარებულია კლასიკური ნაწარმოებად და თვით მისი ავტორი—კლასიკოსად.

რისთვის, რატომ? ვინ დაამტკიცა ეს მრავალმეტ- ყველი, მაგრამ ზეპირად აკვიატებული დებულება?

იქნება იმიტომ, რომ „აბესალომი“ ერთი პირველი ოპერათაგანია? მაგრამ ყველა ძველი ნაწარმოები, მუსიკის დარგისა იქნება იგი თუ სხვა დარგისა, კლასიკურ ნაწარმოებად რომ ითვლებოდეს, მაშინ ხომ გზას ვერ ავუქცევდით კლასიკოსებს.

არა! „აბესალომი“ თუ მართლა კლასიკური ნაწარ- მოებია, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ პირველი ქართული ოპერათაგანია.

იგი კლასიკური ნაწარმოებია მით, რომ თავისი მუ- სიკალური შინაარსით და მცტყველებით, ემოციათა აღძ- ვრის უნარით უკვდავია. შეიძლება მისი ფორმა გადა- გვარდეს (იგი უკვე თვალსაჩინოდ შეიცვალა), მაგრამ მაინც მსმენელს ყოველთვის შხატვრული სიამოვნებით განმსჭვალავს, აღძრავს მასში საუკეთესო გრძნობებს და შეიძლება ხშირად შემოქმედების წყაროთაც გაუხდეს ახლადმოვლენილ შემოქმედს, ვინაიდან იგი ხალხის სუ- ლის საუცხოო ანარეკლია.

* * *

და ახლა, როდესაც ჩვენი დიდი ქვეყნის დედა-ქა- ლაქის მუსიკოს-სპეციალისტები „აბესალომს“ დიდებული ბეთჰოვენისა, მოცარტისა და გლინკას ნაწარმოებთ გვერდ- ში უყენებენ—განსაკუთრებით გლინკას—მე სირცხვილი

შწვავს, რომ დღემდე ჩვენში არავის — ვისაც ჯერ არს — ქვაც კი არ გადაუბრუნებია იმისათვის, რათა ემცნო ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, თუ რა უკვდავი ძეგლი შექმნა მისმა ერთერთშა შვილთაგანმა, რა დიდი კაცი ტრიალებდა ჩვენს შორის და რა მცირედ აფასებდნენ მისიანებივე იმათ შორის, ვისი პირდაპირი მოვალეობაც ეს იყო.

კიდევ კარგი, რომ ხალხის ალლოს ამრთმევმა მთავრობამ და პარტიამ მათ არ დაუცადა და თავისი თაოსნობით უკვდავჰყო ამის ღრძისი აღამიანი.

მერე, ნეტავი არ იყენენ ჩვენში ამგვარი მცოდნენი?! მრავლად არიან. საცა გაიხედავ — ან კომპოზიტორია, ან მუსიკის მცოდნე, ან პროფესორი, ერთის სიტყვით, აღამიანი ამ სპეციალობაში განსწავლული.

და თუ რამე მაინც თქმულა საამისო, — ისიც, ვიმეორებ, მუსიკის მოხალისეთა, დილეტანტთა მიერ, რომელთა თქმასაც, რასაკვირველია, ყურს არავინ ათხოვებს.

თორემ ჯერ კი დევ 1922 წელს აი, რასა სწერდა „აბესალომზე“ ერთერთი დილეტანტთაგანი:

„...ზაქარია ფალიაშვილის ეს ოპერა ყოვლის მხრით საზეიმო ნაწარმოებია, როგორც საერთოდ ხელოვნებისა, მით უფრო ქართული ეროვნული შექოქმედების თვალსაზრისით. რაც რუსული მუსიკისათვის გლინკას „ჟიზნ ზა ცარია“ [„ივან სუსანინი“] არის, ის ჩვენთვის „აბესალომ“ და ეთერია“. ეს ანალოგია ფიგურალური თქმა როდია, სრულიად შეგნებული, დაკვირვებული აზრია.

როგორც ერთი, ისე მეორეც არა მარტო ეპოქა-ლური ნაწარმოებია, არამედ ამასთანავე სათავეა ეროვნული მუსიკალური დრამისა. მთავარი და ძლიერი ნაკადი რუსული მუსიკისა „ჟიზნ ზა ცარიასა“ და „რუსლა-

ნიდან“ გაშომდინარეობს. დარწმუნებული ვართ, „აბე-
სალომის“ რუსხმულითვე იწყებს დენას ქართული მუსი-
კაც, — საამისოდ „აბესალომი“ უშრეტი წყაროა“.

სპეციალისტი, რასაკვირველია, ამ ინტუიტურად
გამოთქმულ სწორ დეპულებას არ დასჯერდებოდა. იგი
ამ დაკლარატიულ დებულებას დაასაბუთებდა ორივე შე-
მოქმედის ნაწარმოებთა ანალიზით, დაახასიათებდა სა-
თანადო მაგალითებით და თვალნათლივად გვიჩვენებდა,
თუ რაში მდგომარეობს ის საფუძველი, რომ ქართულმა
საოპერო მუსიკამ თავის განვითარებაში უნდა განიცადოს
ისეთივე გავლენა ზაქ. ფალიაშვილისა, როგორიც განი-
ცადა რუსულმა მუსიკამ დიდებული გლინკას შემოქმედე-
ბის მეოხებით.

თორემ იმის მტკიცება, რომ ზაქარია ფალიაშვილი
ქართველების გლინკაა, რაც ახლა ცველას პირზე აკერია,
მხოლოდ ლიტონი სიტყვაა, თავისთავად სრულიად ჭიშ-
მარიტი, მაგრამ ჯერ იგი მეცნიერულად, მუსიკის მეცნიე-
რების თვალსაზრისით დასაბუთებული არ არის.

ოცი წლის განმავლობაში ჩვენი სპეციალისტები
მუსიკისა ზაქ. ფალიაშვილის შემოქმედებაზე „მჭერმეტყვე-
ლურად“ სდომან და, რადგანაც ეს ასეა, ენას იდგმენ
მხოლოდ დილეტანტები. ან იქნება ისინი არ იზიარებენ
იმ აზრს, რომ ზაქარია ფალიაშვილს ასეთი დიდი აღვი-
ლი უჭირავს ჩვენს კულტურაში?! მით უფრო უნდა აიმაღ-
ლონ ხმა, რათა არამკითხე დილეტანტებმა შეცდომაში
არ შეიყვანონ საზოგადოება.

* * *

გლინკას უდიდესი მნიშვნელობა რუსული საოპერო
მუსიკისათვის მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ

მან შემატა ამ მუსიკას ხმატებილი და ლამაზი ოპერები, არამედ უმოავრესად იმაში, რომ მან თავანკარი რუსული მელოდიიდან შექმნა მუსიკალური დრამის ნამდვილი რუსული ენა, რომელიც გლინკამდე არ არსებობდა.

ამ გრძნეული ენით მან აალაპარაკა რუსულ ჰანგზე ყოველნაირი ადამიანური გრძნობა: სიყვარული, მძღლვა-რება, ტანჯვა, სიხარული, შური, მტრობა, ვაჟკაცობა, შე-გობრობა, თავდადება, სიმხდალე, დაცინვა და სხვა მისთ. ერთის სიტყვით, მან პირველმა შექმნა ნამდვილი რუსული ოპერა, მუსიკალური დრამა.

და როდესაც გლინკას ოპერის გმირნი მეტყველებენ, თქვენ გრძნობთ, რომ ასე მეტყველება შეუძლიანთ მხოლოდ რუსთ, თუ ისინი რუსნი არიან.

არა იმიტომ, რომ რუსულ სიტყვებს წარმოსთქვა-მენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ამ სიტყვებს წარმოსთ-ქვამენ რუსული მუსიკალური ენით.

მეხსიერება მაწვდის ერთ პარალელს:

როდესაც რიპარდ ვაგნერის „ტანკოიზერში“ ვოლფ-რამ ფონ-ეშენბახი (ბარიტონი) მწუხრის ვარსკვლავზე მღერის, გრძნობთ, რომ თქვენ წინაშე მეტყველებს სა-ერთოდ ევროპელი, ვინაიდან ასე მეტყველება შეუძლიან გერმანელსაც, ფრანგსაც, ინგლისელსაც და თითქმის იტა-ლიელსაც კი..

მაგრამ როდესაც ივან სუსანინი დილის ცისკარზე მღერის („Ты взойдешь, моя заря“), გრძნობთ, რომ თქვენს წინაშე ნამდვილი რუსი გლეხია, მაღალი გრძნობებით ალძრული, რომ რუსის გარდა სხვა ერის ადამიანს ასე მეტყველება არ შეუძლიან.

აი, აქ რომ დილეტანტი არა ყოფილიყო, არამედ მუსიკოსი სპეციალისტი, იგი უეჭველად რაიმე კონკრე-

ტული ნიშნით დასაბუთებდა გამოთქმულ აზრს. თუმცა
ისიც მართალია, რომ ეს ნიშანი მკითხველთა უდიდესი
უმეტესობისათვის გაუგებარი იქნებოდა, მაგრამ მცოდნე
მას მიუხვდებოდა.

და აი, ზაქარია ფალიაშვილმაც, სწორედ გლინჯას
შეგავსად, შეგვიქმნა მუსიკალური დრამის ქართული ენა:
მან შექმნა ქართული ოპერა, რომელშიაც მეტყველებენ
ქართველნი ნამდვილი ქართული მუსიკალური ენით.

აქ არ დავასახელებ „აბესალომის“ მთავარ ადგი-
ლებს ნამდვილი ქართული მეტყველებისას, რომლებზედაც
ქვევით მექნება საუბარი. მოვიყვან მხოლოდ ორ ნიმუშს,
ორ პატარა ფრაზას. ვისაც „აბესალომი“ მოუსმენია (და
რომელ ქართველს არ მოუსმენია იგი!), ყველას ეხსომება
ეს ფრაზები.

მეორე მოქმედებაში, ქორწილი რომ არის, უკანასკა-
ნელი ვოკალური ფრაზა ცეკვის წინ სპასალარ-თანდარუსს
ეკუთვნის: „ახლა შუშპრობა დავიწყოთ, ტანსა, ვით ლერ-
წამს, ვარხევდეთ... ვაშა, ქალ-ვაუნო!“

ერთი სულამოთქმა მუსიკალური ფრაზაა, მელო-
დიურ რეჩიტატივზე (ჩამლერით თქმა) აგებული, თითქო
მთიულური იერისა, განსაკუთრებით ბოლოში.

ასევეა ყველასათვის ცნობილი (ვანო სარაჯიშვილის
მეოხებით) აბესალომის შეძახილი: „ჰეი, ვის გინდათ ქა-
ლი ეთერი, თავ ოქროს გვირგვინოსანი?“.

ნამდვილი კლასიკური ქართული მრმართვაა, რო-
მელშიაც გამოითქმის საშინელი სასოწარკვეთილება. პირ-
ველი ნაწილი ამ მუსიკალური ფრაზისა თითქო შორი-
შორეული ანარეკლია ცნობილი სიმღერის „მუმლი მუ-
ხასა“-ს დასაწყისისა, ტრაგიკულ ინტონაციაში მოცემუ-
ლი; ხოლო მეორე ნაწილში ადამიანი სიმღერით კი არა,

არამედ შუბილით გეუბნებათ, ხელავთ რა ძვირფას რა-
მესა ვკარგავო, გეუბნებათ ისე, როგორც მხოლოდ გან-
წირულ მდგომარეობაში მყოფ ქართველს შეუძლიან
გითხრათ.

ან თუნდაც ერთადერთი სიტყვა „იახშიოლ“, მე-
ფე რომ უპასუხებს თანდარუხს ყანწის მიწოდების დროს.

აი, ასეთ მოკლე-მოკლე მუსიკალურ ფრაზებში ქარ-
თული ინტონაციის, კილოს დაცვა გაცილებით უფრო
ძნელია, ვიდრე გაშლილ მელოდიაში. და, ვინაიდან მთელს
ოპერაში ასეთი ფრაზები მრავალია და ყველგან ქართუ-
ლად მეტყველი, სწორედ ეს ნიშანდობლივი თვისებაც
ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისა აშკარად გვიჩვე-
ნებს მისი მუსიკალური ენის თავანკარ ქართულობას.

და თუ ზაქარია ფალიაშვილი შემქმნელია ქართული
საოპერო ენისა — ისე, როგორც გლენკა რუსული მუსიკა-
ლური ენისა, ის დებულებაც უეჭველად სწორეა, რომ
ქართული საოპერო მუსიკის განვითარება და შეიძლება,
მუსიკის სხვა ფორმებისაც — უნდა ვიღოდეს სწორედ ამ
რუსებულით.

აქ მარტო მუსიკალურ სტილზე არ არის ლაპარაკი.
აქ ლაპარაკია მუსიკალურ ენაზე. სტილი შეიძლება სხვა-
დასხვა იყოს და იცვლებოდეს. ეს უფრო ფორმების სფე-
როა. მაგალითად, დარგომიუსკი, მუსორგსკი სულ სხვა
სტილით თხზავდნენ, ვიდრე გლინკა. მაგრამ ისინი სწერდ-
ნენ იმავე გლინკას ენით, ე.-ი. რუსული მუსიკალური
ენით. მით უფრო სხვანი.

ამიტომ, ვისაც უნდა ქართული ოპერის წერა, იგი,
ჩემის აზრით, გზას ვერ აუქცევს ზაქარია ფალიაშვილის
მუსიკალურ ენას.

* * *

ახლა ზოგი რამ „აბესალომის“ პირველად დადგმის
ისტორიისათვის.

შეიძლება „აბესალომის“ დღევანდელმა მსმენელმა
არც კი იცის, რომ ამ ოპერას პირველად დადგმის დროს
საკმაოდ სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე ახლა აქვს აღნაგო-
ბის მწრით.

ოპერა შესდგებოდა ხუთი მოქმედებისა და ექვსი
სურათისაგან, და არა ოთხი მოქმედებისა და ხუთი სუ-
რათისაგან, როგორც ახლაა. ოპერაში იყო აგრეთვე კი-
დევ ერთი მთავარი პერსონაჟი, სახელდობრ ბელიარ-ეშ-
მაკი, რომელსაც, რამდენიმე პირველი წარმოდგენის შემ-
დევ, ექსორია ექმნა სრულიად და მას თან ვაჲყვა მთელი
ერთი დიდი მოქმედება (მაშინდელი მესამე მოქმედე-
ბა) მთლად თავისი მუსიკით, მცირედი გამონაკლისის
გარდა.

„აბესალომი“ ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებია, რომ
მას უეჭყელად დიდი ისტორია ექნება და, შეიძლება, თა-
ვისდროზე ყოველი წვრილმანი, რაც მისი საბოლოო მუ-
სიკალური ტექსტის დადგენას შეეხება, ძალიან საინტე-
რესო იყოს. ამიტომ ოცი წლის თავზე ზედმეტი არ იქ-
ნება გავიხსენოთ, რა ცვლილება განიცადა მან თავდა-
პირველადვე, მით უფრო, რომ ეს ცვლილება ძირითადი
იყო. თორებ ესათუის შესწორება ახლაც შეაქვთ ამათუიმ
რეჟისორს და უმეტესად კი ამათუიმ ლოტბარს, ვისაც
რა მოეპრიანება, — აქამ და ავტორი ცოცხალი აღარ
არის და ვინ გამოგვედავებაო.

და, წარმოიდგინეთ, თავდაპირველი ცვლილება, რაც
„აბესალომა“ განიცადა ავტორისავე ხელით, მაშინდელი

კრიტიკის რჩევით მოხდა. კრიტიკა შეიძლება დილეტანტური იყო, მაგრამ ცვლილებათა გეგმა, ერთერთი რეცენზენტის მიერ მიწოდებული, ავტორმა შეიწყნარა. ეს გეგმა—დასკვნა იყო საკმაოდ დიდი წერილისა (სამს ფელეტონად) და დაწვრილებით ითვალისწინებდა, რადარა ცვლილება ესაჭიროებოდა ოპერას. ზაქარია ფალიაშვილი დიდი შემოქმედი იყო, მაგრამ გაზვიადებულ თავმოყვარეობას მოკლებული. ამიტომ გულხმიერებით იღებდა ყოველ გონივრულ და წრფელის გულით მიწვდილ შენიშვნას. თხრობის ფორმით ამ გეგმის აქ მოყვანა სიტყვას უფრო გააგრძელებდა. ამიტომ ვრჩეობ მთლიანად ამოვწერო იგი, მით უფრო, რომ გეგმის ავტორი შიგადაშიგ მოსაკვეთი და გადასატან-გადმოსატანი ადგილების დახასიათებას იძლევა.

აი, ის გეგმაც.

„ჯერ კიდევ რეპეტიციებიდან სჩანდა, ჩემთვის მაინც, — სწერს რეცენზენტი, — რომ ოპერა „აბესალომი“, მიუხედავად მისი მუსიკის მრავალფეროვანებისა, საჭირო ზომიერების ფარგალს გაცილებულია და აუცილებლად უნდა შემოკლდეს.

პირველმა წარმოდგენამ ეს აზრი სავსებით განამტკიცა.

მართალია, წარმოდგენა გვიან უათავდა არა მარტო ოპერის სრდიდის გაშო, არამედ ტექნიკური მიზეზების წყალობით, რამაც ხანგრძლივი ანტრაქტები გამოიწვია (მაგალითად, ერთმა ანტრაქტება 1 საათსა და 12 წ. გასტანა), მაგრამ ნორმალურ პირობებშიც რომ ყოფილიყო იგი დადგმული, მაინც მუსიკალური დრამის მთლიანობისათვის და რელიეფობისათვის შემოკლება აუცილებელია.

თვით ავტორმა, რომელთანაც ამის შესახებ მქონდა
ლაპარაკი წარმოდგენის შემდეგ, მაშინვე სცნო აუცი-
ლებლობა ოპერის ზოგიერთი ნაწილის შეკვეცისა და,
შეიძლება, შემდეგი წარმოდგენისათვის მან უკვე განა-
ხორციელოს კიდევ ნაწილი განზრახული კუპიურებისა.

რაკი ეს ასეა და ბ-ნი ფალიაშვილი ავტორული
თავმოყვარეობით სხვებსავით დასნეულებული არ არის;
ამიტომ გავძედავ და გამოვთქვამ ჩემს შეხედულებას
იმის თაობაზე, თუ რა მხრით საჭიროებს ოპერა ცვლი-
ლების შეტანას.

უნდა გულახდილად ვაღვიარო, რომ „აბესალომის“
საერთო მუსიკალურ მთლიანობას და სსვადასხვა ნაწი-
ლების ჰარმონიულ კავშირს მესამე მოქმედება არღვევს.
ეს მოქმედება სულ სხვა სისხლისა და ხორცისაა, ვიღრე
ოპერის დანარჩენი ნაწილები. ასე ვთქვათ, იგი ბუშია
ბ-ნი ფალიაშვილის შემოქმედებისა, და ისტუ უნდა დავუ-
შატოთ, — არც ნამდვილი სიყვარულის ცოდვის შვილია.
იგია ცივი გონებისა და ტექნიკური უნარიანობის ნა-
მოქმედარი და არა აღვზნებული განცდისა.

მას არ ატყვია ის ორიგინალობა, რაც სხვა ნაწი-
ლების თვითეულ მუსიკალურ ფრაზაში გამოკრთის. მა-
გალითად, ქარტეხილის იშ სახით გამოხატვა, როგორც
მესამე მოქმედებაშია, სხვათა ნაწარმოებებშიც შეგხვდე-
ბათ და არავითარ დამახასიათებელ ნაკვთს ფალიაშვილის
ნიჭ სას არ წარმოადგენს. ასევე ითქმის ბელიარის დიდ
არიაზე, რომელიც ამასთანავე მეტისმეტად გაჭიანურე-
ბულია. ერთი სიტყვით, მესამე მოქმედების მუსიკას არა
აქვს ორგანიული კავშირი ოპერის დანარჩენ მუსიკასთან.
მე ვთხოვ მკითხველს — იქონიოს მხედველობაში, რომ მე
ვვულისხმობ არა სცენიურ მოქმედებას, არამედ მარ-
ტოოდენ მუსიკას.

და სწორედ ამიტომ, მე მგონია, ეს მოქმედება სრულიად რომ ამოშლილ იქნეს, — ოპერა ძალიან მოიგებს. საღრამო მოქმედების ლოგიკური მსვლელობისათვის, ე.-ი. დრამატიული ხლართისათვის საკმარისია რამდენიმე რეპლიკა მიეცეს მურმანს მე-2 და მე-4 მოქმედება-ში — იმის თაობაზე, რომ შან ბელიარ-ეშმაკს მიმართა საშველად და ბელიარის წამალმა უკვე გასჭრა.

ამით მეორე აქტიდან ბუნებრივად შეიძლება შეოთხე მოქმედებაზე გადასვლა — მით უფრო, რომ ბელიარ-ეშმაკის მონაწილეობას ოპერაში ეპიზოდური ხასიათი აქვს, და ავტორს კი იგი მნიშვნელოვან პერსონაჟად გადაუქცევია.

თუ მესამე მოქმედება გამოტოვებული იქნება, მაშინ მეოთხე მოქმედებაში ბელიარის გამოსვლა საჭირო არ არის და, ამის მიხედვით, შესაძლებელი გახდება ამ მოქმედების ძლიერი, მაგრამ მეტად გაზვიადებული ან-სამბლიც შემოკლდეს.

ამისთანა დიდი კუპიურები იშვიათი არ არის საოპერო პრაქტიკაში. მაგალითად, შეიერბერის „ჰუგენოტებიდან“ მთელი მეხუთე მოქმედებაა ჯამოტოვებული. იმავე კომპოზიტორის „აფრიკელი ქალიდან“ გამოტოვებულია ნელუსკოს სიკვდილის დამოუკიდებელი სურათი. გლინკის „უიზნ ზა ცარიადან“ გამოკლებულია მთელი სურათი ტყეში საბინინის და ხოროს მიერ სუსანინის და პოლონელების ძებნისა. ამგვარ კუპიურებს თითქმის ყოველ ოპერაში შეხვდებით.

რასაკვირველია, ასეთ შემოკლებას ამ სეზონისათვის ვერ მოასწრებს ავტორი, მაგრამ შემდეგისათვის კი აღვილად მოსახერხებელია. ყოველ შემთხვევაში, ამ უამაღმაინც აუცილებელია მესამე მოქმედების იმ სცენამდე შეკვეცა, როცა მურმანი შემოდის. ამ რიგობაზევე შეიძ-

დება გამოტოვებულ იქნეს შურმანის ცხრა ძმათა და ცხრა დათა ხორული სიმღერა. ავტორს ეს შემოკლება - ნი უკვე განხრახული აქვს.

რაც შეეხება დანარჩენ შეკვეცას, მკონია, მარინ- ვარსკვლავის პირველი არია მეორე მოქმედებისა „შუქურ ვარსკვლავო“ შეიძლება გამოტოვებულ იქნეს. ეს არია თავისთავად მშვენიერი რამ არის, მაგრამ მისი კაეშნური კილო როგორლაც არ შეეფერება არც მარინის ცქრიალა ბუნებას და არც საქორწილო ზეიმს. პირდაპირ შეიძლე- ბა კანცონეტა „საყვარელო გულისა“ - ზე გადასვლა. ამ- რიგად, ნადიმის სახე საერთო სიხარულისა არ დაირ- ღვევა და რელიეფურად აღინიშნება.

ლიდის გულისკრთომით და მოკრძალებით ვწერ შემ- დეგ სტრიქონებს, მაგრამ განსაკუთრებულა სურვილი, რომ „აბესალომი“ ლირსეულად იყოს სცენაზე გამოჩი- ნებული, მაბედვინებს ამის თქმას.

ჩემი ეჭვი, რომ საოპერო დასის არტისტები და ხორო ვერ დასძლევდნენ „ჩაკრულოს“ ტესიტურისა და ტექნიკურ სიძნეებს, გამართლდა. ეს მძლეოა-მძლე ჰან- გი, მათი გადმოცემით, გაუფერულდა და დაიჩრდილა. ამის ბრალია, ჯერ ერთი, მისი სიძნეელე აღსრულებისათ- ვის და, მეორეც, პირველი ხმისა და მოძახილის მთქმე- ლისათვის ამ ჰანგის ხასიათის სრული უცნობობა. მათი დაძახილი — სიმღერა კი არ იყო ნადიმით აღტყინებული ლალი მომღერლებისა, არამედ — ბრძოლა მათ უილა- ჯობასა და ჰანგის ბუმბერაზულ სირთულეს შორის.

ამისდამიუხედავად, მაინც „ჩაკრულოს“ სრულიად გა- მოტოვება ცოდო იქნებოდა. მხოლოდ ის კი მისაღებია, რომ იგი შემოკლებულ იქნეს. ჩემის აზრით, იგი შეიძ- ლება დაიწყოს იმ ადგილიდან, სადაც სიმღერაში მარინ-

ვარსკვლავი ჩაერევა. სულერთია, მარიხი მთელ ჰანგს იშეორებს და მისთვის, როგორც პირველი პერსონაჟისათვის, უფრო აღვილი დასაძლევაა იგი, რაც წარმოდგენამაც დაამტკიცა. რასაკვირველია, თუ გამოჩენდებიან საოანაღო მომლერალნი, მაშინ შეიძლება ჰანგის მთლიანად თქმა.

ერთი უკანასკნელი შენიშვნა კიდევ, რომელიც ზევით უკვე გაკვრით აღვნიშნე. ეს შეეხება აბესალომისა და მურმანის დუეტს „მურმან, მურმან, შენსა მზესა“.

ხოროს მონაწილეობა ამ დუეტში, ჩემის აზრით, საკონცერტო იერს აძლევს ამ ჰანგს. — გეგონებათ, ისე, ლამაზი სიმლერაა და რატომ არ გამოვიყენოთო. მაშინ როდესაც დუეტი თავისთავად ღრმა დრამატიზმით არის დასევადებული და კომპოზიტორის მიერ ისეა შემუშავებული, როგორც ბუნებრივი ნაწილი დრამატიული მომენტის მუსიკალურად დასურათებისა. ხოროს მოძახილი რომ ორკესტრში იქნეს გადატანილი, დუეტს ჩამოეცლება საკონცერტო ხასიათი.

ყველა ზემოაღნიშნულის გამოკლებით ოპერას არაფერი დააკლდება, — მაღლობა ღმერთს, ოპერაში მუსიკა ულეველია. სამაგიეროდ, იგი დაიხვეწება ყველა ზედმეტი ნაწილისაგან და დადგება ნამდვილი თავანკარი ნაკადი მუსიკალური შემოქმედებისა, რომლითაც შეუძლიან თავი მოიწონოს არა მარტო ავტორმა, არამედ თვით ქართულმა ხელოვნებამაც...“

აი, ყველა ეს შენიშვნა მიღებულ იქნა ავტორის მიერ და განპორციელდა უკლებლივ, თუ არა ვცდები, „აბესალომის“ უკვე მეოთხე წარმოდგენიდგან, და მთელი ოცი წლის განმავლობაში „აბესალომს“ ვხედავთ სწორედ იმ სახით, რა სახითაც გვინახავს გუშინ თუ გუშინწინ.

ალსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მურმანის არია „ამომბალსა მზეს სწუნობს“, რომელსაც იგი გამოკლებულ მესამე მოქმედებაში მღეროდა, მაშინვე გადატანილ იქნა ოპერის პირველი მოქმედების მეორე სურათის დასაწყისში, რაც სრულიად ბუნებრივი იყო აწ უკვე მიღებულ ცვლილებათა გამო.

მკითხველი ნუ გაიკვირვებს, რომ ეს ნაწერი დავტვირთე ამოღენა ამონაწერით ძველი რეცენზიიდან. „აბესალომი“ ისეთი დიდი თარგია ჩვენი ეროვნული კულტურისა და მოწოდებულია, იმდენად წარუშლელი კვალი დასტოვოს ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებაში, რომ, ვიმეორებ; ამ ხელოვნების ისტორიისათვის მომავალში დიდი მნიშვნელობა ექნება ყოველ ცვლილებას, რაც ამ ოპერამ განიცადა და შეიძლება განიცადოს შემდეგშიაც.

ამას გარდა, ეს მეტად დამახასიათებელია, თვით ზაქარია ფალიაშვილისა, როგორც პიროვნებისა და როგორც შემოქმედისა.

ვინც, საზოგადოდ, ავტორის ფსიქიკა იცის, იმან ისიც უნდა უწყოდეს, თუ რა ძნელია ავტორისათვის თავისი ნაწარმოების თუნდაც სულ უმნიშვნელო ნაწილის განწირვაც კი. ვინ იცის, რა თავისმტვრევად, რა ტვინის წამებად ულირს მას, შეიძლება, სწორედ ეს გასაწირი ნაწილი. ვინ წარმოიდგენს, რა იმედებს ამყარებდა მასზე, და იმან უეცრად უნდა მოიგლიჯოს იგი და გადააგდოს, ვით უვარგისი რამ... ეს ნამდვილი ვივისექცია!

მართლაც, ზაქ. ფალიაშვილისათვის ეს ძალიან შტკივნეული და რთული ოპერაცია იყო. მერე, ვინ ურჩევდა ამ ოპერაციას? არა რომელიმე ავტორიტეტის მქონე დოსტაქარი, არამედ შემთხვევითი ადამიანი, რომელიც ჯარა-ექიმობასაც ვერ დაიქადებდა. მაგრამ იგი ხედავდა,

რომ ოპერაცია წაკარნახევია წმინდის გულია და ჭეშმარიტის თაყვანისცემით მიარი ნიჭისაღმი. თანაც შემოქმედის დიდმა ალლომ ამცნო მას, რომ ეს ინტუიტურად მიწოდებული რჩევა მისაღებია და ზაქარიაშვილისთვის დიდი დასათმობი.

და ამით არაფერი არ წააგო. პირიქით, იმის გარდა, რომ „აბესალომი“ განტვირთა ზედმეტი ბარგასაგან, შემდეგში ეს ბარგიც გამოიყენა უკვე შესაბამისად ნაწილობრივ მეორე ოპერა „დაისისა“ და მესამე ოპერა „ლატავრასათვის“.

* * *

თუმცა საზოგადოება დიდის აღმატებით შეხვდა „აბესალომს“ და, როგორც ამბობენ ხოლმე, მას საერთოდ კარგი პრესსა ჰქონდა, მაგრამ ამ მხრივ სრული ერთსულოვნება მაინც არ იყო.

ის რა მადლი იქნებოდა მაშინდელ საქართველოში, რომ საღმე საზოგადოებრივი ცხოვრების ძირზე მატლს არ გაეჩურჩუნა. აქაც ასე იყო.

შური და ღვარძლი ხომ მატლიერით მალულად ფუთ-ფუთებს. აქა-იქ გაიგონებდით: „ეს რა ოპერაა? ეს ორგანული მუსიკაა“, „ეს ხალხური სიმღერების არანუიროვკაა და არა ოპერა“. და სხვა ამისთ. და, წარმოიდგინეთ, ამ თითქო გაუჟედავთ მითქმა-მოთქმის ანარეკლი იყო, ან—უკურო სწორედ რომ ვთქვათ—ეს გითქმა-მოთქმა ანარეკლი იყო იმ ყოვლად უხამსი რეცენზიისა, რომელიც გაჩ. „გრუზიაში“ დაიბეჭდა „აბესალომზე“ პირველი წარმოდგენის შემდეგ.

საყურადღებოა, რომ იმავე გაჩ. „გრუზიაში“ 1919 წლის ოებერვლის 23-ს (№ 42) დაიბეჭდა პატარა შე-

ნიშვნა, რომელშიაც ვინმე „Π“ დიდმნიშვნელოვან მოგ-
ლენად აღიარებდა ზედიზედ ერთმანეთზე მიყოლით ორი
ქართული ორიგინალური ოპერის დადგმას (დ. არაყი-
შვილისა— „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დაიდგა 1919
წლის ოქტომბერის 5-ს, ხოლო ზაქ. ფალიაშვილისა— „აბე-
სალომი“ — იმავე ოქტომბერის 21-ს), და იმ აზრისა იყო,
რომ ორივე ეს ოპერა „უეჭველად განძის შეტანაა საერ-
თო-მსოფლიო საგანძურაში და არ ჩამორჩება ბევრ ცნო-
ბილ ევროპულ ოპერას“.

შემდეგ „Π“ ამბობს: „გადაგვაჭვს რა დაწვრილები-
თი განხილვა შემდეგი დროისათვის, მოვალეობად ვთვლით
ალენიშნოთ, რომ არაქჩიულის ოპერა შეიცავს ორ მუსი-
კალურ სცენას, და ძალიან სასურველი იქნებოდა, — რომ
ნიჭიერმა მაესტრომ შეიმუშაოს მესამე სცენაც შოთა
რუსთაველზე, სახელდობრ პოეტის გამოთხოვებისა თა-
მარ-დედოფალთან და ხალხთან და ხალხის წუხილისა
საყვარელი პოეტის შორს ქვეყნებში წასვლის გამო.

ფალიერის ოპერა კი შეიცავს 6 სცენას, რომელთაგა-
ნაც მე-4 სცენას (ე. ი. პირვანდელი ვარიანტის მე-3 მოქმ. —
ი. ზ.) ემპერატორის ადმინისტრაციული გაჭიმულობა (ратстважен-
ность), რაც შემდეგ დადგმებში საჭიროა თავიდან აცი-
ლებულ იქნეს. მე-3 და მე-6 სცენები წარმოადგენენ შე-
მოქმედების მეტად თვალსაჩინო (яркие) ნიმუშებს, ევრო-
პელი კომპოზიტორების საუკეთესო ქმნილებათა თანა-
ბარს“.

ხოლო ერთი დღის შემდეგ (თებერვლის 25-ს) იმავე
„გრუზიაში“ (№ 43) დაიბეჭდა არა „Π“-ის, არაუედ ვან-
გე „A. B-ის“ ის საკმაოდ დიდი რეცენზია ასეთი სათაუ-
რია: „Абесалом и Эгерি“ (Опера З. П. Палиева). ამ
რეცენზიაში 286 საგაზეთო სტრიქნია; აქედან „აბესა-

ლომის“ მუსიკის „შეფასებას“ დათმობილი აქვს მხოლოდ 93 სტრიქონი, ისიც — აქ-იქ სალათაიო წიაღსვლებით. ამ რეცენზიაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„...მაგრამ ახლა, როდესაც ნახვა შესაძლებელია სახელმწიფო თეატრის სცენაზე, დაღვა მომენტი, როდესაც აღარაფრის დაფარვა აღარ შეიძლება. გვიჩვენეთ ყველაფერი, ვისაც რა აქვს, და ჩააბარეთ გამოცდა.

პირველი ასეთი გამოცდა მოუხდინებ 5 თებერვალს ბ-5 არაქტივს. ეს გამოცდა რიგზე (ნლაგოილუკი) ჩაბარებულად უნდა ჩავთვალოთ. რაც შეეხება მეორეს (ზაქარია ფალიაშვილს — ი. ზ.), აქ საკითხი რამოდენად-მე უფრო რთულია“.

აღნიშნავს რა, ცოტა არ იყოს ირონიით, რომ ზაქ. ფალიაშვილი ხარს პირდაპირ რქებში დაებლაუჭაო (რუსული გამოთქმაა, რაც ძნელი საქმისათვის ხელისმოკიდებას ნიშნავს), ე.-ი. შეპქმნა ხუთმოქმედებიანი ოპერაო, რეცენზიანტი განავრძობს:

„თუ მხელველობაში ამ კომპოზიტორის ბაგაჟს მივიღებთ, დავინახავთ, რომ იგი უმნიშვნელოა, და თითქმ ასეთი ამოცანისათვის არასაკმარისი. მაგრამ თვით ავტორმა — ისე, როგორც მისი კოლეგების უმრავლესობამაც, აკერის შემოქმედებას (творчество оперы — ვერაფერი რუსულია — ი. ზ.) მეტისმეტად იოლად შეხედა და, ყოვლის მიუხედავად, შეასრულა ჭეშმარიტად „სიზიფის სამუშაო“¹⁾.

მისი მუშაობა — ამბობს რეცენზიანტი — მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად — ასე ვთქვათ — ტვინისა და შემოქმედ-მხატვრულ მუშაობაზეო.

¹⁾ კურსივი ყველგან ჩემია — ი. ზ.

„...მართალი რომ ვთქვათ, შემოქმედი მხარე სრულიად არა ჩანს, არამედ ჩანს მხოლოდ ერთადერთი მუშაობა ტვინისა. მთელი ოპერის მანძილზე არ არის, არსებითად, არც ერთი მომენტი, რომელმაც დაიკყროს მსმენელი, აგრძნობინოს მას ღვთიური ნაპერ წერტკალი ავტორში. იყო თითქო ერთი მომენტი, რომელმაც შესძრა საზოგადოება,—ეს იყო ცეკვა და ნაწილობრივ საქორწილო ხორო, მაგრამ შემდეგ ესეც საერთო ერთფეროვნებაში ჩაიხშო. მაშინაც კი, როდესაც ავტორი ხელსა ჰკიდებს ხალხური სიმღერების შემუშავებას, როგორიცაა, მაგალითად, შესანიშნავი სანადიმო სიმღერა „ჩაკრულო“, ჩვენ ვერ ვხედავთ იმის უნარს, რომ იგი სათანადოდ მისდგომოდეს ამ სიმღერას, რის გამოც გამოვიდა რაღაც პანაშვიდის მსგავსი რამ. ან ავილოთ ცეკვის მოტივები. ნუთუ მთელს საქართველოში არ შეიძლებოდა უფრო საინტერესო შასალის მოძებნა. თითქმის რუბინშტეინსაც კი გაცილებით უფრო საინტერესო მოტივები აქვს, ხოლო ავტორი ხომ მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოში ცხოვრობს! მაგრამ რაც ავტორს არ გააჩნია, იმას ნურც მოვთხოვთ—არა აქვს ღვთიური ნაპერ წერტკალი“.

ოპერაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, ამბობს რეცენზენტი, რადგანაც იგი მოცულობით უზარმაზარია:

„...ჩვენ გვაქვს საქმე-კომპოზიტორთან არა წყალობითა ღვთისათა, არამედ პროფესიონალ-მუსიკოსთან, რომელსაც შეთვისებული აქვს სამუსიკო და საორკესტრო ტექნიკის სეკრეტები...“

და თუმცა ოპერის დაინსტრუმენტებას რეცენზენტი აქებს, — საქმის კარგი ცოდნით არისო გაკეთებული, მაგრამ აქაც... იგი თურმე დატვირთული ყოფილა და მომღერლებს ახრჩობსო.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავია რეცენზენტის შორს მხედველური დასკვნა ოპერას სვე-ბედზე:

„პირველი წარმოდგენა დაიწყო, რვას რომ 20 წუთის აკლდა, გათავდა, ღამის მეორე საათს რომ ერთი მეოთხედი აკლდა. თუ მეორეჯერაც ასე გავრძელდა, ყოველსავე, რაც უკვე ვთქვით, მოგვიხდება დავუმატოთ: ოპერა ოვით მოუღებს თავისთავს ბოლოს (ოპერა სამა ისახავს დოკონაეთ“).

აქ, რასაკვირველია, პოლემიკის არ გავუმართავ უპასუხისმგებლო რეცენზენტს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კალამს მხოლოდ ერთის ღვარძლიანი ტენდენციით იღებდა ხელში: რათა, საკუთარი ჟინის მოსაკლავად და ყოველი საბუთის გარეშე, დაერწმუნებინა ხალხი, რომ „აბესალომი“ არარაობაა, რომ მის ავტორს ღვთიური ნაპერ წერალი არ გააჩნია, რომ იგი კომპოზიტორია არა წყალობითა ღვთისათა, ერთის სიტყვით, უნიჭოა და ვიღაც სხვა არის ყველა ამ მაღლით მოსილი, და რომ იგივე ზაქ. ფალიაშვილი სიზიფივით ამაოდ დაშვრა თავის „ვითომ დიდ“ მუშაობაში.

თითონაც კარგად იცოდა, რომ ასეთი გაწბილება „აბესალომისა“ და მისი ავტორისა მიზანს ვერ მიაღწევდა, ხალხს გულს ვერ შეუცვლიდა. საცოდავი! პასუხის ღირსაღაც არავინ გახადა!

სამაგიეროდ, ულმობელმა სინამდვილემ გასცა სასტიკი პასუხი.

ეს პასუხია — ის ოცი წელიწადი, რომლის განმავლობაშიაც „აბესალომი“ ყოველთვის აღტაცებას იწვევდა ქართველ ხალხში:

ეს პასუხია — ის ტრიუმფი, რომლითაც „აბესალომის“ შეხვედრენ მოსკოვის საზოგადოება და მუსიკალური წრეები.

ეს პასუხია — ის, რომ ზაქარია ფალიაშვილის პირმშონაწარმოები გვერდში ამოუყენეს ბეთჰოვენისა, მოცარტისა და გლინკას ნაწარმოებთ არა ზემოხსენებული რეცენზენტისთანა დამფასებლებმა, არამედ საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო მუსიკოსებმა იმავე მოსკოვში, სადაც საზოგადოება თურმე ყოველთვის აღტაცებულის ტაშით ეგებებოდა სწორედ მისგან „გაპანაშვილებულ“ „ჩაკრულოს“.

ეს პასუხია — „აბესალომის“ ბრწყინვალე აწყო და, უეჭველია, უფრო ბრწყინვალე მოშავალი.

ეს პასუხია, ჟამოლოს, — სსრ კავშირის შთავრობის მიერ ზაქარია ფალიაშვილის ღვაწლის — არა სიზიფის უნაყოფო შრომად, არამედ დიდ დამსახურებად აღიარება და ლენინის ორდენით დაჯილდოებული თეატრისათვის სწორედ ზაქარია ფალიაშვილის სახელის მიკუთვნება. ამ თეატრს კი სწორედ „აბესალომი“ ამშვენებს, ვით თვალი პატიოსანი.

და თუ მაინცა და მაინც საჭიროდ ვცანი აღმენიშნა ეს ყრუ დისონანსური გამოხმაურება „აბესალომის“ უაღრესად კეთილხმოვან მუსიკაზე, — ეს მხოლოდ ისტორიისათვის.

ისტორიაში კი დიდი მაღლი და დიდი ცოდვა ხშირად მხარდამხარ დადიან. მომავალმა მკვლევარმა უნდა იცოდეს, სად მაღლია და სად ცოდვაა.

შაინც საინტერესოა, რასა გრძებობს ასეთი მკაცრი პასუხის შემდეგ „რეცენზიის“ ავტორი, თუ წუთისოფელმა დაინდო და კიდევ ქვეყნად არსებობს?

გრძნობს თუ არა თავის შეცდომას?

არა მგონა!

აქ შეცდომა კი არა, სულ სხვა „სულისკვეთება“ იყო –
აქ ნამდვილი სიძულვილი იყო, უშრეტი, ბრშა სიძულვილი
„აბესალომისა“ და მისი ავტორისადმი.

აქ, თითქო, რაღაც მსგავსი რამ იყო დიდი მოცარ-
ტის და კნინი სალიერის ურთიერთობისა...

II

ვიდრე იმის გამორკვევას შევუდები, თუ რა ფორმით არის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დაწერილი, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო საერთოდ ოპერის. სხვადასხვა მთავარ სახეს.

იმ დროს, როდესაც „აბესალომი“ იწერებოდა (და ახლაც) გაბატონებული იყო ოპერის ორი მკვეთრად გამორკვეული სახე: ეგრეთწოდებული „დიდი ოპერა“ (იგივე ოპერა-სერია) და „მუსიკალური დრამა“. პირველის შემქმნელად ჯაკომო მეიერბერი ითვლება, ხოლო მეორისა და საერთოდ ოპერის რეფორმატორად რიპარდ ვაგნერი.

ამ ორი სახის ოპერის მუსიკალური ფორმების ხასიათზე თუ სტილზე ქვევით მექნება ლაპარაკი. ახლა კი მოკლედ შევეხები „დიდი ოპერის“ გარეგან სახეს, მუსიკალურ სტრუქტურას, ვინაიდან, რამდენადაც მე მგონია, „აბესალომი“ სწორედ ამ ოპერის ყაიდისაა.

სტრუქტურულად „დიდი ოპერა“ არც თუ ძალიან განესხვავება წინანდელ და აგრეთვე მის თანადროულ იტალიურ ოპერებს, ვინაიდან თითქმის ყველაფერი ის, რაც ამ ოპერის ხასიათის მუსიკალურ ნაწარმოებებშია, წინანდელ ოპერებშიაც იყო: არიები, დუეტები, ტრიოე-

ბი, კვარტეტები, სექსტეტები, სეფტეტები და ანსამბლებიც კი. მაგრამ ყოველივე ეს ამ ოპერებში ისე იყო განლაგებული და ურთიერთისაღმი განწყობილი, რომ ოპერა ერთი მთლიანი ნაწარმოების სახეს არ იძლეოდა და ცალკეული საკონცერტო ნომრების ასხმულა უფრო იყო; ვიდრე ერთი სიუჟეტიანი მუსიკალური ნაწარმოები.

„დიდ ოპერაში“ ყველივე თავმოყრილია მთავარი სიუჟეტის განსავითარებლად და უწყებული სცენიური სიტუაციის დასახასიათებლად. თვითეული ცალკე ნომერი მჭიდროდ არის ერთი-მეორესთან დაკავშირებული და ერთი-მეორისაგან ბუნებრივად გამომდინარეობს, როგორც განუთვითებელი ნაწილი ერთი მთლიანი ნაწარმოებისა.

ამასთანავე, გაძლიერებულია ორკესტრისა და ხოროს მნიშვნელობა. აქ ორკესტრი მარტო აკომპანიმენტი როდილაა ვოკალური ფრაზისა, არამედ ამ ფრაზის შემავსებელი და სცენიური მდგომარეობის მუსიკალური ილუსტრაცია, ხანდახან უფრო მკვეთრად მეტყველი, ვიდრე თვით ვოკალური ფრაზა, აგრეთვე აღარც ხოროა წინანდელი დანაწონი, ამათუმ ვოკალურ ნომრებშუა ცარიელი ადგილის შემავსებელი, არამედ — ლოგუკურად საჭირო მონაწილეა მუსიკალური დრამისა, მისი გამაღრმავებელი და ხან კი თავისთავდად მოქმედი, როგორც ხალხის შენაერთი გრძნობისა და ახრის გამომხატველი.

„შემდეგ, მთავარი, რაც „დიდ ოპერას“ ახასიათებს, — ეს არის სიუჟეტის დრამატიზაცია და მოქმედ პირთა ხასიათის გამოვლინება მუსიკალური ფრაზით, სიმღერა იქნება იგი, თუ საორკესტრო ილუსტრაცია.

ერთი სიტყვით, ესაოუის მუსიკალური ფორმა აქ გამოყენებულია არა მარტო საამო ჰანგით სმენის და სატექნიკობად, არამედ სხვადასხვა ნამდვილი უდამიანური

გრძნობის გამოსათვემელად, ამათუიმ აზრის ან იდეის გა-
მოსახატავად. ჩაც ოპერის შინაარსით . (ლიბრეტოთი)
არის ნაგულისხმევი.

ამრიგად, გამოდის, რომ „დიდი ოპერის“ ცნება
უნდა გულისხმობდეს არა საერთოდ ოპერის ფორმის თუ
ფორმების შეცვლას (ამ რეფორმას რიპარდ ვაგნერს
აკუთვნებენ), არამედ ოპერის, როგორც ერთერთი მუსი-
კალური დარგის განვითარებას, ღირსების ამაღლებას,
ოპერის შინაარსის გასერიოზულებას, თუ ასე ითქმის,
ნამდვილ მუსიკალურ დრამად გარდაქმნას თავის წინან-
დელ ფორმებში.

ხოლო ეს კიდევ არა ნიშნავს ეროვნული მუსიკა-
ლური დრამის შექმნას.

ევროპული „დიდი ოპერის“ ყაიდის თითქმის ყველა-
მუსიკალური ნაწარმოები ეკლექტურია, საერთაშორისო,
ე. ი. ევროპული (ჩემის გაგებით) მუსიკის შემკველი. რა-
საკვირველია, ამათუმ აპერაში აქ-იქ შევხვდებათ ტი-
პიური ეროვნული ფრაზა, ან, შეიძლება, მთელი ნომერიც,
მაგრამ მთლიანად ოპერის მუსიკის გენერალური ხაზი
ისეთია, რომ ვერ გაარჩევთ, სად თავდება, მაგალითად,
სპეციფიკურად ფრანგული მუსიკა და სად იწყება იტა-
ლიური, ან ესათუის ნომერი გერმანულსა, ფრანგულსა,
თუ იტალიურ მელოდიაზე აგებული, თუ არა.

დიდი რუსი კომპოზიტორი ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი
ამბობს:

„... ეროვნების გარეშე მუსიკა არ არსებობს,
და, არსებითად, ყოველგვარი მუსიკა, რომელსაც ზო-
გადკაცობრილულად სთვლიან, მაინც ეროვნულია. ბეთ-
ვოვენის მუსიკა გერმანული მუსიკაა, ვაგნერისა—
უეჭველად გერმანულია, ბერლიოზისა—ფრანგულია,
მეიერბერისა—ავრეთვე; შეიძლება მხოლოდ ძველი

ნიდერლანდელების და იტალიელების კონტრაპუნქტული მუსიკა, რომელიც უფრო გნგარიშზეა დამყარებული, ვიდრე უშუალო გრძნობაზე, მოკლებული იყოს რაიმე ეროვნულ ელფერს“. („Петопись моей музыкальной жизни“, 1932 №., გვ 285).

მეტად საყურადღებოა აგრეთვე აზრი ამავე საგანზე დიდი მწერლისა და მუსიკის შესანიშნავი მცოდნის რომენ როლანისა, რომელიც, ახასიათებს რა თავის მონაგრაფიაში ფრანგი კომპოზიტორის ბერლიოზის შემოქმედ გენიას, სხვათა შორის, ამბობს:

„პირველი ფრანგული ოპერის დამარსებელი, ლული, — ფლორენციელი იყო. მეორე ფრანგული ოპერის დამარსებელი, გლუკი, — გერმანელი იყო. მესამე ფრანგული ოპერის დამარსებელნი, როსსინი და მეიერბერი, — ერთი იტალიელი იყო, მეორე გერმანელი. კომიკური ოპერის შემქმნელნი იყვნენ: ერთი — იტალიელი, დუნი, მეორე — ბელგიელი, გრეტრი. ფრანკი, რომელმაც გარდა ჯმნა ჩვენი თანადროული სკოლა, აგრეთვე ბელგიელი იყო. მე მომყავს მხოლოდ დიდი სახელები. ამ აღამიანებმა შემოიტანეს ჩვენში თავიანთი რასის სტილი, ან ისინი ცდილობდნენ შეექმნათ, როგორც ამას გლუკი შვრებოდა, „საერთაშორისო სტილი“, რომელშიაც სპობლენ ჩვენი სულის ნამეტნავად დამახასიათებელ და ინდივიდუალურ ნაკვთებს. კომიკური ოპერა, რაც ყველაზე უფრო ფრანგული ჟანრია, ქმნილებაა ორი უცხოელისა, და გაცილებით ბევრად უფრო დამოკიდებულია იტალიურ ოპერა-ბუფზე, ვიდრე ეს აღიარებულია. ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების ეს დარგი ძალიან ნაკლებად წარმოადგენს რასას. თვით ზომიერი მოაზროვნენიც ჭრ, რომელნაც ცდილობდნენ განთა-

ვისუფლებულიყვნენ იტალიური ან გერმანული შუსიკის
გავლენისაგან, უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ იმას აღ-
წევდნენ, რომ ჰქმიდნენ შუალედურ იტალიურ-გერმა-
ნულ სტილს, რომლის ტიპსაც წარმოადგენს ოპერა, დაწ-
ყებული ამბრუაზ ტომათი და გათავებული ობერით.
მართალი რომ ვთქვათ, ბერლიოზამდე იყო სულ ერთად-
ერთი პირველხარისხოვანი კომპოზიტორი, რომელიც
მედგარი ძალვით ცდილობდა გაენთავისუფლებინა
ფრანგული მუსიკა მონობისგან: ეს იყო რამო,—და,
მიუხედავად თავისი მუსიკალური გენისა, იგი დამარ-
ცხებული აღმოჩნდა იტალიური ხელოვნების მიერ.
ამრიგად, გარემოებათა გამო, ფრანგული მუსიკა აღ-
მოჩნდა მისთვის უცხო მუსიკალური ფორმების ტყვეო-
ბაში. და სწორედ ისე, როგორც მე-XVIII საუკუნის
გერმანია ცდილობდა მიებაძა ჩვენი არქიტექტურული
და ლიტერატურული ფორმებისათვის, მე-XIX საუკუნის
საფრანგეთი მიეჩვია მუსიკაში გერმანულად მეტყვე-
ლებას. და, ვინაიდან ადამიანთა უმეტესობა აზროვ-
ნებს იმდენად, რამდენადაც ლაპარაკობს, ამიტომ
თვით ჩვენი აზრიც გერმანული გახდა; დიდი ძალის
დაძაბვაა საჭირო, რათა ამ ტრადიციული სიყალბის
ქვეშ კვლავ ვპოვოთ ფრანგული აზრის გამოთქმის წრფე-
ლი და უშუალო ფორმა.

ბერლიოზის გენიამ ინსტიქტურად კვლავ ჰპოვა
იგი. დაწყებული თავისი პირველი ნაწარმოებებითვე,
იგი შეუდგა ჩვენი მუსიკის განთავისუფლებას ამ უცხო
ტრადიციის უზარმაზარი ტვირთისაგან, რომელიც
მას ახრჩობს. („Музыканты наших дней“, 1923 წ.
გვ. 45—46).

როგორც ვხედავთ, ეროვნული მუსიკის თავისთავე-
ლობა თითქმის მთელს ევროპაში საკმარისად ჸაეჭვოა,
რაკი თვით ისეთი კულტურული ქვეყანაც კი, როგორიც
საფრანგეთია, ამ მხრივ დამოუკიდებელი არა ყოფილა.
მართალია, დიდი შემოქმედი და ერუდიტი ნ. ა. რიძესკო-
კორსაკოვი ამტკიცებს, ყოველგვარი მუსიკა ეროვნუ-
ლიაო, მაგრამ ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ესათუის
მუსიკალური აზრი, ფრაზა, უეჭველად დაბადებულია
გახსაზღვრული ერის წიაღში, თუმცაც მას სულ სხვა
ერის მუსიკაში ვხვდებოდეთ.

ყოველ ჩემთხვევაში, ერთი რამ აშკარაა: ევროპის
ხალხთა მუსიკალური კულტურა, რამდენადაც იგი ინდი-
ვიდუალურ შემოქმედებაში გამოიხატება, იმდენად გა-
დაიხლართა ერთმანეთში, იმდენად მჭიდრო აღებმი-
ცემობაშია, რომ ძნელი გასარჩევია, მისი ეროვნული სახე
თუ თავისებურება.

და თუმცა, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ,
აქ (მე ვგულისხმობ საოპერო მუსიკას), თითქო გაბატო-
ნებული უნდა იყოს ორი მძღვრი ნაკადის გავლენა—
იტალიური და გერმანული მუსიკისა, მაინც ამ ორი
ერის მუსიკაც ხელშეუხებელი არ უნდა დარჩენილიყო
და, უეჭველია, უნდა განიცდიდეს სხვა ერთა მუსიკის
ღიღ გავლენას.

ეს დებულება რომ უსაფუძვლო არ არის, ამას,
როგორც მუსიკის ისტორია გვასწავლის, ის გარემოებაც
ამტკიცებს, რომ თვით გერმანიაში ეროვნული მუსიკის
წარმომადგენლად ვებერი ითვლება თავისი შესანიშნავი
ოპერით „ფრაიშუცით“ („ჯადოსანი მსროლელი“), ხო-
ლო მის მიმდევრად ამ მხრივ რიპარდ ვაგნერი, ისიც
ზოგიერთ ნაწარმოებში. საერთოდ კი იქაც გაბატონებუ-

ლია სწორედ ის „საერთაშორისო“, თუ „ზოგადკაცობრიული“ მუსიკა, რომლის შექმნასაც, რომენ როლანის სიტყვით, ასე ცდილობდა გერმანელი გლუკი საფრანგეთში.

ამიტომ, მგონია, შეცდომა არ იქნება, ვიფიქროთ, რომ ევროპული მუსიკა, მთლიანად აღებული, უფრო ეკლექტურია (ე. ი. არც გერმანული, არც ფრანგული, არც იტალიური), ვიდრე ეროვნული. ესათუის გამონაკლისი ამ საერთო ვითარებას არ უნდა სცვლიდეს.

* * *

სულ სხვა მდგომარეობას ვხედავთ რუსეთში. ისე არსად განვითარებულა და გაშლილა მრავალფეროვნად ეროვნული ოპერა, როგორც აქ. მართალია, ამას თითქმის ას წლამდე დრო დასჭირდა, დაწყებული 1755 წლიდან, როდესაც იტალიელმა მუსიკოსმა არაია დასწერა რუსულად შედგენილ სიუჟეტზე პირველი „ვითომ რუსული“, ოპერა,—ვიდრე 1836 წლამდე, როდესაც პირველად დაიდგა გლინკას „ჟიზნ ზა ცარია“ („ივან ლუსანინი“).

ამ ხნის მანძილზე არა ერთი რუსი კომპოზიტორი (და უცხოელნიც, რომელნიც მრავლად მოღვაწეობდნენ რუსეთში) ცდილობდა ნამდვილი რუსული ოპერის შექმნას. მათ შორის ალსანიშნავია ვერსტოვსკი და მისი, შედარებით, საკმაოდ ცნობილი ოპერა „ასკოლდის საფლავი“ („Аскольдова могила“). მაგრამ აქ და დანარჩენ duasi-რუსულ ოპერებში ესათუის რუსული მელოდია მოცემულია შემთხვევითს ნომრებად, როგორც საკონცერტო რამ, და, იმის გარდა, რომ თავისთავად სავჭვო ღირსებისაა, არ შეადგენს, ამასთანავე, ოპერის ერთ მთლიან ძირითად მუსიკალურ სტილს.

სულ სხვაა გლინკას მუსიკა.

ვისაც უნდა შეიგნოს რუსული მუსიკის ნამდვილი მშვენება და მეტყველი ძალა, იმან უნდა მოისმინოს „ივან სუსანინი“, თორემ არავითარ სიტყვას არ ძალუძს მისი ანასახის გადმოცემაც კი.

და, როდესაც თქვენ მოისმენთ მთელ ოპერას და კერძოდ კი ხოროს გმირულ სიჩლერას „В бурю-ль, во грозу“-ს (1-ლ მოქმ.), სადღესასწაულო „Славься“-ს, (აპოთეოზი), წუხილით სავსე ტრიოს და მერე ანსამბლს „Не томись, родимый“ (1-ლ მოქმ.), საბინინის (ტებორის) ვაჟკაცურ დაძახილს „После битвы молодецкой“ (1-ლ მოქმ.), ვანიას ნაღვლიან „Как мать убили у малого птенца“-ს (2-მოქმ.), მისვე „Не плачь, сиротинушка“-ს, როდესაც მოისმენთ მე-II მოქმ. მე-2 სურათში პოლონური ბანკის თავბრუდამხვევ საცეკვაო მუსიკას—პოლონეზს, კრაკოვიაკსა და, განსაკუთრებით კი, მაზურკას (ნახვა კი-დევ სხვა იქნება) და ივან სუსანინის დიდ არიას „Чуют правду“-ს (უკან. მოქმ.), აი მაშინ შეიგნებთ, თუ რა დიდი მხატვარ-შემოქმედია ის ხალხი, რომელიც თავისი დიდებული შვილის გლინკას პირით ასე საოცნებოდ მეტყველებს, და რომლის გვერდითაც დგას ქართველი ხალხი ჭირშიაც და ლხინშიაც—არა წინანდებურად, ვით ჩაგრული მხაგვრელის წინაშე, არამედ ახლებურად, ვით თანასწორი თანასწორის წინაშე, მხარდამხარ.

* * *

ეროვნული კულტურის შემქმნელი და შემნახველი ხალხია, იგი ინტუიტური შემოქმედია და უმეტეს შემთხვევაში თითონაც არ იცის, რის შემძლეა და რა განძის

პატრონი. მაგრამ მის წიაღშივე დრო-და-დრო იბადებიან იშვიათი მაღლით მოსილი ადამიანები, რომელნიც ბუნებისაგან მათთვის მიკუთვნებული გონების თვალით და გულისყურით ღრმად იხედებიან ხალხის მიერ დაგროვილ საგანძურში, ამოკერებენ იქიდან ძვირფას თვალ-ჯავარს და, თავიანთ არსებაში ათვისებულსა და გარდაქმნილს, ხალხსავე უბრუნებენ მის საოხად და სადიდებლად, ვით ცოცხალ გრძნეულ სარკეს, რომელშიაც ხალხი ხედავს თავის შემოქმედ სახეს.

დიდი ბედნიერება იუო თითონ ზაქარია ფალიაშვილისთვისაც, როგორც შემოქმედი პიროვნებისათვის, და ქართული მუსიკისთვისაც, რომ იგი, უკვე სათანადოდ მომზადებული და განსწავლული მუსიკის სფეროში, ოპერის წერას შეუდგა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ეზიარა და შეეთვისა ქართველი ხალხის მიერ მრავალი სალკუნის განმავლობაში ინტუიტურად შექმნილ მუსიკას.

ხალხმა კი მეტისმეტად მდიდარი მუსიკა შექმნა სხვადასხვანაირი სიმღერებისა და საგალობლების (სასულიერო) სახით.

იგი მრავალხმიანია (პოლიფონიური), — ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ სამხმიანისა, რაც თავისთავად განვითარების მაღალ-საფეხურს გვიჩვენებს.

იგი ყოველგვარი გრძნობისა და მოქმედების გამოყენებელია. შრომა, კულტი, ვაჟკაცობა, მიჯნურობა, სილალე, სიხალისე, წუხილი — საპირადო და საყოველთაო — და მრავალი სხვა მოვლენა, რაშიაც ადამიანთა ურთიერთობა და ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულება ვლინდება, — ყოველივე ეს თვალნათლივად გამოითქმის ამ სიმღერებში.

იგი მრავალფეროვანია ეთნოგრაფიულად და საქართველოს ყოველი კუთხის ბუნებისა და მოსახლეობის დამახასიათებელი თავისებურების ამსახველი.

მართლაც და, როდესაც ქართლ-კახურ სიმღერებს ისმენთ, დიდი მხატვრული ალოო როდია საჭირო იმისათვის, რათა ცოცხალ სურათად წარმოიგინოთ ფართოდ გაშლილი, ძვირფასი ხალივით აფერადებული ველმინდორი, სხვადასხვა მშვენიერი ხილით დაზუმპული ბალები და ვენახები, დარბაისლურად დინჯი ადამიანები, ამ ბუნების წიაღში რომ ცოცხლობენ, შრომობენ და იბრძვიან არსებობისათვის.

ხოლო, როდესაც ისმენთ გურულ-მეგრულ სიმღერებს, თქვენს თვალწინ თითქო იშლება ბორცვ-გორაკებიან ნაოჭად ასხმული რელიეფი და ამ ნაოჭებ შორის მოქცეულ პატარ-პატარა ვაკეებზე თუ კალთებზე მკვირცხლად მონავარდე, ბუნებრივი გრაციით აღსავსე ფიგურები, ან თითქო ახლო-მახლო ლივლივებს ზღვის ზედაპირი, ერთ წამს სხივებით ალაპლაპებული, მშვიდი და წყნარი, მეორე წამს — ქარტეხილისაგან მძლედ აქოჩილი.

ან, როდესაც ისმენთ სვანურ „ლილეს“, უნებურად წარმოიდგენთ ზეცამდე აყუდებული მკაცრი მთის მწვერვალს, საღაც ხალხი თითქო ლიტანიად დგას და ყოვლის მაცოცხლებელ მზეს რაღაც წარმართული აღტყინებით განმსჭვალულ ჰიმნს უგალობს.

წარმოდგენის სფეროდან რეალობას რომ დავუბრუნდეთ, უნდა ვთქვა, რომ ქართული სალხური სიმღერის პარმონიზაციასა და რიტმში მკვეთრად გამოირკვევა აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა წყობა, ე. ი. ქართლ-კახური და გურულ-მეგრული კილოკავები. არ ვიცი, ამ კილოკავებს ეგრეთ

წოდებული „ლადები“ დაერქმევათ თუ არა, მუსიკაში უკვე გამოიყენება მიღებული იონიური, ფრიგიული, ეოლიური და სხვა „ლადების“ მსგავსად (ეს სპეციალისტების საქმეა), მაგრამ ამ წყობათა შორის რომ დიდი განსხვავებაა, ამას უბრალო გაუწვრთნელი ყურიც ადვილად გაარჩევს.

აქ აღსანიშნავია განსაკუთრებით ბანის როლი. ქართლ-კახურ სიმღერაში იგი თუ საკმაოდ მდორეა, ნაკლებად მოძრავი და ხანდახან მხოლოდ პირველი ხმის პარტიას იმეორებს, პირიქით, გურულ სიმღერაში იგი მკვირცხლია, ზეალმავალ და ქვედალმავალ პასაუებს მიმართავს და ზოგჯერ მას თავისი საკუთარი მელოდიური ნაწილაკებიც კი შეაქვს ჰანგში. ამასთანავე, აღგილ-აღგილ მობანეთა შორის ზოგი დაბალ საფეხურზე ამბობს თავის პარტიას, ზოგიც მაღალ საფეხურზე, რასაკვირველია სათანადო თანხმოვანებით. ასეთია ყურის შთაბეჭდილება ჩვეულებრივი მსმენელისა, თორემ ნოტებზე შემოწმება მე არ მომიხდენია, ჩემი საქმე არ არის.

და თუ ქართლ-კახურ სიმღერაში (აგრეთვე ნაწილობრივ მეგრულშიაც) უფრო მეტი მელოდიურობაა, უფრო ნათლად არის გაშლილი ჰანგის მთავარი ხაზი, სამაგიეროდ, გურულში მუსიკალური სიუჟეტის ჰარმონიზაცია უფრო რთულია ტექნიკურად.

არას ვამბობ კნინმანჭურზე, რაც გურული სიმღერის (ხშირად მეგრულისაც) თითქმის აუცილებელი თანამგზავრია. იგი მეღოდიის შემადგენელი ნაწილი არ უნდა იყოს, იგი მხოლოდ გარეგანი მორთულობაა ჰანგისა, აქა-იქ ჩასართავი.

საყურადღებოა, რომ ქართლ-კახურ სიმღერაში ჰანგის მორთულობა, ეგრეთწოდებული მელიზმები, ფორმულაგები უშუალოდ ჰანგშია შეტანილი და პირველ ხმას,

უფრო კი მეტად მოძახილსა აქვს მიკუთვნებული, ასე რომ მელოდიის განუყრელ ნაწილს შეაღგენს. მათი გა- მოკლება უეჭველად მელოდიას იერს უკარგავს და ჰარ- მონიზაციასაც ჰქონდალავს.

ცალხმიანი, სიი-სიმღერები ხალხურ (სოფლურ) მუსიკაში ძალიან ცოტაა, ქართლ-კახურში მაინც. მათი ჩამოთვლა არც ისე ძნელია: ურმული, ოროველა (იგივე გუთნური) და ნანა.

ის ნანა არ გევონოთ, მელ. ბალანჩივაძეს ოპერა „დარეჯან ცბაერში“ რომ ვისმენთ ცირასა და ქალთა გუნ- დისაგან დარეჯანას დაძინებისას. ეს მუსიკალური ნომერი ხალხური ხორული სიმღერის „აფრინდი, შავო მერცხა- ლო“-საგან არის გაკეთებული. იქვეა მეორე ნანა — მეგ- რული, რომელსაც მარტო ცირა მღერის.

ვერაფერს ვიტყვი გურულ-მეგრულ სოლო-სიმღე- რებზე, ჩონგურის აკომპანიმენტით რომ მღერიან ხოლმე. არ მომისმენია. სათვალავში არ ვიღებ აგრეთვე გუდა- მესტვირულ თქმას, რაღგანაც აქ პრიმიტიული მელო- დეკლამაცია უფროა, ვიღრე სიმღერა განსაზღვრული. მე- ლოდიური სიუჟეტით. მგონია, ამასვე უახლოვდება და საკმაოდ ერთკილოვან მელოდიურ რეჩიტატივს არ აღ- მატება ფანდურზე დასამღერი ხევსურულ-ქართლ-კახური ნახევარმელოდიები.

სამაგიეროდ, საკმაოდ ბევრი გვაქვს ცალხმიანი ქალაქური, ეგრეთწოდებული ბაიათური სიმღერები. ეს სიმღერები ქართული მუსიკის წიაღშია შექმნილი ირა- ნულ-არაბული მუსიკის გავლენით. ეს მელოდიები ირა- ნულ მომღერალთა რეპერტუარში არ შედის და შორეული ანარეკლია მათი ბაიათებისა, რომლებიც ჩვენში ქალაქად და თავადაზნაურულ წრეებში ძალიან იყო გავრცელე-

ბული. ამ ბაიათების მიბაძვით ქართველებშა შეკვენეს თავიანთი ქალაქური სიმღერები. ზოგიერთს აქ დავასახელებ: „სულო ბოროტო“, „ორთავ თვალის სინათლევ“, „მითხარ, მითხარ, რას მემდური“ ან „ნაჭერ-ნაჭერ ლრუბელ მოდის“, „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“, „ახ, მეზურნე, დაჲკა, დაჲკა!“, „ახალ აღნავო სულო და“. ეს პანგები უფრო მარტივი სტრუქტურისაა და მოცულობითაც მცირენი არიან ირანულ შესანიშნავ ბაიათებთან შედარებით („რასტი“, „შუსტარი“, „ჩარგა“, „საპარი“, „ჩობან-ბაიათი“ და სხვ.). ამას გარდა, ქართულ ბაიათებში ძირითადი მელოდია უფრო გარკვევით არის გაშლილი, მათში უფრო მეტი კანტილენაა, და ხვეულ-ხვეული ბგერები და ამათუმ გამოთქმის ვარიაციები კი ნაკლებადაა.

როდესაც ქართულ სოფლურ და ქალაქურ ხალხურ სიმღერას ულტრა-აღმოსავლურ (ირანულ-არაბულ) სიმღერას ვუპირისპირებ (საერთოდ, ქართული სიმღერაც ხომ აღმოსავლურ სიმღერად ითვლება), უნებურად ერთი პარადოქსალური შედარება მეკვიატება.

ხუჭუჭი თმა სხვადასხვანაირია. ზოგი ისეა ჩახვეულ-ჩაწნული, რომ ერთ ნაწილაკს მეორისაგან ვერ გამოჰყოფთ, და აღამიანის თავი თითქმ ერთმანეთზე მიტმას-ნილი აუარებელი ბურთულებისაგან შემდგარ სფეროიდს წარმოადგენს. ასეთ მდიდარ თმას რომ შესცემით, პირველ ყოვლისა ის განცვითრება, თუ რაოდენი ენერგია დაუხარჯავს ბუნებას ასეთი სასწაულის შესაქმნელად. და თმის ილუზია იკარგება, იკარგება სივრცეში სხეულის განფენილობის შთაბეჭდილება.

არის მეორეგვარი ხუჭუჭი თმა, რომელიც აღამიანს თავზე ტალღასავით აყრია. თვითეული ბეჭვი თითქმ

ცალ-ცალკე მოჩანს, თუმცა გრეხილოვანია, განსაკუთრებით ბოლოებში, მაგრამ შეგიძლიან გაარჩიო, სად იწყება და სად თავდება იგი. აქ თითქო ზრდის პროცესი არ შეჩერებულა, წინ მიღის, თმა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, შენს თვალწინ ვითარდება.

ულტრა-ალმოსავლურ სიმღერაში მელოდიის მაგისტრალური ხაზის მიგნება ძალიან ძნელია, რადგანაც მას გარშემო იმდენი სხვადასხვა ვარიაცია და მელიზმი ახვევია, იმდენი მორთულობა აქვს, რომ მუსიკალური სიუჟეტი თითქო ნისლში იყოს გახვეული. ალინიშნება რაიმე პატია წინადადება და დაიწყებს ერთ ადგილზე ტრიალს, მიხვევ-მოხვევას და, ვინ იცის, რამდენს იკავანებს დიდი კვერცხის დამდები ქათამივით, ვიდრე წინ ნაბიჯს გადასდგამდეს. და იმისათვის, რათა მელოდიის შინაარს მიხვდე, გააბა-იგი ერთი მთლიანი ლარივით, საჭიროა, უწინარეს ეს ნართაული ნაწილაკები შემოაცალო.

ქართულ ხალხურ (სოფლურ) სიმღერაში მთავარი მელოდიური ხაზი ყოველთვის ნათლად არის აღნიშნული, თანამიმდევრუბით გაბმული. ესათუის მელიზმი, ვარიაცია, ფორმლავი, ხმის ესათუის ტრიალი, ჩუქურთმა, რაც ქართულშიაც ხშირია, ანაზღეულად აქა-იქ ალივლივდება, ნამეტნავად ამათუიმ მუსიკალური ფრაზის ბოლოში, წასცებს მელოდიას რაიმე ფერადს, ახალ შუქს მიაყენებს, დაამშვენებს ერთის წამით და ვათავდა. ამიტომაც იგი სმენას არა ბეზრდება, არა ჰლლის, პირიქით—ესალ-ბუნება.

მართალია, მე აქ მრავალხმიან სიმღერას ცალხმიანს ვადარებ (ალმოსავლურმა მრავალხმიანობა არ იცია), მაგრამ ეს შედარება შეუსაბამო არ არის, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, ერთი მთლიანი მელოდია, როგორც მუსიკალური სიუჟეტი, იქაც არის და აქაც.

ქართული სიმღერის ეს თვისება დამახასიათებელია ჩვენი ბაიათური (ქალაქური) სიმღერებისაც. აქაც ეს ნართაული მელიზმები სწორედ ისევე ეკონომიურად არის გამოყენებული, როგორც სოფლურ კილოში, შეიძლება ცოტათი უფრო ჭარბად, მაგალითად, „სულო ბოროტო“-ში.

* *

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზაქარია ფალიაშვილს წინამორბედნი არა ჰყოლია ქართული ოპერის შექმნაში. მან თავისი დიდი შენობის აგება სრულიად ყამირ ნიადაგზე დაიწყო.

ამხერივ გლინკა, შედარებით, უკეთეს პირობებში იყო. გლინკამდე ცდას მაინც ვხედავთ ეროვნული ოპერის შექმნისას.

მუსიკალური განათლება ზაქარიამ რუსეთში მიიღო, მოსკოვის კონსერვატორიაში. უშუალო მასწავლებლად ჰყავდა შესანიშნავი პოლიფონისტი, ევროპული კლასიკური მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი და მიმდევარი ტანეევი. თითონაც, ზაქარია, ორგანისტი იყო. ამ პირობებში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რაკი მხატვრული შემოქმედების მოთხოვნილებას გრძნობდა, ხელი მოეკიდა ისეთი საქმისათვის, რომელიც უფრო აღვილად დასაძლევი იყო: ეწერა სხვებსავით მცირე ფორმების ნაწარმოებნი, რომანსები და სხვ., ან თუნდაც ოპერა ეკლექტური მუსიკის სახისა.

არა, უსათუოდ პირველადვე ეროვნულმუსიკიანი ოპერის შექმნა განიზრახა, თუმცა იცოდა, რომ ამ მხრივ დიდი სიძნელენი გადაელობებოდნენ წინ. ჯერ ერთი, იმ დუხშირ დროს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდა,

რომ ოპერის დადგმას მოახერხებდა. რომელი თავზე ხელაღებული თეატრი დასდგამდა ქართულ ოპერას? განაცოტა მაგალითი ედგა თვალწინ იმისა, რომ თვით დიდად ცნობილი რუსი კომპოზიტორებიც კი ვერ ახერხებდნენ თავიანთი ოპერების რომელსამე თეატრში მოწყობას?! ქართველს რაღა იმედი უნდა ჰქონოდა?!

მერე, რაოდენი დრო მოანდომა ზაქარიამ ქართული ოპერის დაწერისათვის მომზადებას?

მთელი რიგი წლები დასჭირდა. ყოველ წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა, ხალხური სიმღერების ჩაწერა, მერე დამუშავება და კრებულად გამოცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით. მთლად ქართული ლიტურგიის ხუთ ხმაზე გადალება და სპეციალურ სასულიერო კონცერტზე დემონსტრირება, და, ვინ იცის, კიდევ რამდენი თავისმტვრევა!

იცოდა, რომ დიდი ეროვნული საქმის გაკეთება დაიგუბა გულში და, როგორც ნამდვილი მოქალაქე თავისი ქვეყნისა, როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის იშვიათი გრძნობის პატრონი, არაფერს ზოგადა, რათა პირნათლად წარდგომოდა თავის დიდ მოწოდებას.

ამას ის მოსაზრებაც უნდა დავუმატო, რომ, უეჭველია, ზაქარია ინტუიტურად განიცდიდა, თუ, სახელდობრ, რისთვის იყო მოწოდებული. იგი ათითქმ გრძნობდა, რომ მისი შემოქმედი ძალა გადიხსნება მთელის სიღრმესიგანით მხოლოდ ეროვნული მუსიკის წიაღში და მხოლოდ მაშინ ჰქონებს იგი ნამდვილ ზნეობრივ კმაყოფილებას.

და ეს წინადგრძნობა მართალი გამოდგა: „აბესალომის“ შემდეგ მან დაწერა მეორე ოპერა „დაისი“,

ნაწარმოები, თქმა არ უნდა, თვალსაჩინო, მაგრამ „აბე-
სალომს“ იგი წელამდეც ვერ შესწვდა. რატომ? იმიტომ,
რომ ამ ქმნილებაში იგი ხშირად გზას უქცევდა თავისი
ბუნების სტიქიონს, გიმართავდა ეკლექტურ მეტყველებას
და შესანიშნავი მუსიკალური ნომრების გვერდით იძლე-
ოდა, გულახდილად უნდა ვთქვა, პირდაპირ ბანალურ
ფრაზებს, სხვებისთვის შეიძლება დიდად ვარგისსაც, მაგ-
რამ მისი შემოქმედი ძალისათვის შეუფერებელს. ამის
ნათელყოფა სულ ადვილი საქმეა, შედარებას რომ
მივმართოთ, მაგრამ ეს ძალიან შორს გადაგვაგდებდა
„აბესალომისაგან“, რაც ამ ნაწერის საგანს შეადგენს.

* * *

და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დაეწაფა ხალ-
ხური შემოქმედების წმინდა და თავანკარ წყაროს, რო-
დესაც მთლად გაიუღენთა ამ მხატვრულად დამათრობე-
ლი ნექტარით,—ზაქარია შეუდგა ოპერის შექმნას.

ხოლო იმდენად მოკრძალებული იყო, რომ ხშირად
ამბობდა—იქნება ოპერა არ გამოვიდეს, მაგრამ რასაც
მე ვაკეთებ, მასალად მაინც ვამოდგება სხვებისთვის,
დეე, მათ დაწერონ ნამდვილი ოპერაო.

ჰეტრე მირიანაშვილმა მიაწოდა ხალხური თქმულე-
ბის „ეთერიანის“ მიხედვით შედგენილი ხუთმოქმედე-
ბიანი და ექვს-სურათიანი საოპერო ლიბრეტო „აბესა-
ლომ და ეთერი“.

აქ ერთ გაუგებრობას უხდა შევეხო.

ჩვენში გავრცელებულია და სხვაგანაც ჭეშბარიტებად
მიიღეს ის აზრი, ვითომც „აბესალომ და ეთერი“ („ეთე-
რიანი“) თავისი შინაარსით და იღეით ცნობილი ევრო-
პული ლეგენდის „ტრისტანისა და იზოლდას“ ანარეგ-
ლი იყოს.

საიდან სადაო?

„ტრისტანისა და იზოლდას“ მსგავსი რამ ჩვენს ძველ ლიტერატურაში „ვისრამიანია“ და არა „ეთერიანია“.

არც სიუჟეტით, არც მოქმედ პირთა ურთიერთობით „ტრისტანი“, და „აბესალომი“ ერთმანეთს არ უდგებიან.

ტრისტანი მეფის ძმისწულია. შეიყვარებს თავის ბიძის მეუღლეს იზოლდას, შთამომავლობით მეფის ასულს. მათი სიყვარული ვნებიანია, დაუძლეველი, თითქმის შმაგური, და, ვიდრე იგი ტრაგიკულ დასასრულამდე მიაღწევს, მოტრფიალეთა თავგადასავალი. ათასნაირი ონებით არის სავსე, რაც მიმართულია ბიძისა და მეუღლის მოსატყუებლად.

აბესალომი — მეფის ძეა. ეთერი — ობოლი გლეხიგოგო, დედინაცვლისაგან განაწამები. აბესალომი შეიყვარებს მას ნამდვილი გულწრფელი, უმწიჭვლო სიყვარულით. მურმან ვეზირსაც უყვარს ეთერი. იგი ბელიარ-ეშმაკის დახმარებით ჯადოს გაუკეთებს ეთერს, დაავადებს (ლეგენდის სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვა ავადმყოფობაა) და გაჰყრის ცოლ-ქმარს. მურმანი მოარჩენს ეთერს და ცოლად დაისვამს. ახლა აბესალომი დასწულდება ეთერის დაკარგვის გამო. მიდის მურმანისას, რომელსაც უკვდავების წყაროზე ჰეზავნის, და თითონ ეთერს ხელში უკვდება. ეთერი თავს იკლავს.

ეს უბრალო ჩონჩხიც კი ორივე ლეგენდისა აშკარად გვიჩვენებს, რომ მათ შორის საერთო არა არის. რახოლო ლეგენდის მთავარი იდეა და თვით ხლართი ხომ სრულიად აშორიშორებს ამ თქმულებათ. იქ არის მოქმედ პირთა სოციალური თანასწორობა, აქ არის სავსებით ამის საწინააღმდეგო. „ეთერიანი“ გაყდენთილია უმაღ-

ლესი ჰუმანიზმით და უნაზესი ტროიალებით, რაც შეადგენს მისი იდეის ქვაკუთხედს.

ის, ვითომდა, მსგავსება, რომ ტრისტანისა და იზოლდას საფლავზე ორი ვაზი ამოდის ერთმანეთში ჩახვეული, როგორც მათი განუყრელობის სიმბოლო, ხოლო აბესალომისა და ეთერის საფლავზე კი—ორი კარდი და მათ შუა ასკილი (მურმანის სიმბოლო), რის გამოც ვარდები ერთმანეთს ვერ გადაჭივევიან (აქაც ხომ განმასხვავებელი შტრიხია), — მხოლოდ დეტალია, აპოთეოზი, ხალხის მშვენიერი პოეტური წარმოდგენა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ვერ გააიგივებს ამ თქმულებათ.

ასე რომ, ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ „ტრისტანისა“ და „აბესალომის“ იდენტობაზე.

უნდა ალინიშნოს, რომ პეტრე მირიანაშვილის ლიბრეტო სცენიურ მოქმედებას მოკლებულია და მასში ხშირია სიმღერაში ძნელად გამოსათქმელი სიტყვა-პასუხი. მხოლოდ ზოგიერთი ადგილი, საღაც ხალხური გამოთქმებია დაცული (მაგალითად, აბესალომ-მურმანის დიალოგი), მშვენიერად ეწყობა მუსიკას. ყოველ შემთხვევაში, მისმა გადაკეთებამ, ერთერთი დადგმისათვის რომ სცადეს, უფრო დააზიანა ეს ლიბრეტო. კიდევ კარგი, შემდეგი დამდგმელები კვლავ ძველ ვარიანტს დაუბრუნდნენ.

* * *

რა სახის ოპერა უნდა შეექმნა ზაქარია ფალიაშვილს ამ თქმულების ნიაღავზე, ე. ი. რა მუსიკალურ ფორმებში უნდა ჩამოექნა იგი?

ზევითა ვთქვი, რომ საამისოდ არსებობდა და ბრძობს ოპერის ორი თვალნათლივად ჩამოყალიბებული

ტები: „დილი ოპერა“ (ოპერა-სერია) და „მუსიკალური ღრაძა“. იქვე მოცემული იყო „დილი ოპერის“ გარეგანი მუსიკალური აგებულება. აქ დომინანტი ეკუთვნის ვოკალურ მუსიკას, მღერას, რაც გადმოიცემა არიებით, დუეტებით, ტრიოებით, კვარტეტებით და სხვ., ასე ვთქვათ, დასრულებული, „თარაზოში გამოყვანილი“ ფორმებით. აქ სიტყვა, აზრი გამოითქმება მელოდიური მღერით და არა ადამიანის ჩვეულებრივ ლაპარაკს მიახლოვებული წამლერით, რეჩიტატივით ან მელოდიური რეჩიტატივით. ეს უკანასკნელი ფორმები აქაც გვხვდება, მაგრამ ხშირად როდი, და თანაც მოკვეთით, მოკლედ.

მელოდიური მღერა რომ. ვთქვი, ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ იგი გადმოგვცემდეს მარტოოდენ ლირიკულ მომენტებს, სიყვარულის გრძნობას, ბუნებით აღტაცებას, ან მელანქოლურ სულიერ განწყობილებას. რა-საკვირველია, აქ ესეც არის. მაგრამ მელოდიური მღერით გადმოიცემა აგრეთვე ყოველგვარი ადამიანური გრძნობა: მწუხარება, რისხვა, ამბოხი, ბრძანება, ცბიერება, მლიქვნელობა, სასიკვდილო განაჩენიც კი და სხვა მისთ.

მაგალითები:

ყველას ეხსომება, ალბათ, „აგდაში“ რაღამესის გასამართლების სცენა. კაცს ბრალსა სდებენ, სამშობლოს უღალატეო და ცოცხლივ დამარხვას მიუსჯიან. აქ თითქო სამელოდიურო, საკეთილხმოვანო არა არის რა. მაგრამ ეს დიდი ღრამატიზმით გაჟღენთილი, მსმენელის ემოციურად აღმძვრელი სცენა საკვირველი მელოდიურობის შემცველია, თუმცა მელოდიური რეჩიტატივის ფორმით არის მოცემული.

მკითხველს შეიძლება ახსოვდეს „ჰუგენოტებიდან“ ეგრეთწოდებული მახვილთა დამწყალობების სცენა, რო-

დესაც კათოლიკეთა პარტია შეთქმულებას ახდენს ჰუგე-ნოტების (პროტესტანტების) წინააღმდეგ, რომელთაც წმ. ბართლომეს ღამეს მოულოდნელად, ძილის დროს, თავს უნდა დაესხან ამოსაკულეტად. აქ სიუჟეტი იმდენად დრამატიზირებულია, პერსონაჟები, ხორლ და ორკესტრი ისეთ გრიგალსა ჰქმნიან ზღვევის გრძნობისას, რომ მთელი თეატრი ზანზარებს, მსუნელს თმა ყალყზე უდგება და აღშფოთება იპყრობს შეთქმულთა წინააღმდეგ. ამავე დროს მუსიკა თავიდან ბოლომდე საკუირველი კეთილ-ხმოვანებით არის აღსავსე, არსად მელოდიურობის ნაკადს არ არღვევს რაიმე უხამსი ბგერა, თუმცა, ვიმეორებ, ეს სცენა საშინელების სრული ილუზია მუსიკალურად.

კიდევ ერთი მაგალითი შელოდიურობისა, ხოლო დრამატიული სიტუაციის საწინააღმდეგო შედეგით. ეს კი ქართული ოპერიდან.

გაიხსენეთ შეთქმულების სცენა მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“. გრაჩა, ცირა და ნიკო-გურული შეითქმიან (1 მოქმ) დარეჯანის მოსაკლავად. მათი ტრიო უეჭველად მელოდიურია, მაგრამ... არა საშეთქმულებო, ვინაიდან იგი ტკბილი რომანსის იერისაა, და სცენიურ მდგომარეობას არ შეეფერება. შეუძლებელია ლირიკული მელოდიით, რომელიც, ტემპი რომ აუჩქარო, — საცეკვაოდ გადაიქცევა, შეთქმულების ილუზია შექმნა. როდესაც მელოდიურობაზე და მისი მეშვეობით სცენიური სიტუაციის დახასიათებაზე ლაპარაკობენ, არ შეიძლება არ გაიხსენო ვერდის შესანიშნავი კვარტეტი “რიგოლეტოში“. ოთხი პერსონაჟი მღერის: პერკოგი (ტენორი), მადალენა (მეცო-სოპრანო), ჯილდა (კოლორ. სოპრ.) და რიგოლეტო (ბარიტონი). ყველა სულ სხვადასხვა გრძნობას მეტყველებს: პერკოგი — ვნებით სავსე ტრფიალებას,

მადალენა — დაცინვასა და სიკისკასეს, ჯილდა — სასოწარ-
კვეთილებასა და მწუხარებას, რიგოლეტო — შურისძიებას.
ყველას საიმისო მუსიკალური თემა აქვს განკუთვნილი.
და ყველა ეს თავისთავადად მეტყველი თემა ისეა შერწყმუ-
ლი ერთ მთლიან მელოდიურობაში, რომ უზომო მხატ-
ვრულ სიამოვნებას განიცდით, თუმცა, ამასთანავე, თვი-
თეული პერსონაჟის სულისკვეთება თქვენთვის თვალნათ-
ლივია. ეს რაღაც მუსიკალური სასწაულია. იგი აღარ
განმეორებულა ამ ფორმის მუსიკალურ ლიტერატურაში.
თვით დიდმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ლისტ მაც
კი ვერა შემატა რა ამ კვარტეტის განსაკუიფრებელ მეტ-
ყველებას, როდესაც იგი საფორტეპიანო პიესად გა-
დააკეთა.

რა არის ეს ყოვლადშემძლე მელოდიურობა?

ალბათ, შემოქმედების საიდუმლოებაა და მუსიკა-
ლური. ფორმების ზედმიწევნითი ცოდნა და შერჩევის
ალლო. გარეგნულად იგი მუსიკის კეთილხმოვანი ენაა,
რომლითაც ყოველგვარი დრამატიული სიტუაციის მკვეთ-
რად გადმოცემა შეიძლება.

* * *

„მუსიკალური დრამა“, არსებითად, იგივე ოპერაა,
ისევე, როგორც ოპერა იგივე მუსიკალური დრამაა.

ასე უწოდებენ, მე მგონია, იმიტომ, რომ იგი თა-
ვისი მუსიკალური ფორმებით თითქო უფრო ახლოა, საერ-
თოდ, დრამაზე.

„მუსიკალური დრამის“ იდეოლოგთა მრწამსი — სულ
მოკლედ — ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

მუსიკალურ დრამაში — ისე, როგორც ჩვეულებრივ
დრამაში — დომინანტი სიტყვას ეკუთვნის და არა მღერას,

ამიტომ აქ მუსიკა სიტყვასა და აზრს, რაც შეიძლება, უფრო ზედმიწევნით უნდა გამოხატავდეს. სიუჟეტის დრამატიზაცია მიიღწევა მაშინ, როდესაც მუსიკალური მეტყველება აღამიანის მეტყველებას დაუახლოვდება. გაბმული მელოდიურობა, მუხლ-მუხლობით დაყოფილი მღერა ანელებს, აღუნებს სიტყვის მნიშვნელობას, აზრის არსს. თუ სიტყვას თავისთავად შეუძლიან სხვადასხვა გრძნობის გამოხატვა, დრამატიული სიტუაციის შექმნა, განა ივივე სიტყვა, ისეთ მუსიკალურ ფორმაში ჩამოჭიდვილი, რომელიც არ უკარგავს მას აზრის მნიშვნელობას, უფრო გამომეტყველი არ იქნება, ვიდრე ხმატკბილ სიმღერაში, რომელიც სწორედ ამ თავისი თვისებით თითონ იძენს უპირატესობას და სიტყვის აზრს ჩრდილში ჰქვევს.

და რა გამოსახავს ვოკალურ მუსიკაში სიტყვის სიმკვეთრეს, სიტყვის არსს?

რეჩიტატივი და მელოდიური (ანუ მოსიმღერო) რეჩიტატივი — პირველი მოკლე, მოკვეთილი ფრაზისათვის, მეორე გაშლილი მონოლოგური ან დიალოგური მეტყველებისათვის.

და იქ, სადაც სიტყვას ძალა აკლია, ორკესტრი გამოიყენე სათანადოდ, რათა სიტყვას შეემატოს საჭირო ძლიერება, ისე კი, რომ მონურად არ იმეორებდეს ვოკალურ ფრაზას, არამედ თავისთავად მეტყველებდეს, როგორც სიტყვის შემავსებელი ახალი ნაკადი, ავითარებდეს სიტყვით სათქმელ თემას და თითონაც ჰქმნიდეს სიტუაციის შესაფერ განწყობილებას. ორკესტრი მდიდარია მეტყველებით, ყველაფრის გადმოცემა შეუძლიან, რაც ბუნებაში ბგეროვანია, ვინაიდან მას აქვს მდიდარი პალიტრა ხმიერი ფერადებისა.

ამრიგად, „მუსიკალურ დრამაში“ გამატონებულია რეჩიტატივი, მელოდიური რეჩიტატივი და ნამეტნავად კი ორკესტრი.

„დიდი ოპერის“ შემადგენელი ნაწილები — მუსიკალური ფორმები — არია, დუეტი, ტრიო, კვარტეტი და სხვ. — უარყოფილია. სამაგიეროდ, უპირატესობა დათმობილი აქვს მონოლოგს და დიალოგს (არიოზული სიმღერა) და ნაწილობრივ ხოროს.

ავილოთ ვაგნერის „ლოენგრინ“-ის პირველი მოქმედების პირველი სცენა, როდესაც მეფე ჰენრიხ-ფრინველთმჭერი საყვედურით მიმართავს ბრაბანდელებს — თქვენში სულ არეულობაა, მეფის შეუწყნარებლობა და ურთიერთისადმი მტრობაო. მოველ გაგასამართლოთო.

შე ასე მახსოვს მისი საკმაოდ გრძელი სიტყვა. დიალ, სიტყვა, ვინაიდან არსად სხვა ოპერაში რეჩიტატივი და მელოდიური რეჩიტატივი ისე ახლო არ არის აღამიანის მეტყველებაზე, როგორც ამ მიშართვაში.

და ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ, ალბათ, არც ერთ მეფეს ასეთი მოსაწყენი სიტყვა არ წარმოუთქვამს. ბრაბანდელებისა არ ვიცი და თეატრში მყოფი მსმენელი კი, ჩემსავით ალბათ, სულ იმაზე ფიქრობდა, როდის გაათავებს ეს აბეზარი აღამიანი თავის ყვირილსაო. დიალ, ყვირილს, ვინაიდან იქ გაბმული ყვირილის მეტი არა არის რა.

მერე, ეს უსიამოვნო შთაბეჭდილება ერთიათად უფრო ძლიერდება, რაღვანაც, ის იყო, თქვენ მოისმინეთ ამავე ოპერის განსაკუთრებული უვერტიურა, რომელშიაც ჰარმონიულად გადახლართულია მელოდიურობაც, უნაზეს გრძნობათა მეტყველებაც და ყოველივე ის, რასაც შეუძლიან შეუქმნას მსმენელს ნამდვილად მხატვრული განწყობილება.

მაგონდება ვ. ვ. სტასოვის სიტუკები, სხვათა შორის, ვაგნერის რეჩიტატივებზე თქმული: „Одни речитативы Вотана (ვაგნერის ოპერა „ზიგფრიდის“ ღმერთების) могут сделать человека на всю жизнь несчастным“ მ.

ვოტანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე სწორედ ასე უბედურად ვგრძნობდი თავს, როდესაც მეფე ჰენრიხ-ფრინველთმჭერს ვუსმენდი.

ახლა, ეგრეთწოდებული არიოზული სიმღერა იმავე ვაგნერისა.

თითონ თპერა „ზიგფრიდი“ არ მინახავს, მაგრამ ზიგფრიდის ცნობილი სიმღერა მახვილის გამოჭედვისა, რომელმაც ერთ კარგ რუს მომღერალს ყელი გამოაჭრევინა ხმის ჩახლების გამო, არაერთხელ მომისმენია ცალკეულად.

აბა, აქ არის კივილი და ისიც დრამატიული ტენორისა! მახვილის ჭედვით აღტუინებული ზიგფრიდი გაჰკივის უმწვერვალეს სიმაღლეზე რამდენსამე სიტუას, როგორც, მაგალითად, „იჭედე, ჩემო მახვილო!“ და ერთკილოვან შორისდებულებს...

მაგრამ უკეთესია, აქ ლევ ტოლსტოის სიტუკები მოვიყვანო ამ სიმღერაზე, „რა არის ხელოვნება“-ში რომ აქვს ნათქვამი: „...Зигфрид схватывает кусок того, что должно представлять куски меча, распиливает его, кладет на то, что должно представлять горн, и сваривает и потом кует и поет: Heaho, heaho, hoho! Hoho, hoho, hoho; hoheo, haho, haheo, hoho, hoho!, — и конец 1-го акта... Я хотел уходить, но друзья, с которыми я был, просили меня оставаться...“

მერე სასაცილოდ აქვს აწერილი მეორე მოქმედება, ზიგფრიდი რომ ფრინველების ჭიკჭიდს ჰბაძავს: „Для этого

то он срезает тростник и делает свирель... Сцена эта невыносима... Музыки... нет и помина... вокруг себя я видел трехтысячную толпу, которая не только покорно выслушивала всю эту ни с чем не сообразную безмыслицу, но и считала своей обязанностью восхищаться ею.

Кре-как досидел я еще следующую сцену с выходом чудовища... борьбу с чудовищем, все эти рычания, огни, махание мечем, но больше уже не мог выдерживать и выбежал из театра с чувством отвращения, которое и теперь не могу забыть..."

ვაგნერისა და მისი „ზიგფრიდის“ დიდი თაყვანის-მცემელი რომებ როლანი, რასაკვირველია, არ იზიარებს ლევ ტოლსტოის აზრს ვაგნერის შემოქმედებაზე, აღნიშნავს რა, რომ მისი კრიტიკა შეეხება უფრო ვაგნერის ნაწარმოების სცენაზე განსახიერებას, ვიდრე თვით მუსიკას და, სხვათა შორის, ამბობს: „წინათ მე ვწუხდი, რომ ორი ადამიანი, რომელნიც თანაბრად მიუვარდა, ორი ადამიანი, რომელთაც მე თაყვანსა ვცემდი, როგორც ყველაზე უდიდეს სულთ ევროპაში—ტოლსტოი და ვაგნერი—დარჩენებ ურთიერთისადმი უცხონი და მტრულად განწყობილნი...“ „...ამრიგად, მე აღტაცებული ვარ „ზიგფრიდით“ და მაინც ვტკბები ტოლსტოის სატირით...“ „...მე არას დროს არ ვიზიარებდი ვაგნერელთა აზრს, ვითომც ვაგნერის შემოქმედება ჰპოებს მთლად თავის გამოხატულებას მხოლოდ თეატრში. ეს—ეპიკური სიმფონიებია. მე ვისურვებდი, რომ ჩარჩოდ მათთვის ყოფილიყო ტაძარი, დეკორაციებად—ჩვენი ზრახვების უსაზღვრო სივრცე, ხოლო აქტიორებად—ჩვენი ოცნება“.

რომენ როლანის შეხედულებას, რომ ვაგნერი უფრო სიმფონისტია, ვიდრე „მუსიკალური დრამის“ შემოქ-

მედი, წინადაც ბევრი იზიარებდა მუსიკის დიდ მცოდნეა-
თა შორის, მაგალითად, რუსეთში — ვ. ვ. სტასოვი.

ნათქვამით არ ამოიწურება, რასაკვირველია, ვაგ-
ნერის რეფორმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პაეჭ-
რობა. ამ მოძრაობამ მთლად ევროპის (და რუსეთისაც) მუსიკალური საზოგადოებრიობა ორ ბანაკად გაჰყო.
ერთნი უკიდურესობამდე აღმერთებდნენ რეფორმატორსა
და მის რეფორმას, მეორენი — უკიდურესობამდევე უარ-
ჰყოფდნენ მას და მის რეფორმას.

იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ნაწილობრივ იზია-
რებდნენ „ვაგნერის ნოვატორულ მოძლვრებას. ზოგი პრაქ-
ტიკულად იყენებდა კიდეც ამ მოძლვრებას, რასაკვირვე-
ლია, ნაწილობრივე. ვაგნერის გავლენით ვერდის ორ-
კესტრი „აიდაში“, უეჭველია, ის აღარ არის, რაც მის
წინანდელ თქერებში იყო, თუმცა არც ვაგნერის ორ-
კესტრამდე ამაღლებულა.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ ორ მიმღი-
ნარეობაზე, მაგრამ სიტყვა ისედაც გამიგრძელდა. და
თუ ასე ხანგრძლივად შევჩერდი ამაზე, მხოლოდ იმიტომ,
რათა შემდეგში დავინახოთ, სახელდობრ რა სახით გა-
მოიხატება ეს ორი მიმღინარეობა ზაქარია ფალიაშვილის
„აბესალომში“.

თუმცა ზაქარიას სისტემატური საერთო განათლება
არა ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი აღჭურვილი იყო
მკვიდრი მუსიკალური განათლებით. ზევით ეს გარემოე-
ბა უკვე აღვნიშნე. რასაკვირველია, მან მშვენიერად
იცოდა დედაარსი ზემოხსენებული ორი მუსიკალური
მიმართულებისა და თუ თავის შემოქმედებაში იგი ძი-
რითადად ერთს რომელსამე მათგანს დაადგებოდა, ისიც
უეჭველია, რომ მთლად გზას ვერ აუქცევდა მეორე მი-
მართულებასაც. მე მგონია, რომ ამის გაშორევევა შეუძ-
ლიან თვით არასპეციალისტსაც „აბესალომის“ მუსიკა-
ლური მასალის გათვალისწინებით.

III

როდესაც „აბესალომ და ეთერს“ მთლად შოისმენ, პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქო სამი საათის გან-
მავლობაში ისმენდი ერთ დიად მთლიან, მაგრამ მრა-
ვალფეროვან სიმღერას.

ამას ზედ ერთვის ის გრძნობა, რომ ეს ერთი მთლია-
ნი სიმღერა თითქო უკვე გსმენია — და არა ერთხელ, არა-
მედ მრავალჯერ, თითქმის მთელი შენი სიცოცხლის გან-
მავლობაში. უფრო მეტიც, — იგი თითქო ოდითვე შენში
ყოფილა დაბუდებული, შენს სისხლსა და ნერვებში გაჭ-
ნილი, შენი სულიერი და ხორციელი არსებისათვის რა-
ღაც მშობლიური, განუყრელი.

და აი, სწორედ ახლა აულერდნენ შენს არსებაში ამ
ერთი მთლიანი სიმღერის სხვადასხვა ჩელოდიები, რო-
გორც დიდი ხნის ნაცნობი ზმანებანი და, ასე გონია
იდუმალი ხმა გეუბნება: „ეს ხომ დედიშენის ნანაში მო-
გისმენია... ეს კიდევ — შენი მთრთოლვარე მიჯნურის
ალერსში... ეს კი ვისიმე შახლობლის განუქარვებელ წუ-
ხილში ან სიხარულის კისკასში... ეს ხომ ქართველი ხალ-
ხის აღტყინებაა ან დრტვინვა, შენში, როგორც მის ატომ-
ში, არეკლვილი.

თუ დაკვირვება გეზარება, თუ ზერელედ და იო-
ლად გინდა გაერკვე ან პირველ შთაბეჭდილებაში, აღვი-

ლად იპოვი ამის განმარტებას: “აბესალომი” ხალხური სიმღერებისაგან შესდგება, შენც ხალხის შვილი ხარ, არა ერთხელ გაგიგონია ეს სიმღერები და იმიტომ ინიშნეო.

და... შესცდები. ეს პირველი შთაბეჭდილება უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე შენა გვონია.

„აბესალომში“ ხალხურობაა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ბევრ გულუბრყვილო ადამიანს წარმოუდგენია.

ეს დიდი ლირსება ამ მუსიკალური ნაწარმოებისა იმით კი არ აიხსნება, რომ იგი ხალხური სიმღერების კრებულია, ოპერის ფორმად მოცემული.

არა, სრულიადაც არა. ეს რომ მართალი არ არის — ამის საბუთებს ქვევით ვნახავთ.

„აბესალომში“ მოცემულია არა მარტო ქართული სიმღერები, როგორც ასეთნი, არამედ საერთოდ ქართული სიმღერის სინთეზი, მისი ზოგადი არსი, მისი სული!

მე მგონია, ფალიაშვილს თავის მხატვრულ წარმოდგენაში შექმნილი ჰქონდა ქართული მელოდიის ზოგადი ტიპი, სახე... სული... რაც გნებავთ — ის უწოდეთ.

ხომ არის რუსული, ქართული, ფრანგული და სხვა სილამაზის ზოგადი ტიპი?

არის აგრეთვე ზოგადადამიანური სილამაზის ტიპიც, რომელზედაც ვერ იტყვით, ძალიანაც. რომ თავი იმტვრით, სადაურია ეს სილამაზე, რომელი ერის შვილს ამშვენებს იგი.

ბუნებას შეუძლიან სხვადასხვაგვარი ნაკვთებიდან — ცხვირი იქნება იგი, ბაგე, ლაწვები, თუ თვალები — ჰარმონიულად შეკრას თვალმომჭრელი სილამაზე სახისა, მაგრამ საკმარისია დაკლოს ამ ჰარმონიას რაიმე განსაკუთრებული აქცენტი თუ იერი, რომ ვერას გზით ვერ გან-

საზღვროთ, რუსული სილამაზეა ეს, ქართული, თუ ფრანგული.

ბუნება, რომელიც ჰქმნის ამას თავისი საკვირველი ჟინიანი კანონების შიხედვით, ხომ არ გვეუბნება, ეს ფრანგული სილამაზეა, ეს კი ქართული.

და ის მხატვარი, რომელიც ამ საიდუმლოებას მიაგნებს, განსაზღვრავს და მოგვცემს ამკვარი ტიპის ქმნილებას — ისე, რომ იგი უმრავლესობამ ჰეშმარიტებად მიიღოს, — ამას ვერც მარტო შემოქმედი ინტუიციით და ფანტაზიით მიაღწევს იგი, ვერც მარტო ხატვის კანონების ცოდნით და მდედარი ტექნიკით. ამას იგი მიაღწევს მხოლოდ ამ ორი ელემენტის შერწყმით, შეთავსებით:

ასევეა მუსიკაშიც.

თორემ ჩვენ ვიცით შესანიშნავი მუსიკოსები, რომელნიც თავიანთი იშვიათი ერუდიციისა და საკვირველი ტექნიკის წყალობით ჰქმნიდნენ თვით მათი ბუნებისათვის უცხო აღმოსავლური მუსიკის სხვადასხვა ფორმებს, ოპერებსაც კი. მაგრამ მათი აღმოსავლური მუსიკიდან დაპატიჟოს ისეთი სიცივე, რომ ნამდვილად ჩრდილოეთის პოლუსზე გეგონებათ თქვენი თავი.

რატომ?

იმიტომ, რომ ისინი ჰქმნიდნენ არა ჰეშმარიტი განცლით, არა შეგრძნებით, არამედ მარტოოდენ მშრალი გონებით და საუცხოოდ შესწავლილი კანონების მიხედვით, რომლებითაც ფორმალურად ხასიათდება აღმოსავლური მუსიკა. აქ არის მხოლოდ ფორმა, შეიძლება შინაარსიც რაიმე თავისებური მუსიკალური ფრაზების სახით. ხოლო ის რაღაცა, წონით აუწონელი და ზომით განუზომელი, ის რაღაცა, რასაც მე ცოცხალ სულს ვუწოდებ, არა ფეთქავს მათ ნაწარმოებში. ამიტომაც ნამდ-

ვილ აღმოსავლურ მუსიკაზე ალლოართმეულ მსმენელს ეს გარეგნობით ოსტატურად გაკეთებული ნაწარმოები არ ეხმაურება.

ვიმეორებ, ზაქარია ფალიაშვილს თავისი შემოქმედი ალლოტი და თანაც ქართული მუსიკის კანონების შესანიშნავი ცოდნით ვანზოგადებული ჰქონდა ეს მუსიკა ერთ მთლიან სახედ და ეს იყო მისთვის მხატვრული პრიზმა, რომელშიაც იგი გაატარებდა ხოლმე ყოველ მუსიკალურ აზრს, ან თემას, საკუთარი იქნებოდა იგი, თუ ხალხური საგანძურიდან ამოლებული.

* * *

„აბესალომით“ ჭეშმარიტად დაინტერესებული მსმენელი (მუსიკის სპეციალისტი—მით უფრო) მარტო შთაბეჭდილებით ვერ დაკმაყოფილდება.

იგი, უეჭველია, შეეცდება გამოარკვიოს მისი შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკეულად, ასწონ-დასწონოს თვითეულის ლირსება-ნაკლოვანება იმ სცენიური სიტუაციის თვალსაზრისით, რომლის გამოსახატავადაც იგია შექმნილი, და გამოავლინოს მათი ურთიერთობა, როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოების შემადგენელი ნაწილებისა.

და სწორედ მაშინ გამოირკვევა, რა ფორმებს ხმარობს ზაქარია ფალიაშვილი დრამატიული სიტუაციების გამოსახატავად და, მაშასადამე, რა სახისაა მისი ოპერა, როგორც საერთოდ მუსიკალური ნაწარმოები.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავიხსენოთ სულ მოკლედ დრამის ექსპოზიცია.

პირველი მოქმედება შესდგება ორი სურათისაგან. 1-ე ლ სურათში: ეთერის ჩივილი ობლობასა და დედინაცვალზე. აბესალომისა, მურმანისა და

ეთერის შეხვედრა ტყეში. ტრფიალება აბესალომისა ეთე-
რისადმი. მურმანის შური მისივე სიყვარულის გამო ეთე-
რისადმი. ეთერის მიერ უარყოფა აბესალომის მიჯნურო-
ბისა—შენ ხარ დიდი ღიდებული, მე კი ობოლი, ობლო-
ბაზი გაზრდილიო... ეთერის გაქცევა. აბესალომის გამო-
დევნება. მურმანის მუქარა. მე-II სურათ ში: მურმანის
წუხილი და განზრახვა—წართვას აბესალომს ეთერი.
ეთერისა და დედინაცვლის შეკრტიმლება. ეთერის ჩივი-
ლი (განმეორება პირველი ჩივილისა). აბესალომის შემო-
სვლა და კვლავ მტკიცება, არ გილალატებო. ეთერის თან-
ხმობა და წაყვანა.

მეორე მოქმედება. მეფის დარბაზი. აბიო-მე-
ფის ღიდება დარბაზში მყოფთა მიერ. აბესალომისა და
ეთერის შემოსვლა საქორწინო მაყრიონით. დედმამის მიერ.
დალოცვა ნეფე-დედოფლისა. მათი (მთელი ოჯახის) ფიცი
ერთმანეთთან ტკბილად ცხოვრებისა. ნადიმი. თამაღის
არჩევა. თანდარუხის მიერ სადღეგრძელოების წარმოთქმა.
მოკლე მრავალუამიერი. პერსონაჟებისა და ხოროს მიერ
„ჩაკრულოს“ თქმა. აბესალომის მიერ მურმანის მოკითხვა,
საღ არის ჩემი მურმანიო. მურმანის მიერ ეთერისათვის
საჩუქრის (ჯადოს) მირთმევა. აბიო-მეფის მიმართვა მა-
რიხ-ვარსკვლავისადმი—შენი სიმღერა გვასმინეო. მარიხის
განაზება. მამის შენიშვნა. მარიხის დამღერება. დამსწრე-
თა მიერ სიმღერის მოწონება. თანდარუხის მიერ ქალ-
ვაჟთა მოწოდება—შუშპრობა დავიწყოთო. ცეკვა.

მესამე მოქმედება. აბესალომის დარბაზი. აბე-
სალომის წუხილი ეთერის დაავადების გამო (დიდი არია.)
კარის-კაცთა გამოსვლა და მათი წუხილი იმავეზე. აბესა-
ლომის მიმართვა—შიშველეთო. ეთერის შემოყვანა. მისი
უჯა—გამიშვილ. აბესალომის დედის ნათელას და მარიხის

რჩევა — გაუშვას ეთერი. ასევე მურმანისა. ასეთივე საერთო რჩევა. აბესალომის პროტესტი. ყველას საერთო მიმართვა. აბესალომის თანხმობა. მოწოდება — ვის გინდათ ქალი ეთერი. მურმანის განცხადება — მე მინდაო. მურმანისათვის ეთერის გადაცემა. მათი წასვლა. საერთო წუხილი.

მეოთხე მოქმედება: მურმანის ციხედარბაზის კარმილამო. ეთერის წუხილი (დიდი არია). მურმანის დედისა და დების მიერ ეთერის ფარეზობა. დასნეულებული აბესალომის შემოყვანა. ეთერის საყვედური აბესალომისადმი — რას ამივლი და ჩამივლიო. აბესალომის ხვეწნა — მომისმინეო. კვლავ ეთერის სამღურავი — რად გამიწბილე მაყარიო. მისი და მისი შინაურების წასვლა. აბესალომის მიერ მსახურთ-უხუცესის გაგზავნა მურმანის გამოსაძებლად. მსახურთ-უხუცესის მიერ მურმანის გამოძახება. მურმანის შეშფოთება. მისი ბრძანება შინაურებისადმი — დაკრძალეთ ქალი ეთერი და მიუალერსეთო. აბესალომისა და მურმანის დიალოგი („მურმან, მურმან, შენსა მზესა.“) მურმანის უკვდავების წყაროზე გაგზავნა (დუეტი „ამაღლამდელო ღამეო“). ნათელას წასვლა ეთერის გამოსაძებლად. ნათელას და ეთერის დიალოგი. ეთერის უარი. აბესალომის მიერ მარიხის გაგზავნა იმაღვე. ეთერის მოწოდება და ეთერისა, მარიხისა, ნათელასი და აბესალომის გამოლაპარაკება (კვარტეტი). ეთერის მოსვლა. მოკლე დიალოგი აბესალომისა და ეთერს შორის ეთერისათვის ცხენის მირთმევაზე, მერე შეყრა და მიჯნურობა (დუეტი „წამწამსა და წამწამს შუა“). აბესალომის სიკვდილი. ეთერის მიერ თავის მოკლა. საერთო მწუხარება.

აი, ამ სადროამო სიტუაციების გამოსახატავად მოცე-
მულია შემდეგი მუსიკალური ფორმების ნაკვეთები; სა-
მი დიდი არია: 1) მურმანისა „ამომავალსა მჩეს სწუ-
ნობს“ — ბარიტონისათვის — 1-ლი მოქმ. 1-ლი სურ; 2)
აბესალომისა „ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად“ — ტენორი-
სათვის — მე-3 მოქმ.; 3) ეთერისა „დედამთილი, მამამ-
თილი“ — სოპრანოსათვის — მე-4 მოქმ.; ერთი მცირე
არია (ეთერისა „დედინაცვალი — თვალში ნაცარი“ —
1 სურ); ერთი კანცონეტა (მარიხ-ვარსკვლავისა „საყ-
ვარელო გულისა“ — ლირ.-კოლ. სოპრ. მე-2 მოქმ.); შვი-
ლი ცოტად თუ ბევრად დიდი დიალოგი: 1) აბესალომი და ეთერი: „მე ბანი ბანად გეძებდი“; „აჰა
მზეო, ხელმანდილი“; „ტურთავ, თუ გსურს ჯორ-ცხენე-
ბი“; „არა, არ მსურს ხელმანდილი“, მერე — ჯორცხენე-
ბიც; „შენ ხარ დიდი დიდებული“: „არა! წყალ-წისქვილ
ქვიშამან!“ „რა ლამაზი ხარ, ეთერო“ — ყოველივე ეს 1-ელ
სურათში; 2) დედინაცვლისა და ეთერის დიალოგი; 3)
ეთერი და აბესალომი: „ეთერო, შენსა ღალატსა“; ეთე-
რის პასუხი „რაც გსურდეს“; „არა, მერწმუნე“... შემდეგ
დუეტი. — სულ მე-2 სურ. 4) აბესალომი და მურმანი:
„მურმან, მურმან, შენსა მჩესა“; 5) იგინივე — „ამაღამდელო
ღამეო“ (დუეტი); 6) ეთერი და აბესალომი: „რას ამივლი
და ჩამივლი“ და სხვ.; 7) ნათელა და ეთერი: „ვთერო,
შემოგიარე...“, დუეტით რომ თავდება — მე-4 მოქმ. ერთი
მოკლე ტრიო (ეთერი, აბესალომი და მურმანი —
1-ლ სურ). ერთი კვარტეტი (მარიხი, ეთერი, ნათე-
ლა და აბესალომი — „მე პატარა გამომგზავნეს“ — მე-4
მოქმ.). ერთი კვინტეტი (ეთერი, აბესალომი, მარიხი,

ნათელა და აბიო-მეფე — „ღმერთმა კარგად აგვისრულოს“ — მე-2 მოქმ). გუნდის შვიდი სასიმღერო: 1) მონადირეთა სიმღერა — 1-ლ სურ.; 2) „დიდება“; 3) „მაყრული“; 4) „ჩაკრულო“; 5) მოკლე „მრავალუამიერი“ — მე-2 მოქმ. 6) ქალთა გუნდი — „ქალია — ქვეყნის თვალია და 7) საგალობელი — მე-4 მოქმ. ამ რიცხვში არ შედის გუნდის მონაწილეობა მე-3 მოქმედების დიდ ანსამბლში და მე-4 მოქმ. „წამწამსა და წამწამშუა“ ანსამბლში, აბესალომისა და ეთერის დუეტით რომ იწყება. ერთი დიდი ანსამბლი (მე 3 მოქმ). ოცდახუთი ცალკეული მუსიკალური ფრაზა ცალკეული პერსონაჟისა და ოთხი ცალკეული ფრაზა ვაჟთა და ქალთა გუნდისა. ერთი დროი საბალეტო ნომერი (მე 2 მოქმ.)

* * *

ამ მუსიკალურ მასალას რომ ჩაუკვირდები და ასწონ-დასწონავ, ის აზრი, რომელიც ზევით გამოვთქვი, ვითომ „აბესალომ და ეთერი“ „დიდი ოპერის“ ყაიდაზე იყოს შეთხზული, მართლდება მხოლოდ ფორმალურად, ე.-ი., რომ აქ გამოყენებულია „დიდი ოპერის“ მუსიკალური ფორმები.

წოლო ეს მუსიკა თავისი არსით უმეტეს შემთხვევაში უფრო „მუსიკალური დრამის“ ფორმებს უახლოვდება.

მართლაც და, ი შვიდათად შეხვდებით ამ ოპერაში ისეთ მუსიკალურ ნაკვეთს, არია იქნება იგი, დუეტი თუ ცალკეული ფრაზა, რომ არიოზული მღერის ან მელოდიური რეჩიტატივის სახეს არ ატარებდეს.

თვით იმ სამს დიდ არიაში, რომლითაც ზევით ჯიშნული მუსიკალური ნაკვეთების სია იწყება, ერთი

მხოლოდ მურმანის არიაა („ამომავალსა მზეს სწუნობს“) ნამდვილად „საღიღოპერო“ ფორმის გამომხატველი, ე.-ი. ერთი მთლიანი, თავიდან ბოლომდე დასრულებული, მუხლობრივი წყობის არია, რომლის კიდური ნაწილები (თავი და ბოლო) ერთიდაიშავე მუსიკალური შინაარსისა და მათ შუა მოთავსებულია რეჩიტატივული ფრაზა.

დანარჩენი ორი დიდი არია (აბესალომისა — „ვეძებდი ბედსა“ და ეთერისა — „დედამთილი, მამამთილი“) აგებულია უმთავრესად მელოდიურ რეჩიტატივზე, რომელიც ნამდვილი არიოზული მღერაა, აღვილ-აღვილ ჩართული მდიდარი ფიგურაციებით. მხოლოდ მეორე ნაწილი ორივე არიისა ნამდვილ სიმღერად გადაიჭირა, ე.-ი. ფართოდ გაშლილ კანტილენად.

არიოზული მღერის შესანიშნავი ნიმუშია პირველი სურათის დიალოგი აბესალომსა და ეთერს შორის, ორ აღვილას მურმანის ფრაზების ჩართვით. ეს მართლაც ნამდვილი დიალოგია და არა დუეტი. აქ თვითეული წინადადება ცალ-ცალკეულ მუსიკალურ თემას შეიცავს და არა ერთ რომელსამე ძირითად თემას და მის განვითარებას. აქ არ არის გაბმული მღერა არც ორისა ერთად, არც თვითეულისა ცალკე, არამედ — ნამდვილი სიტყვა-პასუხისა, მელოდიური მღერით ლაპარაკი. და თვითეული ფრაზა ზედმიწევნილობით ახასიათებს დიალოგის მონაწილეთა სულისკვეთებას.

რამდენადაც აბესალომის ფრაზებია აღერსით და აღტაცებით სავსე, იმდენად ეთერის პასუხებია თავშეკავებული, შეიძლება იჯვას, ცივიც, ვინაიდან ეთერი უარპყოფს აბესალომის მიჯნურობას და საჩუქრებს, რადგანაც შენ დიდი დიდებული ხარ, მე კი ობოლი, ობლობაში გაზრდილიო.

და საყურადღებოა ის, რომ სწორედ აბესალომის ფრაზები შეიცავს უაღრეს ლირიზმს, მეტ მელოდიურობას და ქართული სიმღერის დამახასიათებელ ფორმლა-გებს და მელიზმებს, როგორც შენივთებული გრძნობის ხვეულებს, შაგალითად, სიტყვაზე „გაგეხსნა“ („გაგეხსნა-ა-ა ოქროს საკინძი“), ან სიტყვაზე „დაგინახე“ (და-გინახე-ე-ე, მყის ავტირდი...“).

რა მშვენიერებაა აქვე, მაგალითად, როგორც სუ-ლისკვეთების გამომხატველი, აბესალომის ფიცი: „არა! წყალ-წისქვილ-ქვიშამან, არ შევირცხვინო პირია!..“ თით-ქო უნდობლობით აღშფოთებული ადამიანი არ კი შლე-როდეს, არამედ კილოშეკიდებით მეტყველებდეს. და მე-რე, მცირე პაუზის შემდეგ, ორკესტრი რომ რიტურ-ნელს გაათავებს, აღტაცებით მიმართვა: „რა ლამაზი ხარ, ეთერო! რა მომხიბლავის ფერისა..“

სულ სხვა მუსიკალური თემა, სულ სხვა რიტმი, სულ სხვა მეტყველება გრძნობისა. ამავე დროს იგი თით-ქო წარმოთქმული ფიცის განმარტებაა: განა ამისთანა მშვენებით მოსილ არსებას ადამიანი უღალატებსო.

ალსანიშნავია ამავე სურათში მოკლე დუეტი, ეთე-რის — „შენ ხარ დიდი დიდებული“ -ს თემაზე და აბესა-ლომის ფიციდან ვარიაციულ გამოძახილზე აგებული, და აბესალომისა, ეთერისა და მურმანის მოკლე ტრიო, დი-დის ოსტატობით გაკეთებული: თვითეული პერსონაჟი სულ სხვადასხვა გულისტქმას ამჟღავნებს და ეს მოცემუ-ლია ერთ მთლიან ჰარმონიზაციაში, ხოლო არა სიმღე-რის სახით, არამედ მელოდიური რეჩიტატივით, განს ა-კუთრებით აბესალომისა და მურმანის ფრაზები.

ასევე მელოდიურ რეჩიტატივზეა აგებული მურმა-ნის უკანასკნელი ფრაზა ამ სურათში: „წყალ-წისქვილ-

ჭვიშაც არ დავიფიცო...“, კილო-შეკიდებით უკანასკნელ
სიტყვებზე „შენს დაჯაბნასა“.

მეორე სურათში, მურმანის არის შემდეგ, პირვე-
ლივე სცენა დედინაცვლის და ეთერის შეტაკებისა მო-
ცემულია იმავე მელოდიური რეჩიტატივით და თავდება
ეთერის წუხილით „ნეტავი ვინმე გამოჩნდებოდეს...“, ე.-ი.
ეთერის არიდთ „დედინაცვალი—თვალში ნაცარი“. ეს
განმეორება სრულიად ბუნებრივია, სცენიური სიტუა-
ციის მიხედვით შექმნილი, და უფრო აძლიერებს ეთერის
უმწეო მდგომარეობას.

მე მგონია, კომპოზიტორმა განგებ არ შეუქმნა
ეთერს ახალი მუსიკალური გამოთქმა და განიმეორა უკვე
ნახმარი ფრაზა, როგორც ეთერის იდეფიქსი.

ზოგიერთი რეჟისორი თუ ლოტბარი ამ სცენას გა-
მოსტოვებს ხოლმე და პირდაპირ აბესალომის შემოსვ-
ლაზე გადადის. ეს შეცდომაა. იმიტომ, რომ ეთერის
დრამატიული მდგომარეობის გამძაფრებას ვერა ვხედავთ,
და მისი უეცარი თანხმობა აბესალომის მოწოდებაზე
გაუმართლებელია, ვინაიდან, ის იყო, მას გაექცა. თორემ
გამოდის რაღაც ფაუსტისა და მარგარიტას კეკებალულო-
ბის მსგავსი რამ. იქ ის მაინც ვიცით, რომ მარგარიტა
უკვე მოხიბლულია. აქ კი ეთერმა, ის იყო, მტკიცე უარი
სტკიცა თავის მოტრფიალეს.

ამავე მეორე სურათის შემდეგ სცენაში სასწორი
უკვე მელოდიური რეჩიტატივიდან ნამდვილ გაშლილ
მღერისაკენაა გადახრილი. აბესალომის „ეთერო, შენსა
ლალატსა“ არიოზული მღერის ხასიათი აღარა აქვს, არა-
მედ, თუ შეიძლება ითქვას, „საარიო“ მღერის სახე აქვს.
მართალია, ეთერის თანხმობის პასუხი „რაც გსურდეს,
ბრძანეთ...“ მელოდიურ რეჩიტატივს უბრუნდება, მაგრამ

აბესალომის ასეთივე ფრაზა „არა, მერწმუნე, არ შევირცხვინო პირია“, უკვე ბოლოშივე სიმღერის კილოზე გადადის და წარმოვობს იბესალომის მუსიკალურ თემაზე „ეთერო, შენსა ლალატსა...“ უგებულ დუეტს, რომლის ბოლო ნამდვილი „დიდოპერული“ დუეტის ეფექტიური ხმაშეკიდებით თავდება.

* * *

მეორე მოქმედებაში ქორწილია. მაშასადამე, ამ მოქმედების მუსიკაც ზეგმურია, სადღესასწაულო. იგი მეტწილ ანსამბლურია, აქ-იქ ცალკეული საპერსონაჟო ფრაზებით და სხვადასხვა რთული მუსიკალური ფორმებით.

იწყება მოქმედება აბიო-მეფის დიდებით, რომელსაც ხორო ასრულებს ორკესტრის თანაყოლებით.

დიდება, როგორც მას შეეფერება, კოლექტიური აღტყინების გამომხატველია. იგი, რასაკვირველია, თავიდან ბოლომდე სიმღერაა, რომელიც ჯერ მდორედ იწყება, თანდათან ვითარდება, მაღლა-მაღლა მიღის და მძლეთა-მძლე აკორდით თავდება.

როგორც ამ ჰანგისა, ისე სხვა ჰანგების მუსიკალურ სადაურობასა და ავკარგიანობაზე აქ არას ვიტყვი. ამაზე, საერთოდ, ქვევით მექნება საუბარი. ჯერ მხოლოდ მათ ფორმებს ვეხები. არც საორკესტრო და, საერთოდ, ინსტრუმენტალურ ნომრებზე ვამბობ რასმე ჯერ-ჯერობით.

შემდეგი ვოკალური ნომერი ისევ ხოროს ეკუთვნის. ეს არის კახური „მაყრული“, რომელიც სცენის გარეთ იწყება უორკესტროდ. მაყრიონი მოდის და თან შემოიტანს ამ სიმღერას. ამას მოსდევს ქალთა გუნდის

მილოცვა, რომელიც ვაშას ძახილით თავდება. იგი მე-
ლოდიური რეჩიტატივი უფროა, ვიდრე სიმღერა, მაგ-
რამ ნამდვილად სიმღერა გამოდის იმ მიზეზების გამო,
რაზედაც ქვევით მექნება ლაპარაკი. აქ კვლავ აგუგუნ-
დება „მაყრული“, რომელსაც მღერიან ყველანი სცენაზე
მყოფნი, პირველი პერსონაჟების გარდა, და რომელსაც
ამ რიგობაზე ორკესტრიც აჰყვება. იგი თავდება ზავთია-
ნი, ზეიმური აკორდით, როგორც ამ სცენიურ მომენტს
შეჰვენის.

ამ საერთო ალტყინებას მოსდევს აბიო მეფის მიერ
ახალგაზრდა მექორწინეთა დალოცვა — „გაბედნიეროთ
უფალმა“, კვლავ მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული.
მოკლე, გარნა თემატიურად უაღრესად მდიდარი.

კვინტეტი, როგორც განსაზღვრული ფორმის მუსი-
კალური ნომერი, მეტწილ სიმღერის ფარგალს არ სცილ-
დება ხოლმე, განსაკუთრებით, როდესაც ყველა პერსო-
ნაჟს ერთიდაიგივე მუსიკალური თემა და სიტყვიერი მა-
სალა აქვს განკუთვნილი. აქაც სწორედ ასეა. მას მღე-
რიან აბესალომი, ეთერი, მარიხ-ვარსკვლავი, ნათელა-
დედოფალი და აბიო მეფე („ლმერთში კარგად აგვისრუ-
ლოს, რაც ერთმანეთს ჩვენ შევფიცეთ...“)

იწყება ნადიმი.

ვაჟთა გუნდის ფრაზები — თამაღა, თამაღაო, ქალ-
თა გუნდის ფრაზები ამავეზე, აბიო მეფის ფრაზა „თა-
მაღობას მივულოცავ...“ და თანდარუხის ფრაზა „შენი
წყალობა, მეფეთ-მეფეო...“, ვიდრე სადლეგრძელომდე, —
მთლად ფიგუროვანი მელოდიური რეჩიტატივია, ხოლო
თანდარუხის მიერ წარმოსათქმელი სადლევრძელო „გვი-
ბედნიერე ზენარო“ თავისი განსაკუთრებული მელოდიუ-
რობით უფრო მღერაა ან, შეიძლება, გალობა, ვიდრე სხვა

რაშ ჰანგი, მაგრამ ამ სიმღერის თუ გალობის უკანასკნელი ფრაზა „დღეგრძელ ჰყავ მდიდარ განძითა“, რა-საკვირველია, მელოდიური რეჩიტატივია და შესანიშნავიც!

სულმა წამძღვა, და აქვე შინდა იგი დავახასიათო. ვაი, თუ შემდეგში დამავიწყდეს...

აი, ქართული სიმღერის დროს, ნამეტნავად სუფრაზე, რომელიმე გალალებული მომღერალი თავდავიწყებით რომ წამოიძახებს ხოლმე „აი, შენი ჭირიმე, შენი!“ -ო, ან „თქვენი გამარჯვებისა იყოს, თქვენიო“ -ო, — სწორედ ასეთი დეკლამაციური მეტყველებისაა ეს ფრაზა.

ასეთივეა, ე.-ი. მელოდიური რეჩიტატივია — თანდა-რუხის მიმართვა „ალავერდი შენთან მოწყალეო მეფე აბიო, — ლვინო მიირთვი ყანწითა“ და მეფის საუცხოო პასუხი „იახშიოლ“.

მოკლე „მრავალუამიერ“ -ის შემდეგ იწყება კახური სანალიმო სიმღერა „ჩაკრულო“.

ყველა შემდეგი ფრაზა: აბესალომისა („საღ არის ჩემი მურმანი...“), მურმანის პასუხი („მეც აქ გახლავართ, მეფეო“ ...), აბიოს მიმართვა მარიხისაღმი („აბა, მარიხო, გვასმინე...“), მარიხის განაზება და მამის შენიშვნა — ყოყ-მანი არ გარგებსო — ყოველივე ეს, ვიდრე მარიხის „საყ-ვარელო გულისა“ -მდე, მოკლე მელოდიური რეჩიტატივია, ზოგი რთული ფიგურაციით, ზოგიც უფრო საღა.

თავისთავად იგულისხმება, რომ მარიხის კანცონეტა „საყვარელო გულისა“ წმინდა წყლის ლირიკული სიმღერაა. ამიტომაც ჰქვიან კანცონეტა.

თანდარუხის შემდეგი ფრაზები „მაღლობას გიძლვნი, მეფეო... იცოცხლე მრავალუამიერ“ და „ახლა შუშპ-რობა დავიწყოთ“, აგებულია აგრეთვე მელოდიურ რე-ჩიტატივზე.

მესამე მოქმედება, გარდა აბესალომის ღიღი
არისა „ვეძებდი ბედსა...“, რომელზედაც ზევით მქონდა
ნათქამი. და ქვევითაც ვიტყვი, ერთი დიდი მთლია-
ნი ანსამბლია. ამ ანსამბლში ცალკეული პერსონა-
ჟების ფრაზებიც ბევრია. მაგრამ მათ ხასიათზე, ავკარ-
გიანობაზე და სადაურობაზე ერთად მექნება ლაპარაკი
ქვევით,—ისე, როგორც მთელ ანსამბლზედაც, როდესაც
ოპერის მუსიკის არსე შევეხები.

მეოთხე მოქმედება (უკანასკნელი) ფორმათა
მრავალფეროვანებით და „ამოხმიანობით“ ყველა მოქმე-
დებაზე მდიდარია. აქ ხშირია შერეული ფორმები არიო-
ზული და საარიო მღერისა როგორც მონოლოგებსა,
ისე დიალოგებში. მაგალითად, მელოდიური რეჩიტატი-
ვით დაწყებული ღიღი არია ეთერისა „დედამთილი, მა-
გამთილი“—საარიო მღერად გადაიქცევა შემდეგი სიტვე-
ბიდან: „აბესალომ, სიყვარულმა დაგამონა ეთერ ქალსა“...
აგრეთვე, აქა-იქ ღიალოვი დუეტად თავდება (ნათელას
და ეთერისა—„ეთერო, შემოგიარე მაგ შენი ციხის მზვა-
რესა“...). უკვეა აბესალომისა და მურმანის ცნობილი,
მელოდიურ რეჩიტატივზე ავებული ღიალოვი „მურმან,
მურმან, შენსა მზესა“... ხოლო დუეტი „ამაღამდელო
ლამეო“, ადგილ-ადგილ ფიგუროვანი რეჩიტატივებით,
აგრეთვე აბესალომისა და ეთერის დუეტი „წამწამსა და
წამწამს შუა“, რომელიც ანსამბლად იქცევა, და კვარტე-
ტი—საარიო სიმღერის ფორმებისაა; მრავალი სხვა მოქ-
ლე ღიალოვი თუ ცალკეული ფრაზა არიოზული მღე-
რის ხასიათისაა.

აქვეა ქალთა გუნდის სიმღერა „ქალია—ქვეყნის
თვალია“ და ორივე გუნდის საგალობელი „მათი სული—
ქვეყნად ერთი“, რომელითაც თავდება მთელი რვერის
ვოკალური მუსიკა.

* * *

როგორც კხედავთ, მთელს ოპერაში უდიდესი აღ-
გილი დათმობილი აქვს არიოზულ მღერას, მელოდიურ
რეჩიტატივს.

ეგრეთწოდებული მშრალი რეჩიტატივი, ე.-ი. უფი-
გურაციო თქმა „აბესალომის“ მუსიკაში თითქმის სრუ-
ლიად არა გვხვდება. ისეთს ცალკეულ სიტყვასაც კი,
როგორიც არის, მაგალითად, „არა“, —ყველგან მელოდიუ-
რობის იერი დაპკრავს.

ავილოთ თუნდაც სიტყვა „იახშიოლ“, რომელზე-
დაც ზევით მქონდა ლაპარაკი. ამ ერთ სიტყვაში მთელი
მუსიკალური ფიგურაა მოცემული. და აი, აქა ჩანს ზაქა-
რია ფალიაშვილის საკვირველი ალო ქართული სიტყ-
ვის თავისებური მელოდიურობის გამოცნობისა. მსმენელი
დაეთანხმება კომპოზიტორს, რომ ვახურებული ნადიმის
დროს ეს სიტყვა ლაპარაკითაც კი განსაკუთრებული
კილოთი წარმოითქმის ხოლმე. ამიტომ იგი სრულიად
მართალი იყო, როდესაც „იახშიოლ“ მუსიკალურ ფი-
გურად მოგვცა და არა მშრალ რეჩიტატივად.

მე მგონია, ამავე მოსაზრებით აიხსნება ის, რომ
კომპოზიტორი, საერთოდ, არ იყენებს მშრალ რეჩი-
ტატივს.

სამაგიეროდ, როგორც ვნახეთ, იგი თავის მუსიკა-
ლურ აზრებს უპირატესად მელოდიურ რეჩიტატივზე
აგებს და საკმაოდ იშვიათად მიმართავს საარიო მღერას.

შაგრამ ისიც უეჭველია, რომ მისი მე-
ლოდიური რეჩიტატივი ნამდვილი სიმღე-
რის შთაბეჭდილებას სტოვებს.

რატომ?

იშიტომ, რომ მისი მელოდიური რეჩიტატივი უალ-
რესად მელოდიურია და ამ თავისი ხასიათით სიმღერას
უფრო უახლოედება, ვიდრე არიოზული მღერის ბგერა-
ლობას. ეს კი იმით აიხსნება, რომ „აბესალომის“ მელო-
დიური რეჩიტატივი მეტისმეტად მდიდარია მუსიკალური
ფიგურებით, ხოლო ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ
ქართული მუსიკალური კილოკავი ბუნებითვე ამ თვისე-
ბისაა. და, ვინაიდან ზაქარია ფალიაშვილი პირტმინდად
ქართულად შეტყველებს, ამიტომაც მის მუსიკალურ ფრა-
ზას სიმღერის იერი დაჰკრავს, თუნდაც იგი რეჩიტატი-
ვად იყოს მოცემული.

ამას გარდა, მხედველობაში სხვა გარემოებაც არის
მისაღები.

რეჩიტატივისა და მელოდიური რეჩიტატივის გად-
მოცემას განსაკუთრებული დეკლამაციური უნარი ესაჭი-
როება, ე. ი. მუსიკალური ფრაზის სიტყვიერი მნიშვნე-
ლობით ამეტყველება, სააზროვნო მახვილების სათანა-
დოდ დასმა და ამ ხერხით ამათუიმ აზრის მკაფიოდ
გამოძულავნება. უამისოდ ძალიან აღვილია არიოზული.
შესრულებული სიმღერად გადაიჭირეს ან, თუ იგი ფიგურაციებით
მდიდარი არ არის, ერთკილოვან მოსაწყენ ბგერადობად
გარდაიქმნას.

შე არ ვიცი, როგორ მიუდგნენ მოსკოვის დიდი
თეატრის არტისტები „აბესალომის“ ვოკალურ მუსიკას,
მაგრამ ჩვენში კი, იშვარაა, დეკლამაციურ მიდგომაზე
არავინ დაფიქრებულა: არც ერთი არტისტი, არც ერთი

ლოტბარი, არც ერთი რეჟისორი, შეიძლება, ავტო-
რიც კი.

თვით ისეთ საუკეთესო აღმასრულებელთ აბესალო-
მის პარტიისა, როგორაც იყო ვანო სარაჯიშვილი, ხო-
ლო მურმანისა — სანდრო ინაშვილი, — ამ საკითხისათვის,
აღმათ, ყურადღება არ მიუქცევიათ. მათ „აბესალომის“
ვოკალური მუსიკა მიიღეს თავიდან ბოლომდე, როგორც
სიმღერის საუკეთესო ნიმუში. მართალია, ვანო სარაჯი-
შვილმა მოგვცა აბესალომის პარტიაში ზოგიერთი განსაკ-
ვითრებელი, დაუვიწყარი ფრაზა, რაც სხვა მომღერლე-
ბისთვისაც ტრადიციად გადაიქცა, მაგრამ ეს მაინც
საარიო სიმღერის ფარგალს არ გასცილებია და დეკლა-
მაციურ ხელოვნებაში არ გადასულა.

სხვაგან თუ არა, აბესალომისა და მურმანის დრა-
ლოგში („მურმან, მურმან, შენსა მჩესა“), მე მჯონია,
სადეკლამაციო ელემენტის შეტანა თავისთავად უხდა
ეგულისხმებოდეს ხელოვანს. ხოლო აქაც ჩვენმა მომღერ-
ლებმა მოგვცეს მშვენიერი სიმღერა და კვლავ მშვენიერი
სიმღერა.

ცდა, ცოტად თუ ბევრად, ამ დიალოგის გადეკლა-
მაციებისა მე შევნიშნე უკრაინელ მომღერალს გრიშკას
მურმანის როლში. მაგრამ არ ვიცი, ეს შემთხვევითი ინ-
ტუიტური რამ იყო, თუ შეგნებული მიღვინა.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ თანდარუ-
სისა, აბიო-მეფისა, მსახურთ-უხუცესისა და სხვათა ცალ-
კეული ფრაზები, უეჭველად დეკლამაციური ხასიათის
მქონე, ჩვენ სიმღერად ჩაგვესმის, რადგანაც ჩვენი მომ-
ღერალნი ამ ფრაზებს არ კი წარმოსთქვამენ, არა-
მედ მღერიან.

შეიძლება, ვცდებოდე და ზაქ. ფალიაშვილის მე-
ლოდიური რეჩიტატივების გადეკლამაციება შეუძლებელი

იყოს. იქნება, იგი, ბოლოსდაბოლოს, საზიანოც გამოდგეს იმ მხრივ, რომ ამ ფრაზებს დაეკარგოს მათი მშვენიერი კეთილხმოვანება. მაგრავ, როდესაც ვყადე განმემარტა ის მოვლენა, თუ რატომ ჩაგვეამის ყურთ „აბესალომის“ თვითეული მუსიკალური თქმა, როგორც სიმღერა, — არ შემეძლო არ აღმენიშნა ამის „საეგებისო“ მიზეზთაგანი, სახელდობრ ის, რომ ჩვენი არტისტები პირალებით გადმოგვცემენ „აბესალომის“ მუსიკას მარტოდენ როგორც სიმღერას.

ყოველ შემთხვევაში, თავისთავად ეს საკითხი საინტერესოა. ერთიც ვნახოთ, ამათუმ არტისტის ცდამ ამ მხრივ სასურველი შედეგი გამოიღოს და „აბესალომის“ მუსიკის ახალი ინტერპრეტაცია გვიჩვენოს... ნაწილობრივ მაინც.

* * *

ამრიგად, „აბესალომ და ეთერი“, საერთოდ, მოცემულია „დიდი ოპერის“ (ოპერა-სერია) გარევან სახედ, მაგრამ მასში უპირატესად ადგილი დათმობილი აქვს „მუსიკალური დრამის“ ფორმებს, არიოზულ მღერას, რომლის შელოდიურობაც სიმღერის მეტყველებამდე აღწევს.

როგორც ლეგენდის გაძრმხატველი, „აბესალომის“ მუსიკა უაღრესად ლირიკულია. ხოლო ლირიკულობა სრულიადაც არ უარპყოფს სიუჟეტის დრამატიზაციას. და ეს დრამატიზაცია „აბესალომში“ მიღწეულია უმაღლეს წერტილამდე. გაიხსენეთ მთელი მესამე მოქმედების მუსიკა, დიდი ანსამბლი და ამაში მაშინვე დარწმუნდებით.

რასაკვირველია, „აბესალომი“ მძლეთა-მძლე ხასიათების ოპერა არ არის. და თვით კონფლიქტი ამ ხასიათებს შორის მეტისმეტად ლირიკულია. ბოლოსდაბოლოს,

აქ ყველანი მსხვერპლი არიან ურთიდაიშავე საიდუმლოებისა — სიყვარულისა. მხოლოდ მურმანს თუ ეტყობა ოდნავ ხასიათის სიმკვეთრე ზოგიერთ ცალკეულ ფრაზაში. მაგრამ მოისმინეთ მისი წევილი მეორე სურათის დასაწყისში („აშობავალსა მჩეს სწუნობს...“) და თქვენთვის ნათელი იქნება, რომ მთელი მისი სულიერი ბორგვა მელანქოლიურობის იერით არის დაფერილი.

შერე, რას სჩადის იგი ამ სიყვარულში გამარჯვებისათვის? განა აუჯანყდა თავის სუზერენს? ომი გამოუცხადა და ისე წაართვა ცოლი? სულაც არა! დედაბრულად ჯადო მიაწოდა ეთერს, დაავადა იგი და ამით განაშორა ერთმანეთს მოსიყვარულე ცოლ-ქმარი. და თუმცა ამაყად ეუბნება აბესალომს, ეთერს მურმანის შეტი ვერავინ ნახავსო, მაგრამ ბოლოს უდრტვინველად უკვდავების წყაროზე ეგზავნება მეფეს, დარწმუნებული, რომ იქიდან ცოცხალი ველარ დაბრუნდება. არა, მურმანი ის დემონური ხასიათი არ არის, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია (მე რეცენზენტების აზრს ვგულისხმობ).

და არც მუსიკა იძლევა მის ასეთ დახასიათებას, თუ გვეხსოვება, რა თავზარდაცემულად წამოიქახებს მურმანი „ახლა კი გულმა მაცნობა — ბედი გეჭნება მწარეო“, და, ამ ბედის მორჩილი, მხოლოდ ლამეს ეხვეწება „ნუ გათენდ ბი მალეო, მახვიე ბროლის გულმკერდსა, ველარ ვიშოვნი ხვალეო“. ეს ხვეწნა კი უაღრესად ლირიკულია.

აშიტომ, ავტორი, რაღა თქმა უნდა, მართებულად მოიქცა, რომ მიიღო რეცენზენტის რჩევა და განაშორა თავის ოპერას ბელიარ ეშმაკი და შთელი წინანდელი მესამე მოქმედება, სადაც მურმანი თავის და თავისი დედის სულსა ჰყიდის ჯადოს მოსაპოებლად, ვინაიდან ამ მოქმედების მუსიკას არაფერი საერთო არა ჰქონდა რა ოპერის დანარჩენ მუსიკასთან.

მე მგონია, მეტი იქნება აქ იმის მტკიცება, რომ არც
აბესალომია, არც უთერი ძლიერი ხასიათი. ისინი
უნებული მსხვერპლი არიან იმავე მძლეთა-მძლე სიყვარუ-
ლისა და როგორლაც იოლად ნებდებიან თავიანთ სვე-
ბელს. შარტო ურთი აბესალომის დასწეულება უთერის
დაკარგვის გამო, იმის ნაცვლად, რომ მურმანისათვის
წაერთმია თავისი ნაცოლარი, აშკარად გვიჩვენებს ამას.

გავიხსენოთ, მაგალითად, მისი მშვენიერი—მუსიკა-
ლურად, რასაკვირველია—ფრაზა „ღმერთმა მოჰკითხოს
მას, ვინც მოგვაყენა ეს უნება“, — რა ბედის მორჩილებისა
და მის წინაშე რა უძლურების გამომხატველია იგი. არც
აღმფოთება, არც პროტესტი, არამედ მწველი ტანჯვა-
და ლამაზად გამოთქმული ჭაეშანი.

ერთის სიტყვით, „აბესალომი“ პირწავარდნილი ლი-
რიკული დრამაა ლეგენდური ხასიათისა და ზაქარია ფა-
ლიაშვილმა შეუქმნა მას ასეთივე შესანიშნავი ლირიკული
მუსიკა. ვიმეორებ, ლირიზმი დრამაში თუ მუსიკაში ად-
გილად მაღლდება ტრაგიკულ პათოსამდე. აქაც ასეა.

* * *

„აბესალომის“ უდიდესი ლირსება, — გარდა მისი
პოლიფონიური მუსიკის სიმღიდრისა, რაც მოსკოვის მუ-
სიკოსებმაც აღნიშნეს, — მუსიკალური აზრის მრავალფე-
როვანებაა, უ.-ი. მისი მუსიკალური თემატიკა უალრესად
დოვლათისანია.

მართლაც, ახლა მაგონდება ცნობილი მუსიკოსის
აზრი, კერძო საუბარში გამოთქმული, „აბესალომი“ რომ
პირველად დაიღვა, — ამ ოპერაში იმდენი მუსიკაა, რომ
იმავე ვერდის ბარემ ოთხი ოპერისათვის ეყოფოდათ.

საქმე ის. არის, რომ ამათუიმ ცალკეულ ნომერში,
რაც უნდა მცირე იყოს იგი, ზაქარია ფალიაშვილი რამ-

დენსამე ახალ მუსიკალურ აზრს იძლევთ, განსხვავებულს
სახითაც და რიტმითაც.

ავიღოთ თუნდაც აბესალომის პირველი შიმართვა
ეთერისადმი — „მე ბანი ბანად გეჭებდი, შენ ბალი ბალჩად
გეძინა, გაგებუნა ოქროს საკინძი, ბროლის გულმკერდი
გეჩინა“. სხვა კომპოზიტორი მარტო იმ მუსიკალური აზ-
რით დაკმაყოფილდებოდა, რომლითაც ეს სიტყვები აა-
ღია, რათა იგი მთელ არიად განევითარებინა სხვადა-
სხვა ვარიაციული ხერხებით, რაღვანაც თვით ამ ფრა-
ზაშივე ჩანასახია ორი, შეიძლება ითქვას, თავისებური
მუსიკალური თემისა. მაგრამ ზაქარია ფალიაშვილი ამ
იოლ გზას არ მისდევს და ზედმიყოლებით სულ ახალ
თემას იძლევა შემდგომი სიტყვებისათვის „ეგ ლაშაზი
გიშრის თმანი ვარდისებურ პირს გეფინა“, — ახალს სახი-
თაც და რიტმითაც და მხოლოდ ამის შემდეგ პირველი
ფრაზის მეორე ნახევრის თემას უბრუნდება: „გაგებუნა“...
და სხვ., რომლითაც ათავებს მიმართვას.

ან კიდევ.

იმის შემდეგ, რაც მურმანს ორხელ წარმოათქმევი-
ნებს შურით და დაცინვით ოღავსე სიტყვებს, აბესა-
ლომს — შეაძლევინებს ორხელვე ეთერისათვის საჩუქრებს,
ეთერს კი ორჯერვე უარს ათქმევინებს საჩუქრებზე და
მერე მიჯნურობაზედაც, — ავტორი ეთერის უნდობლობით
აღშფოთებულ აბესალომს აფიცებს: „არა! წყალ-წისქვილ-
ქვიშამან, არ შევირცხვინო პირია“ - თუ და ყოველსავე ამას
იგი იძლევა თვითეული სიტყვიერი აზრის შესაფერი მუსი-
კალური მეტყველებით.

თითქო აქ დრამატიული სიტუაცია დასრულებულია,
მეტი სათქმელი აღარა არის რა. მაგრამ, თუ დრამატიუ-
ლი სიტუაცია დასრულებულია, დასრულებული არ არის

აბესალომის სულისკვეთება და იგი წამოიღვრება საკვირველ ბუნებრივ თქმად: „რა ლამაზი ხარ, ეთერო, რა მომხიბლავის ფერისა! სალოცავია კაცთაგან ფერულიც შენ ფეხთა მტვერისა“.

და ნუ გვონიათ, რომ ავტორი ამისათვის მიმართავს რაიმე კილოშეკიდებულ გამოთქმას ან რთულ მუსიკალურ წინადადებას. არა! სრულიად მარტივი, სადა მელოდია, მაგრამ ნამდვილი პოეტური გრძნობის მეტყველი, გეგონებათ—დღიურ სიცხადეს განყენებული ადამიანი ჭვრეტის აღტაცებაში იყოს შთანთქმული და ოცნებით იხატავდეს თავისი სატრუიალოს მშვენებასაო.

ვიმეორებ, სხვა მელოდიატი კომპოზიტორი აირჩევდა ერთერთ ამ მუსიკალურ თემას, მოალამაზებდა მისგანვე გამომდინარე ვარიაციებით, გაშლიდა საკმაოდ ვრცელ არიად, ჩაურთავდა სადმე ეფექტიან ასამალლებელს ან ამ ასამალლებელით გაათავებდა უფრო დიდი ტაშის გამოსაწვევად, თუ „ბისზე“ განსამეორებლად. მერე, ამავე საარიო მღერით აპასუხებინებდა ეთერს და ბოლოს ან შეჰქონიდა მათ სამიჯნუროდ ან გაჰქიდა ასევე ეფექტიანად.

მაგრამ ზაქარია ფალიაშვილს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა ეს გაცვეთილი, მრავალთაგან მრავალგზის ნაცადი ხერხი მარტოოდენ ლამაზი სიმღერისა, რომელშიაც ხშირად, შეიძლება, გარეგანი სილამაზეა, მაგრამ აზრი კი მჩატე. მან დაისახა უფრო სერიოზული კომბინაცია. ამიტომაც გაართულა მუსიკალურად ღრამატიული სიტუაცია, მიმართა რა „მუსიკალური ღრამის“ ფორმებს, არიოზულ მღერას, მოგვცა ნამდვილი მუსიკალური დიალოგი და, მასთან ერთად, შექმნა ქართული მუსიკალური მეტყველების შესაფერი მელოდიური რეჩიტატივი, რო-

მელიც ერთსადაიძავე დროს უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე ჩვეულებრივი მელოდიური რეჩიტატივი, და უფრო ბუნებრივიც, ვიდრე საარიო მღერაა.

და ზედმეტი არ იქნება — ერთხელ კიდევ განვიმეორო ამ წერილის დასაწყისში გამოთქმული დებულება, რომ ზაქ. ფალიაშვილმა თავისი „აბესალომით“ სატურელი ჩაუყარა ნამდვილ ქართულ ოპერას და შეკვენა კიდეც მუსიკალური დრამის ქართული ენა.

ამ ენით მეტყველებს თითქმის მთელი „აბესალომი“. იგია ქვაკუთხედი მისი ავტორის შემოქმედებისა. მერე, მეტისმეტად ორიგინალურია ეს ენა, რადგანაც სავსებით შეესაბამება ქართული მღერის, საერთოდ, ქართული მელოდიის ბუნებას.

ჭეშმარიტი შემოქმედის უხვი ხელით გამნეულია მთელს ოპერაში ნამდვილი მარგალიტები ქართული მუსიკალური მეტყველებისა, დიდი საუნჯეა დაგროვილი მუსიკალური აზრებისა.

ვისაც გინდა მოუსმინოთ, პირველი პერსონაჟი იქნება იგი თუ მეორეხარისხოვანი, — ყველასაგან გესმით მუსიკალური აზრით სავსე ფრაზა, ვრცელი იქნება იგი, თუ მოკლედ მოკვეთილი. არსად ცარიელი აღვილი, არსად მღერა მხოლოდ მარტო მღერისათვის. სპასალარი თანდარუხი გინდათ, აბიო-ბეფე გინდათ, მსახურთ-უხუცესი, თუ დედინაცვალი, — ერთის სიტყვით, ეპიზოდური, მეორე რიგის პერსონაჟები, — ყველა გაწვდით თავთუხის ხორბალივით მკვრივად ჩაკირულ მუსიკალურ მარცვალს, მისი ხასიათისა და დრამატიული სიტუაციის შესაფერს.

მე ასეთი გამოთქმა ოცდახუთამდე დავითვალე და თამამად ვამბობ, არც ერთი არ დაიწუნება, არც ერთზე არ ითქმის, თავის ადგილას არ არისო.

ასეთია ამ ოპერის საერთო არე, საერთო ფონი.

იგი თითქო მოლივლივე ზღვის ზედაპირს მოგავლნებთ, რომელზედაც პატია და მოდიდო ტალღები შეუწყვეტლივ ქანაობენ — ზოგი შეუმჩნევლად, ზოგიც შესამჩნევად, ერთი-ერთმანეთისაგან იბადებიან და ერთმანეთშივე ინთენდიან.

ხოლო ფამით-ეამ ამ მობიბინე ზედაპირზე აღიმართება ესათუის მძლავრი ზვირთი, თანდათან იშრდება, მატულობს, ირხევა, ხან კიაფობს, ხან ფრთონავს, ვით ცოცხალი სხვული, აქ—გამჭვირვალე, ნათელი, იქ—თითქო ნისლში გახვეული, აქ—ნაოჭად ასხმული, იქ—მკვრივად შეკრული. და, რა მიაღწევს თავისი განვითარების ზენიტს, თანდათან საოცნებოდ იმსხვრევა, ნატეხებად იშლება — და საამურად უერთდება თავის წარმომშობ სტიქიონს, ან ზათქითა და ზარით გადაეშვება ამავე სტიქიონში და სტოვებს მსმენელში დაუკიტყარ წარმოდგენას, როგორც შხატვრული გრძნობის ამშლელი სილამაზე, იმის მიუხედავად, თუ რას გამოხატავს — სიხარულსა თუ წუხილს.

* * *

ერთერთ ასეთ ზვირთს, ყველაზე ბუმბერაზულსა და მღელვარეს, წარმოადგენს „აბესალომში“ მესამე მოქმედების ღიღი ანსამბლი, ე. ი. მთელი ეს მოქმედება აბესალომის ღიღი არითოურთ, რომლითაც იგი იწყება და რომელიც ამ ანსამბლის განუთვისებელი ნაწილია.

ბევრი არ ვიცით თვით შესანიშნავ ოპერებში ასეთი მძლეთა-მძლე და მსმენელის სულის სიღრმემდე ამაღლელვებელი ანსამბლი. იქნება ერთი-ორა იყოს — „ჰუგენტებში“, მაგალითად, შეთქმულების სცენა, ან „აიდაში“ — მესამე მოქმედება.

ამ ანსამბლებში, რასაკვირველია, სულ სხვა გრძნობები მეტყველებენ, ვიდრე „აბესალომისაში“, ვინაიდან აქ დრამატიული მდგომარეობა და მუსიკალური შინაარსი სხვადასხვაა. მე ვგულისხმობ მათ მხატვრულ ძალას და შთაბეჭდილებას, რომელსაც ისინი მსმენელზე ახდენენ. პროფ. შ. ასლანიშვილის აზრით, „აბესალომის“ ანსამბლი თავისი გენიალობით ჰენდელისა და ბახის ორატორიებს მოგვაგონებს.

როდესაც ვისმენდი ამ ანსამბლს, საღაც ცალკეული ადამიანებისა და ადამიანთა კრებულის საერთო გულისწუხილი თითქო ერთ მთლიან ვაებად შენიშვნებული მათ ხმებში, მე ყოველთვის, სულიერ აღძვრასთან ერთად, მაკვირვებდა ის შემოქმედი ძალა, რომელმაც შეაძლებინა ერთ ადამიანს აერეკლა მხატვრულ წარმოდგენაში ეს ზღვა გრძნობა და ასე ჯამომეტყველად გაღმოეცა მუჭიკის ენით.

აქ თითქო, შემოქმედებასთან ერთად, უნდა ყოფილიყო კიდევ რაღაც პირად განცდათა გამოძახილი, რაც მხატვრულ წარმოდგენას იმ უშუალო გრძნობის სიწრფოებით ჰქონდა, რომლითაც გაუღენთილია მთლად ეს ანსამბლი.

და, მართლაც, ამას წინად გავიგე, რომ აბესალომის არია „ვეძებდი ბედსა“ და ზედ მიყოლებით მთელი ანსამბლი განსვენებულ კომპოზიტორს შეუქმნია დიდი პირადი სულთაძერის პერიოდში.

ზაქარიას ერთადერთი ვაუიშვილი ჰყავდა. მშვენიერი ბავშვი იყო. მშობლებს გაგიუშბით უყვარდათ და დიდი იმედი ჰქონდათ მისი იშვიათი მუსიკალური ნიჭისა. მე თითონ ზაქარიასგან გამიგია ამის დამადასტურებელი ფაქტი. ბავშვი ოთხი წლისა იქნებოდა, რომ ერთ მშვენიერი

ნიერ დღეს როიალს მიუჯდა და მოულოდნელად ტაუკირა გლინკას ოპერა „რუსლანიდან“ ცნობილი მარში, რომე ლიც სმენით დაესწავლა.

აი, ეს საყვარელი, ერთადერთი შვილი 9 წლისა უკრად მოუკვდა. უბედურება თავზარდამცემი იყო. და ზაქარიას სიძემ — მიხ. კვალიაშვილმა (მოსკოვის დიდი თეატრის რეჟისორმა, „აბესალომის“ ერთმა დამდგმელ-თაგანმა) ახლახან გადმომცა თვით ზაქარიას ნაამბობი. ერთ საღამოს ისეთთ ბოლმა შემომაწვა, რომ ტანჯვას ვერ გავუძელ და ჩემი ბიჭიკოს საფლავზე გავიჭერიო. შინ რომ დავბრუნდი სევდიანი, როიალს მივუჯეჭი და მუ-შაობით ვლამობდი ამ წუხილის განქარვებასაო. თვალწინ სულ შვილი მეღვა. და სწორედ იმ ღამეს აბესალომის არია მთლად დავწერეო. შემდეგ დღეებში ზედ ანსამბლიც მიუყოლებია.

და ამ ინტიმური სულიერი ტრაგედიის ანარეკლი უთუოდ მოჩანს აბესალომის არიაში და, შეიძლება, მთელ ანსამბლშიაც. ამას ვამბობ იმ შთაბეჭდილების გამო, რო-მელსაც პირადად ჩემზე ახდენს არიაც და ანსამბლიც.

რა ხასიათისაა ეს შთაბეჭდილება?

სახელდობრ იმ ხასიათისაა, რომ აბესალომის ვაე-ბაში ტრაგიალების ვნებიანობა, დაობლებული სხეულის ძახილი თითქო არ ისმის. არამედ აქ არის მარტოოდენ დაობლებული სულის კაეშანი და გოდება, ნამდვილი სასოწარკვეთილება, როდესაც ხორ-ცი სდუმს და გული-ლა ჩივის.

იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ზაქ. ფალიაშვილის ამ ნაწარმოებს პროფ. შ. ასლანიშვილმა აბესალომ Passion ოპერა უწოდა, ე.-ი. „აბესალომის ვნებანი“, ბახის „მა-თეს ვნებათა“ მსგავსად.

რაღა თქმა უნდა, ამათუიმ შემოქმედის პირად განცალა გავლენა შის მხატვრულ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი მოვლენაა. და, შეიძლება, აქაც ბუნების უმანქო მსხვერპლმა და მამის განწირულში სულისკვეთებამ აიყანა მისი მხატვრული ხილვა ნამდვილ ტრაგიულ პათოსამდე და, ამნაირად, ხელოვანის პირადმა უბედურებამ შესძინა ქართულ მუსიკას და, ალბათ, მსოფლიო მუსიკასაც უკვდავი შედევრი.

* * *

აბესალომის არის პირველი ნაწილი, დაწყებული პირველი სიტყვებით „ვეძებდი ბერსა და ვარვე ხელად“, ვიდრე უკანასკნელ ფრაზამდე, „მშე ჩაესვენა! რამ მიმშუქაროს?“ — ნამდვილი მოთქმა უხომოდ მწუხარე გულისა, ნამდვილ ქართულ, თითონ ზაქ. ფალიაშვილის მიერ შექმნილ, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული და ორი სხვადასხვა მუსიკალური თემის უმცველი. მეორე თემა უფრო ვრცელია და იწყება სიტყვებით „ზინათ-დოვლათი, ყოფა-ცხოვრება..“ უკანასკნელი ფრაზა „მშე ჩაესვენა! რამ მიმშუქაროს?!“ მოკემულია ისეთი გამომეტყველი ფიგურებით, რომ გვითხული ბერის ხვეულში სისხლი წვეთ-წვეთად ქონავდეს პირგახსნილი იარიღან.

მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როდესაც მარტო ორკესტრი იძლევა მომენტის დახასიათებას, იწყება გაშლილი მღერა, მუხლობრივი წყობის კანტილენა, რასაც თვით ავტორი არიოზოს უწოდებს. იგი შეიცავს მხოლოდ ერთ მუსიკალურ თემას, შისგანვე გამომდინარე ვარიაციებზე გაშლილს და ორ-ორსტრიქონიან ლექსზე განაწილებულს, მაგალითად: „ძვირფასო ეთერ, დაგკარგე,

უშენოდ ჩემთვის დღით მზე ბნელა“. ამასთანავე უკანასკნელი ფრაზა განიმეორება მცირედი ინტონაციური ცვლილებით და ჩაღრმავების მახვილების დასმით ყველა სიტყვაზე, განსაკუთრებით სიტყვაზე „ჩემთვის“. ასევეა შემდეგ მუხლშიაც, მხოლოდ მას ნართაული ფრაზა აქვს: „თავო ბედშავო“, მდორე მოთქმით დასამღერი მელოდიური რეჩიტატივი. ამის მომდევნო მუხლი „ვერ გავძლო, როს გაგეყარო..“ უკვე უამნართაულოდ იმღერება. აქ კვლავ პაუზაა და მეტყველებს მხოლოდ ორკესტრი. შემდეგ მუხლში „ეთერო, შენი სიკეთე გაგიშვა და ვიჩქარო..“ დიდი ასამალლებელია (სი-ნატურელ) ბგერაზე „შე“. არია თავდება კვლავ მოთქმით: „თავო ბედშავო! მზე ბნელო! ვაი! ვაი! ვაი! და უკანასკნელი „ვაი“ მიბნედილი ხმაშეკიდებით ბოლოვდება.

ამ არიაზე მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ იგი მეტისმეტად დამახასიათებელია ზაქ. ფალიაშვილის წერის მანერისა, უფრო სწორედ — სტილისა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თვით კანტილენაშიაც კომპოზიტორი არ მისდევს ჩვეულებრივი საარიო მუსიკის თხზვის შეთოდს. იგი ერიჟება კანტილენის გაბმით მოცემას, ორ ადგილას საკმაოდ ხანგრძლივ პაუზას იძლევა საორკესტრო სურათების მოხაზვით, და აგრეთვე ნართაულ ფრაზას, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებულს. ეს ხანგრძლივი პაუზები ანელებენ საერთო ეფექტს, განსაკუთრებით ასამალლებელი მუხლის წინ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰქმნიან აღამიანის მეტყველების ბუნებრიობას. უნდა გვახსოვდეს, რომ აბესალომი მწარე ფიქრებშია წასული, ეს ფიქრები წამდაუწუმ იერს იცვლიან, ხანდახან სწყდებიან და კვლავ აღიძვრიან ახალი სახით. ვი, ამ

ფიქტთა დენის პროცესის ბუნებრიობისათვის მიმართავს ავტორი თავის ამ ხერხს – ჰაუზებს, ნართაულ ფრაზას და მუხლის მეორე ნაწილის იდეფიქსურ განმეორებას საკვირველად გამომეტაველი ინტონაციების ცვალებადობით.

ამ არიაზე კიდევ იმიტომ გავჩერდი, რომ აღარავთქვა რა ეთერის დიდ არიაზე „დედამთილი, მამამთილი...“ (უკანასკნელი მოქმედების დასაწყისში), რომელიც იმავე მანერით არის ჰარმონიზებული, ხოლო აქ მელოდიური რეჩიტატივისა და კანტილენის თემები ქართული ბაიათური ხასიათისაა.

აბესალომის ეს არია ძნელი ასასრულებელია. ვანო სარაჯიშვილი ხშირად გამოტოვებდა ხოლმე მას და მღეროდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხმაზე კარგად იყო.

ხოლო ეთერის არიას სტოვებენ აგრეთვე ხშირად ჩვენი ლოტბარები ან რეჟისორები. ამ უცნაური ტრადიციის მიხედვით, როგორც მითხრეს, მოსკოვის დიდ თეატრშიაც ასე მოქცეულან. ძალიან დასანანებელი გარემოებაა, რადგანაც ეთერის არია — ისე, როგორც აბესალომის არია, — შესანიშნავია თავისი მუსიკალური შინაარსითაც და დრამატიული სიტუაციის ნათელყოფითაც. უამარიოდ ვერ მიხვდებით, კმაყოფილია თუ არა ეთერი თავისი ბედისა მურმანის ხელში.

* * *

ანსამბლს იწყებს მამაკაცთა გუნდი, რომელიც ჩუმი დუდუნივით ვაი!-ვაი!-ვაი!-ს თქმით შემოდის სცენაზე. შემდეგ ქალთა გუნდიც ჩაერევა, ეთერს რომ შემოიყვანენ სცენაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ეს ვაება გაგრძელება იყოს გოდებისა, რომელიც სცენის გარეთ დაიწყო და სცენაზე შემოსვლისას უკვე მიყუჩებულ წუ-

ხილად გადაიქცა. ხოლო სასოწარკვეთილი აბესალომის დანახვისას კარის-კაცნი განაახლებენ მოთქმას, მაგრამ არა ხმამაღლა ძახილით, არამედ გულჩახვეული მდორე გუგუნით, მიტირების მსგავსად.

ამ მოთქმის მუსიკალური თემა მოკლეა, ძალიან მელოდიური და განაწილებულია მუხლობრივი წყობით ორ-სტრიქონიან ლექსზე: „რა დღე დაგვიდგა, რას მოვესწარით! ლხენა დასრულდა ნაღველ-სიმწარით!...“ ამ მელოდიის თემა მეორუ ფრაზაში იშლება („ლხენა დასრულდა...“) ნამდვილი ხალხური სიმღერის კილოდ, რომელსაც განსაკუთრებულ მეტყველებას აძლევს სიტყვა „ნაღველ“-ის ზედიზედ განმეორება საინტონაციო მახვილით. ჩვეულებრივ ლაპარაკშიაც ხომ ეს მეორე „ნაღველ“ უეჭველად განსაკუთრებულის ინტონაციით ითქმის. და საგულისხმო ის არის, რომ ხელოვანმა მცირე ნუანსით ეს ინტონაცია შესატყვისად აამეტყველა მუსიკალურ ენაზე.

გუნდი ამავე მელოდიას ზედმიყოლით იმეორებს შემდეგ სიტყვებად: „ეთერი-ქალი, გვირგვინოსანი—ვარდი შეგვექმნა ყვითელ-სოსანი“ და აქ საინტონაციო მახვილი განმეორებულ სიტყვა „ყვითელ-“ზე მოდის.

აქამდე თუ სცენაზე საერთო ბოლმა თითქო ნელი ცეცხლივით იღველფებოდა, სამაგიეროდ, როდესაც აბესალომი სასოწარკვეთილებით მიმართავს იქმყოფთ: „მიშველეთ! ეს რა შემემთხვა! რა ვჭნა, რა წყალში ჩავვარდე?“ — იგი ხანძარის ძალას იძენს.

პირდაპირ სასწაულმოქმედი ფრაზაა!

მუსიკალური ენით დრამატიული სიტუაციის ამაზე ძლიერად ასახვა ვერ წარმომიდგენია! არ დაიჯერებთ, მაგრამ ერთ საათზე მეტ ხანს ვცოდვილობდი, მთელი მეხსიერება გადავაბრუნე, ვეძებდი სხვადასხვა ცნობილ ოპე-

რეზში ასეთი ძლიერების მქონე ფრაზას, მაგრამ ამაოდ საღაც მივაგენი მსგავს რასმე, ბოლოს მაინც არ გა-მართლდა! იმის გამოსარკვევად, რომ არა ვცდები და რომ ამ მუსიკალური ფრაზით სხვა არაფრის გამოთქმა არ შეიძლება, თუ არა უკიდურესი სასოწარკვეთილებისა,— აი, რა ხერხს მივმართე: აბესალომის მუსიკალურ ფრაზას სულ სხვა შინაარსის სიტყვები მივუწერე, სახელდობრ ტრფიალებისა, მაგრამ მუსიკამ ეს სიტყვები ახლოც არ გაიკარა. მაშინ როდესაც, სხვ თპერებში ნაპოვნმა ფრა-ზებმა კარგად შეიშვნიეს უცხო შინაარსის წინადადება. მაგალითად, „ჰუგენოტებში“ ასეთივე სასოწარკვეთილე-ბის გამომეტყველი თქმაა: „Этот час так ужасен! Что де-лать мне?“ თავისთავად მუსიკა აქ მშვენიერი არის, რო-გორც დრამატიული მომენტის გამომეტყველი. მაგრამ პმ მუსიკას არა დაუშავდა რა, როდესაც შემდეგი სიტყვები მივუწერე: Я тебя люблю так страстно! Ответа жду“.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ არა იშვიათად ამათუიმ მუსიკალურ ფრაზას აზრობრივ მნიშვნელობას სიტყვები აძლევს, და იგი თავისთავად შეიძლება სულ სხვა ვითა-რებას გამოხატავდეს, ვიდრე იმას, რისთვისაც იგია გან-კუთვნილი.

აბესალომის ზემოაღნიშნულ გამოთქმაში სულ ცხრა სიტყვაა, ხოლო მუსიკალურ ფრაზაში, მიუხედავად მისი აზრობრივი მთლიანობისა, ორი სხვადასხვა, სრულიად დამოუკიდებელი თემაა: „მიშველეთ! ეს რა შემემთხვა!“ და „რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?“

„მიშველეთ!“ სიტყვის მუსიკა თავისთავად იმდენად დასრულებული თემაა, რომ ავტორს შეეძლო ამაზე გაჩე-რებულიყო დრამატიული მომენტის აღსანიშნავად. ეს იქნებოდა ფიგუროვანი რეჩიტატივი, განსაზღვრული აზ-

რის დასრულებულად გამოშატველი. და თუ მე მაინც
მას შემდეგ გამოთქმას ვუერთებ „ეს რა შემემთხვა!“, —
მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ყურში იგი „მიშველეთი“-დან
გამოძახილ ვარიაციულ თემად გაისმის:

მაგრამ კომპოზიტორი არც ამაზე ჩერდება. იგი აძ-
ლიერებს დრამატიულ მომენტს ახალი მუსიკალური თე-
მით — „რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?“ — და ნამდვილ პა-
თოსამდე აჰყავს იგი. და არა ხმაშეკიდებით, არამედ,
პირიჭით, ინტონაციის ჩავარდნით. მერე, რა საკვირველი
ბუნებრივი ინტონაციებია მოცემული, რა მშვენიერი ქარ-
თული კილოკავიანი მეტყველებაა! განსაკუთრებით უკა-
ნასკნელ განიოთქმაში — „რა წყალში ჩავვარდე?“ გეგონე-
ბათ, მართლაც, ადამიანი მორევში ეშვება და შველას
გეხვეწებათ. აი, ნამდვილი ობოლი მარგალიტი ქართული
მუსიკალური ენისა!

მაგრამ ეს მხოლოდ საუცხოო შესავალია ადამიან-
თა განუზომელი ვაებისა, რომელიც სწორედ ამის შემ-
დეგ გადაიშლება ნამდვილი მუსიკალური ტრაგედიის ჩარ-
ჩოებში.

და იმის შემდეგ, როდესაც კარის-კაცნი და სეფე-
ქალნი ვერავითარ რჩევას ვერ აძლევენ, იმეორებენ რა
თავიანთ „რა დღე დაგვიდგა“-ს, ხოლო ნათელა დედო-
ფალი, მარიხი და მურმანი, თვითეული ცალ-ცალკე, ურ-
ჩევენ — გაუშვას ეთერი... როდესაც ეს უკანასკნელი მოჰყვე-
ბა თავის მოთქმას და ამბობს „გამიშვი, მეფევ, ველად
გავიჭრა, ნადირის მსგავსად ვიარო“-ო, როდესაც მის
აჯას უერთდებიან პერსონაჟები და შემდეგ ორივე გუნ-
დიც, რომელსაც ეთერის მუსიკალური თემა, მცირედი
ვარიაციული სახეცვლილებით, ააქვს მძლავრ ასამაღლე-
ბელზე — „გაუშვი ველად“-ო... როდესაც ზენიტამდე მიღ-

წეულ საერთო ჰარში ოქტოს სოლივით შეიქვედება აბე-
სალომის ხმაშეკიდებული პროტესტი— „ვერა, ვერ შევძ-
ლებ მის გაშვებასა—“ ა, — აი, აქ კომპოზიტორის მხატვრუ-
ლი წარმოდგენა ტრაგიკული პათოსისა მუსიკაში და ძა-
ლა მისი გამოვლინებისა ბგერათა ენით შემოქმედების
ისეთ მწვერვალს აღწევს, რომ მსმენელს ერთსადაიმავე
დროს აღტაცებაც იპყრობს იმის გამო, რომ ხელოვანმა-
იგი სრული თანაზიარი გახადა თავისი მხატვრული განც-
დებისა, და გაოცებაც იმის გამო, რომ ერთ ადამიანს
შეუძლიან დაიტიოს თავის შემოქმედ არსებაში ამოდენა
ემოციები და ასეთის ძლიერებით გადმოღვაროს.

მერე, რას ამბობს ეოერი ისეთს?

ძალიან ცოტას და იმავე დროს ძალიან ბევრსაც.
ცოტას — სიტყვებით, ბევრს — მუსიკით. მაგრამ მუსიკაც
„ბევრია“ მხოლოდ თავისი საკვირველი მეტყველებით.

იგი სიმღერის კილოზეა აგებული, მუხლობრივ და-
ყოფილი. სულ ორი მუსიკალური მუხლია: პირველი („გა-
მიშვი, მეფევ, გავიჭრა ველად“) ძირითადი თემაა, ხოლო
არა დასრულებული; ამასთანავე, მეორე წინადადება „გა-
ვიჭრა ველად“ — განშეორებაა პირველი წინადადებისა,
მაგრამ ისეთი ინტონაციური ცვლილებებით, რომ ცალკე
მუხლად გეჩვენებათ. მეორე მუხლი („ნადირის მსგავსად
ვიარო“) — ვარიაციული მოქცევაა პირველი მუხლისა, ქარ-
თული სიმღერის თავისებურ კილოჩავარდნით ბოლოში.
მთელი ფრაზა იშვიათად მელოდიურია, ნიშანდობლივ
ღრმა სევდით გაუღენთილი. პირველი მუხლი, როგორც
მე მგონია, ქართული ბაიათური იერისაა, ხოლო მეორე —
ხალხური მელოდიის იერისა, განსაკუთრებით უკანასკნელ
სიტყვაში („ვიარო“).

გარნა ეს, კაეშნით მოსევადებული მოკლე მუსიკა-
ლური ფრაზა ანსამბლურ გადმოცემაში ისეა ხმებზე გან-
ლაგებული და ისეთ ბუმბერაზულ ძლიერებას ჰქონის (თუ
ორკესტრის მონაწილეობასაც დავურთავთ), რომ აღა-
მიანთა ნამდვილ გოდებად იქცევა და იმ შთაბეჭდილე-
ბას იწვევს, რაც ზევით აღვნიშნე.

თითქო ზღვარი მიღწეულია. კიდევ ერთი მეტი
აკორდი და ყველაფერი ჩაიფუშება. მაგრამ დრამატიული
კვანძი ჯერ არ გახსნილა. აი, აქ არის სწორედ საფრთ-
ხე: ისეთი არა ითქვას რა, რაც შთაბეჭდილებას არ კი
გააძლიერებს, არამედ შიანელებს.

და ავტორი ამბობს თავის აუცილებელ სათქმელს
და ამპობს ისე, რომ მას მსმენელი აჰყავს კვლავ ახალ
მწვერვალზე, რომლის სიმაღლეც უკვე მიღწეულს არ ჩა-
მოუვარდება.

ამბობს სულ სხვა ფერებით, ნაზი ლირიკული მეტ-
ყველებით, რომელშიაც შინაგანი წვა შეიძლება უფრო
ძლიერ კეცხლს გვაგრძნობინებდეს, ვიდრე ხანძრის ფარ-
თოდ გაშლილი ალეული ფრთები.

ეს არის აბესალომის ფრაზები: „რადგანაც ჩემს მზე-
საც სწადიან, მით უფრო გაჰყუევ ნებასა“ და „ჰეი-ი-ი-ი!
ვის გინდათ ქალი ეთერი, თავ ოქროს გვირგვინოსანი?“...

თუ პირველი ფრაზა ულმობელ ბეჭთან ბრძოლისა-
გან ნებისყოფაღაკარგული ადამიანის ნაიძულევი წარ-
თქმაა იმისა, რის თქმასაც ამდენ ზანს გაურბოდა; მეორე
ფრაზა უკვე გაბმული ამოძახილია სასოწარკვეთილებისა,
ბოლოში თითქო ხმის ჩავარდნით.

მე ასე ჩამესმის ყურთ ამ ფრაზების მუსიკა, მუსიკა
უაღრესად ქართული იერისა და აზრობრივი შინაარსით
სავსე.

ასევე შესანიშნავია მურმანის წამოძახილი „მე მინდა ქალი ეთერი, თავ ოქროს გვირგვინოსანი!“. რაოდენი უხამსი, ველური სიხარული გამოითქმის ამ წამოძახილში, თავდავიწყებამდე მიღწეული სიხარული და რანაირად განესხვავება იგი აბესალომის კაეშნურ კილოს! და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც აბესალომი განცვიფრებით შეჰკივლებს — „შენ?“ (ერთადერთი მშრალი რეჩიტატივი მთელს ოპერაში), მურმანი, თითქო გონს მოვიდაო, ჩქარის გამოთქმით, დაბნეულად თავს მართლულობს „ოლონდ არ გასწყრეთ, მეფეო...“ და ერთგულებას ეფიცება.

მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული ეს ფრაზა თვალ-ნათლივად უმჯდავნებს მურმანის ორჭოფულ ფსიქიურ მდგომარეობას.

აბესალომის უკანასკნელი ფრაზა ამ ანსამბლში „მურმანო! აპა ეთერი, შენთან პპოებდეს შვებასა“ — უკანასკნელი ამონაკვნესია ნაწამები გულისა, რომელმაც თითქო სიკვდილის მოახლოება იგრძნო.

* * *

თუ მეოთხე (უკანასკნელი) მოქმედების მუსიკა სიუ-შეტის დრამატიზაციის მხრით იმ ბუმბერაზული ძლიერებისა არ არის, როგორისაც მესამე მოქმედების მუსიკაა, სამაგიეროდ, თემატიკური მრავალფეროვანებით, იშვიათი კეთილხმოვანებით და ლირიკული მეტყველებით იგი უაღრესად მდიდარია და მომხიბლველი.

აქ იმოდენა მუსიკალური მასალაა მოცემული, რომ სხვა ხელმომჭირნე კომპოზიტორი ერთ კარგ სამმოქმედებიან ოპერას პირთამდე აავსებდა.

ამ მოქმედების მუსიკის სიმღიდრე მარტო ის როდია, რომ სწორედ აქ არის აბესალომისა და მურმანის

შესანიშნავი დიალოგი „მურმან, მურმან, შენსა მზესა...“, ან საკვირველი მელოდიურობით სავსე მათივე დუეტი „ამაღამდელო ლამეო...“, რომლითაც ავტორმა მოგვცა საარიო მღერისა და მელოდიური რეჩიტატივის მხარდა-მხარი შეთავსების საუცხოო ნიმუში, აგრეთვე დრამა-ტიული სიტუაციის დინამიური განვითარება და მოქმედ პირთა (აბესალომის და მურმანის) მდგომარეობის უეცა-რი გარდაქმნის სურათი, სადაც, წინააღმდეგ იმისა, რა-საც დიალოგში ვხედავთ — აბესალომის უძლურებას და მურმანის ზვიადობას, — პირიქით, აქ აბესალომი უკვე აქ-ტიურ პიროვნებად გვევლინება, ხოლო მურმანი — შიში-საგან თავზარდაცემულად.

არც მარტო იმით განისაზღვრება ამ მოქმედების მუსიკის სიმდიდრე, რომ აქვე ვისმენთ ეთერის სულიერ განცდათა გამომჟღავნებელ, ჩუმი სევდითა და მელანქო-ლიით განმსჭვალულ არიას „დედამთილი, მამამთილი...“, რომელიც უკვე ზევით აღვნიშნე, შემდეგ კი — იშვიათი სიცოცხლითა და მზიურობით. სავსე კვარტეტს „მე პა-ტარა გამომგზავნეს...“, რაც ასე დამახასიათებელია მა-რიხ-ვარსკვლავის ცხოველმყოფელი ბუნებისა, და, ბოლოს, პოლიფონიური მუსიკის შედევრს — დუეტ-ანსამბლს „წამ-წამისა და წამწამს შუა ბალი გაგიშენებია...“

ეს, ასე ვთქვათ, ის ძლიერი მუსიკალური ზვირთე-ბია, რომელთა სიღიადე და სიტურფე არ შეიძლება არ შეიცნო ოპერის პირველსავე მოსმენაზე, რაც უნდა წყალ-წალებული მსმენელი იყო, თუკი კი, რასაკვირველია, გან-გებ ბამბის ძელს არ დაიცვამ ყურში.

მაგრამ ამ დიდი ზვირთების გვერდით არის სხვა მუსიკალური ნაკადებიც, რაც, შეიძლება, მსმენელმა ერ-თის ყურმოკვრით ვერ შეამჩნიოს.

ასეთია, მაგალითად, საგუნდო ნომერი — მურმანის დედის წანას და მისივე დების სიმღერა „ქალია — ქვეყნის თვალია! რაო, თუ ქოხში მოსულა....“ მშვენიერი მოკლე მელოდიაა, რომლის მთქმელიც წანაა, ხოლო მისი ქალები მიუმღერიან უკანასკნელ მუხლს. თავისი ხასიათით იგი სავსებით შეეფერება სცენიურ მდგომარეობას — ეთერის ფარეზობას, თმის ვარცხნას. ჰანგი ბაიათური აღნავობისაა, განსაკუთრებულ მელიზმებსა და მორთულობას მოკლებული; ხოლო მელოდიის განმეორებისას, დასაწყისს ლამაზი ასამაღლებელი ფორმლაგი აქვს, რომელიც მელოდიას საუცხოოდ ამკობს და ამით თითქო მუხლებსაც განასხვაფერებს. ჰანგი მთლად ალერსით არის მოსევადებული და საამურ ნანასავით გაისმის.

აქვეა ეთერისა და აბესალომის მოკლე დიალოგი, რომელიც ეთერის ყველრებით იწყება: „რას ამივლი და ჩაშივლი მაგ თოხარიკი ცხენითა?“ ამ დიალოგში რამდენიც ფრაზაა, იმდენი ახალ-ახალი მუსიკალური თემაა, უმთავრესად ეთერის გამოთქმებში, მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული, ყველა ნამდვილი ქართული ჯიშისა. აბესალომი კი ერთსაღაიმავე მუსიკალურ ფრაზას იმეორებს: „ეთერო, გოხოვ მომისმინო!“ — და ათავებს შესანიშნავი თქმით „ღმერთმა მოჰკითხოს მას, ვინც მოგვაყენა ეს ვნება“-ო. რამდენადაც ეთერის ფრაზებია მოჩვენებული უკმაყოფილების ვითომ მკვეთრი გამომხატველი, იმდენად აბესალომის მოკლე გამოთქმები სევდით და ბედის მოჩილებით არის სავსე.

ეს დიალოგი იმით არის კიდევ საყურადღებო, რომ ეთერი მალავს ამ მკაცრ გამოთქმებში. თავის ნამდვილ ვრძნობას, მაშინ როდესაც აბესალომის გულის იარა ფითქო გადახსნილია და სისხლსა უონავს. ამის შინედვით,

ეთერის როლის გულხმიერ აღმასრულებელს შეუძლიან შექმნას მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური სიტუაცია, როგორც მუსიკალურ ფრაზებში ამათუიმ ნუანსის შეტანით, ისე სცენიური განსახიერებით.

მთელი შემდეგი სცენა — აბესალომის მიმართვა მსახურთ-უხუცესისადმი — მურმანი მომგვარეო, მსახურთ-უხუცესის მიერ მურმანის გამოძახება, მურმანის შეშფოთება და დედისადმი მიმართვა — დაკრძალვთ ქალი ეთერი, მიუალერსეთ და შეიტკბეთო, — მუსიკალურად აგებულია იმავე არიოზულ მღერაზე და ნამდვილი სიტყვა-პასუხის იერისაა, სხვადასხვა ინტონაციებით მღიდარი და თემატიკურად მრავალფეროვანი.

აღსანიშნავია აგრეთვე ნათელა - დედოფლისა და ეთერის დუეტი — „ეთერო, შემოგიარე მაგ შენი ციხის მზვარესა“. ეს დუეტი საყურადღებოა თავისებური კილოკავით, როგორც თითქო მესტვირული მღერის ანარეკლი. უმელიზმო, საკმაოდ მონოტონურ ჰანგს იერს აძლევს მელოდიის ვარიაციული მოქცევა კუპლეტის უკანასკნელ სტრიქონებზე „რად არ ნახავ შენს დარბაზსა, თემურხანის აგებულსა...“, სადაც მკვეთრად გამოკვეთილი ინტონაციები განასხვაფერებენ მთავარ მელოდიას.

შესანიშნავია დრამატიული მეტყველებით უკანასკნელი ფრაზები: აბესალომისა — „ეთერო, დახსენ გულმკერდი...“ და ეთერისა — „ველარ დავთმე ჭირთა თმენა...“, როგორც ტრაგიკული დასასრულის მაუწყებელი გამოთქმები, კვლავ ქართული ხასიათის მელოდიურ რეჩიტატივზე აგებული.

ოპერის ბოლო-სიტყვა — გუნდის საგალობელი „მათი სული, ქვეყნად ერთი...“ — მრავალ მხრით საგულისხმიერო დასასრულია. იგი არ არის მწუხარება და ზარი,

ან დრტვინვა იმ ტრაგედიის გამო, რაც ახლა მოხდა. იგი თითქმ გარინდებაა იმ საშინელი საიდუმლოების წინაშე, რომელსაც სიკვდილი ეწოდება და სასოებით მიღებაა მისი, როგორც გარდუვალი რამ მოვლენისა ყველა იმ ტანჯვა-წამების შემდეგ, რაც ტრაგედიის გმირებმა სიცოცხლეში განიცადეს. და, თუ გინდათ, იგი ჩანასახია იმ ბრწყინვალე შარავანდედისა, რომლითაც ხალხის პოეტური წარმოდგენა ჰმოსავს ლეგენდის გმირების ხსოვნას; სახელდობრ, რომ აბესალომისა და ეთერის საფლავზე ორი ვარდი ამოვიდა, ხოლო მათ შუა ასკილი (მურმანის სიმბოლო), და ვარდებს გადახვევნას უშლის. ამ საგალობელით ტრაგედიის მოწმენი თითქმ პოეტის სიტყვებით ამბობენ — სიკვდილში ჰპოვეს მათ ნეტარება და ეს იქნება თვით უკვდავებაო. საგალობელი, რაღა თქმა უნდა, ქართული გალობის საუცხოო ნიმუშია, ყოვლად ღირსი ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისა.

რასაკვირველია, ყოველივე ზემოაღნიშნულით. არ ამოიწურება მეოთხე მოქმედების ვოკალური მუსიკა. აღნიშვნელი დამრჩა კიდევ არა ერთი ღირსშესანიშნავი მუსიკალური ფრაზა.

* * *

„აბესალომის“ მუსიკის ქართულობაზე დიდი ლარის გაბმა და ხაზის გასმა საჭირო არ არის. ამის უარყოფა არავის შეუძლიან.

მთელს ოპერაში არაქართულ თემაზე აგებული ჰანგი არის: მეორე მოქმედების კვინტეტი „ღმერთმა კარგად აგვისრულოს“ და მეოთხე მოქმედების დუეტ-ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა...“

უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, შეიძლება აღვ-
ნიშნოთ კიდევ მურმანის არია „ამომავალსა მზეს სწუ-
ნობს“, მეორე მოქმედების „დიდება“ და აბესალომის
დიდი არიის („გეძებდი ბედსა“) საკანტილენო ნაწილი,
რომელთაც დაპკრავს ეკლექტური მუსიკის იერი. მაგ-
რამ, ამასთანავე, ყველა ეს ჰანგი ისეა ქართულად მო-
ზარნიშებული, რომ თუ მელოდიის მთავარ ხაზს კარგად
არ დაუკვირდით, ვერც კი შეამჩნევთ მის ეკლექტურ
ხასიათს. ამრიგად, არც ამ ნაკვეთებს შეაქვთ რაიმე დი-
სონანსი „აბესალომის“ ქართულობის მთლიანობაში.

თვით დიდებული გლინკას „ივან სუსანინში“ შეხვ-
დებით უფრო მკაფიოდ გამოთქმულ, ეგრეთწოდებულ
პირწავარღნილ „იტალიანიზმებს“. მაგალითად შესანიშ-
ნავი გამოთქმა „И миром благим процветет“, ან „Чиют
правду“ (მხოლოდ ეს ფრაზა და არა მთლად ჰანგი). მაგ-
რამ ეს იოტის ოდენათაც არ უკარგავს ამ ოპერას გან-
საცვიფრებელ რუსულ ხასიათს.

ხოლო, თუ „აბესალომის“ მუსიკის თავანკარ ქარ-
თულობაში ეჭვი არავის შეაქვს, სამაგიეროდ, ბევრსა
ჰვინია, რომ იგი მთლად აგებული იყოს ქართული სიმ-
ღერების მზა-მზა თემებზე, ე.-ი., უფრო ნათლად რომ
ვთქვათ, ვითომ ზაქარია ფალიაშვილს ამათუიმ ჰანგისათ-
ვის ან ცალკეული ფრაზისათვის აღებული ჰქონდეს ესა-
თუის გარკვეული სიმღერა და სათანადოდ გადაემუშავე-
ბინოს იგი.

„აბესალომზე“ დაბეჭდილ რეცენზიებში, ქართულა-
დაც და რუსულადაც, ხშირად შეხვდებით სიტყვა „ფოლკ-
ლორს“. მე არ ვიცი, რა მნიშვნელობით ხმარობენ რე-
ცენზენტები ამ ცნებას. ხოლო, თუ ისინი ამით გულის-
ხმობენ მზა-მზა თემების (სიმღერების) გამოყენებას, მაშინ,
რასაკვირველია, ასეთი შეხედულება უაღრესად მცოდნიდ-

პირიქით, „აბესალომში“ თავისუფალი კომპოზიციური შემოქმედება, აწონ-გაზომვით რომ ვთქვათ, ოთხმოც პროცენტს მაინც აღემატება. და რომ ეს მართალია, ამის საილუსტრაციოდ სჯობია ცოცხალ ფაქტებს მივმართოთ.

მზა სიმღერის სახით „აბესალომში“ აღებულია „მაყრული“ და „ჩაკრულო“, რომლებიც ჰარმონიზაციულად არც კია გადამუშავებული, არამედ პირწმინდად არის ჩართული სათანადო ადგილას, მხოლოდ ორკესტრის აყოლებით.

კერძოდ, „მაყრულზე“ უნდა ვთქვა, რომ იგი მეტისმეტად სადად არის მოცემული. იმ მელიზმებსა და ფორმლაგებს მოკლებულია, რომლებიც ხალხურ მღერაში ამ ჰანგს თან ახლავს და ძალიანაც ალამაზებს. „მაყრული“ ორპირად იმღერება და მეორე შემოძახილზე დამწყები ამაღლებულ ფორმლაგს უკეთებს პირველსავე ბგერას, რაც „აბესალომის“ „მაყრულში“ არ გაისმის. აგრეთვე ფრაზის დამთავრებისას ჰანგი ხვეული ბგერით თავდება თანდათან მელიზმური დაბლა დაშვებით, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი კახური სიმღერისა, მაგალითად, გრძელი „მრავალუამიერისა“.

ხოლო ასეთი ნუანსები ზაქ. ფალიაშვილმა იმიტომ არ შეიტანა თავის „მაყრულში“, რომ ოპერის გუნდისათვის მათი გადმოცემა მეტად ძნელია. საერთოდ კი, გუნდისათვის მიღებულია უფრო ნაკლებ ფიგურროვანი, სადად წერა.

სხვა? სხვა არ ვიცი. ვინც იცის — იმან დაასახელოს.

„მურმანოო“? — წამომედავება უეჭველად ვინმე.

ჰო... ეს კი... ეს სულ სხვა საქმეა.

შეიძლება თამამად ითქვას, გარდა „დიდი ანსამბლისა“, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების სიღიადე

ისე მკაფიოდ არსად გამოვლინებულა, როგორც ამ გან-
საცვიფრებელ დიალოგში.

აქ პირდაპირ სინთეზის კანონის განხორციელებას-
თან გვაჭვს საქმე.

მაგალითად, ვინმე დიდი ქიმიკოსი მარტივი ელე-
მენტების შეერთებით მიიღებს რაიმე რთულ სხეულს,
რომელიც ქიმიაში სასწაულს მოახდენს...

განა ეს თავისუფალი შემოქმედება არ არის?!

თქვენ აიღეთ „მურმან, მურმან, შენსა მზესა...“, რო-
გორც სიმღერა და შეადარეთ „აბესალომის“, „მურმანოს“
და მაშინ ნახავთ, თუ რა შემოქმედია ზაქ. ფალიაშვილი
სწორედ აი, ამ სინთეზის კანონის მიხედვით.

მთელი სიმღერიდან აღებულია დასაწყისი ფრაზა.
და, სამაგიეროდ, ჩვენ მივიღეთ არა მარტო სმენის და-
მატკბობელი მელოდია, არამედ რთული მუსიკალური
„სხეული“, რომელიც თვალწინ გვიშლის უალრესად დრა-
მატიულ მდგომარეობაში მყოფი ორი ადამიანის ნამდვილ
გულისთქმასა და გრძნობას. თქვენ შეადარეთ აბესალო-
მის მწუხარებით სავსე შეკითხვის კილო და მისი ვარია-
ციული გამოძახილები დიალოგის განვითარების მანძილ-
ზე—მურმანის გულზვიად პასუხების კილოს და აშკარად
დაინახავთ, რა სხვადასხვა სულისკვეთება ამოძრავებთ
მათ, რა სხვადასხვანი არიან ისინი თავიანთი ადამიანუ-
რი ბუნებით და რა სხვადასხვანაირია ერთიდაიგივე დრა-
მატიული სიტუაციის ანარეკლი აშ ორ ადამიანში.

სწორედ ეს შედარება გიჩვენებთ, როგორ გადნა,
როგორ ჩაიშალა რთულ სხეულში ის მარტივი
ელემენტი, რომელიც დიდმა ხელოვანმა ხალხური
საგანძურიდან ამოიღო.

დე, ყველა ჩვენმა კომპოზიტორმა, ძველმა თუ
ახალმა, ასეთ მარტივ ელემენტებზე ააგოს თავისი ნაწარ-

შოები, თანაც ასეთივე რთული მუსიკალური სხეული შექმნას და დარწმუნებული ვარ, ქართული მუსიკა ისევე გადიადდება და თითონ კომპოზიტორიც ისევე დიდი შემოქმედი იქნება, როგორც „აბესალომმა“ გააღიადა ჩვენი მუსიკა და როგორც მისი ავტორი იყო დიდი შემოქმედი.

ასე რომ არ იყოს, მაშინ გლინკას შესანიშნავი სიმფონიატა „კამარინსკაია“ თავისუფალი შემოქმედება არა ყოფილა, ვინაიდან აქ თემა აღებულია მხა ხალხური სიმღერიდან. მაგრამ ამის თქმას ვინ გაბედავს, თუ არა ის, ვინც მხოლოდ ამ ხალხური სიმღერის ანარეკლის მეტს ვერას ხედავს დიდ ნაწარმოებში.

მე პირადად ამგვარი სინთეტიური გამოძახილები, ხოლო არა ასე ნათლად, „აბესალომის“ სხვა ჰანგებშიაც მესმის. მაგალითად, გუნდის სიმღერაში „რა დღე დაგვიდგა, რას მოვესწარით! ლხენა დასრულდა ნალველ-სიმწარით!“ აქ ბოლო თითქო შორეული ანარეკლი უნდა იყოს „გაფრინდი, შავო შერცხალო“-ს ბოლოსივე, ან, როგორც ზევითაც აღვნიშნე, დასაწყისი აბესალომის ფრაზისა „ჰეი-ი-ი! ვის გინდათ ქალი ეთერი..“ — „მუმლი მუხასა“-ს დასაწყისისა, მაგრამ გადაჭრით მაინც ამის თქმა არ შემიძლიან.

აგრეთვე, თითქო რომელღაც საგალობელს [შეიძლება, „შენ ხარ ვენახი“ იყოს] ეხმაურება აბესალომის მიმართვა ეთერისადმი მეორე სურათში „ეთერო, შენსა ღალატსა...“

ხოლო საიდან არის ისეთი დიდი, თუ რთული „სხეული“, როგორიცაა „მურმანოს“ გაგრძელება, დუეტი „ამაღლამდელო ლამეო...“, სულ სხვა თემებზე და რიტმზე აგებული და ისევე მომხიბლავი, ვით „მურმანო“?

საიდან არის ცქრიალა მარიშის ცქრიალა კანცონეტა „საყვარელო გულისა...“ და ასეთივე კვარტეტი „მე პატარა გამომგზავნეს...“?

საიდან არის ნამდვილი მოთქმა აბესალომის ტანჯული გულისა „ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად“ და ეთერის კაეშნური „დედამთილი, მამამთილი“... ან მისივე „დედინაცვალი – თვალში ნაცარი...“?

საიდან არის პირველი ორი სურათის მთელი მუსიკა შესანიშნავი დიალოგებით და ცალკეული ფრაზებით?

საიდან არის დიდი კომპოზიციური ოსტატობით გაკეთებული და ნარნარი, ხანმოკლე და თითქო ამის გამო სევდანარევი სიხარულით განმსჭვალული დუეტ-ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა ბალი გაგიშენებია...“?

საიდან არის თავისი ძლიერებით თავბრუდამხვევი „დიდი ანსამბლი“?

საიდან არის, დაბოლოს, სხვადასხვა პერსონაჟების აუარებელი დიალოგი თუ ცალკეული ფრაზა, რაც „აბესალომის“ მკვიდრ და სრულიად ორიგინალურ საძირკველს შეაღენს?

მე ვიცი, საიდანაც არის!

იგია ზაქარია ფალიაშვილის მხატვრული შემოქმედების ლაბორატორიიდან, რომელმაც ქართული ზოგადი სიმღერა აითვისა თავის საშოში, ვით გასანაყოფიერებელი რამ თესლი, ჰკვება იგი თავისი სისხლით და ტვინით და ჰშვა უკვე არა თესლი, არამედ ნაყოფი მშვენიერი!

* * *

ახლა დროა, თავი მოვუყაროთ ერთ მთლიან დასკვნად ამ ნაწერში ქაოტურად გაბნეულ აზრებს „აბესა-

ლომის“ ვოკალურ, ანუ, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ხმიერ“ მუსიკაზე.

მე მგონია, ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ სტრუქტურულად აგებულია ეგრეთწოდებული „დიდი ოპერის“ (ოპერა-სერია) ყაიდაზე, ვინაიდან აქ ჩვენ გვაქვს ყველა ის მუსიკალური ფორმა, რაც ამ სახის ოპერას ახასიათებს: არია, დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, ანსამბლი და სხვ.

მაგრამ მისი მუსიკა მოცემულია უპირატესად „მუსიკალური დრამის“ უმთავრესი ფორმით—არიოზული მღერით, მელოდიური რეჩიტატივით. ეს მელოდიური რეჩიტატივი, როგორც საერთოდ ქართული მელოდიის განსხვავებული სახის ანარეკლი, მრავალფიგუროვანია, ამიტომ მეტად კეთილხმოვანი და თავისი მეტყველებით სიძლერას უახლოვდება.

„აბესალომის“ მუსიკა ლირიკულია, როგორც თვით დრამის სიუჟეტიც, ხოლო ეს სრულიადაც არ უშლის ავტორს აიყვანოს მისი მეტყველება ნამდვილ ტრაგიკულ პათოსამდე, როდესაც ამას სცენიური სიტუაცია მოითხოვს.

მუსიკა უაღრესად ქართულია და ერთი-ორი ნაკვეთი, რომლის ძირითადი თემა ეკლექტური მუსიკის ხასიათისაა, მაინც ისეა შეზავებული და ქართული მელოდიის დამახასიათებელი მელიზმებით მორთული, რომ სრულიად ბუნებრივად ეკილოკავება ოპერის მთლიან მეტყველებას—ქართული მუსიკის ენას.

„აბესალომის“ მუსიკა მეტისმეტად მდიდარია თემატიკით. ამმხრივ, ე.-ი. თემატიკის ორიგინალობით, იგი სულ ახალი სიტყვაა საერთოდ მუსიკის სფეროში, ვინაიდან იგი, არის რა სრულიად სხვა სახისა, ვიდრე ევრო-

პული და რუსული მუსიკა,—ძირითადად განესხვავება გრეთვე ამ ორ მუსიკაში კარგად ცნობილ, ეგრეთწოდებულ აღმოსავლურ მუსიკას, როგორც აღნაგობით, ისე მეტყველებით.

* * *

P. S. ორ კეს ტრიო?—იყითხავს, აღბათ, შეითხვილი, თუ კი ვინმე თავს შეიწუხებს და ბოლომდე ჩაიკითხავს ამ წიგნს.

დიალ, ამოდენა ნაწერში ცრსად კრინტი არ დამიძრავს „აბესალომის“ ინსტრუმენტალურ მუსიკაზე და ეს ხომ ოპერის განუთვითებელი ნაწილია.

არ დამიძრავს იმიტომ, რომ არასპეციალისტისათვის ეს თითქმის დაუძლეველი ამოცანაა. ამათუიმ ხმიერ მელოდიაზე ჩემისთანა პროფესიანური კიდევ შეიძლება როგორმე გატელოს „თავისი შთაბეჭდილების“ გამოთქმა, მაგრამ რა უნდა სთქვას ინსტრუმენტალურ მუსიკაზე, როდესაც, როგორც ატყვიან ხოლმე, დოლს სალამურისაგან ვერ არჩევსო.

ხოლო ვგრძნობ, რომ მაინც უნდა ითქვას რამე, რათა წერილი მთლად „უკუდო“ არ გამოვიდეს. სულ ერთია, ბევრი რამ გავბედე აქამდე დილეტანტური და დეე, ცსეც ამ ბევრთან იყოს.

სპეციალისტების აზრით, ზაქარია ფალიაშვილი ჩინებული ინსტრუმენტალისტია. ამას ისინიც კი აღიარებენ, ვინც საერთოდ თვალამრეზით უყურებს მის შემოქმედებას.

მე რაღა მეთქმის ამის შემდეგ?

ოღონდაც, რომ ეს ჭეშმარიტებაა.

მართალია, ზაქარია ფალიაშვილის ორკესტრი რაჟირდ ვაგნერის ორკესტრი არ არის, ძალიან დიდი მანძილია მათ შორის. მაგრამ არც ის არის, რომ იგი ძველი იტალიელი კომპოზიტორებივით შარტო ვოკალური მელოდიის იოლ აკომპანიმენტს სჯერდებოდეს. თავისი იერით და აღნაგობით მისი ორკესტრი „დიდი ოპერის“ ტრადიციებს მისდევს.

თუ ხშირად მისი ორკესტრი ვოკალურ ფრაზას პარალელურად იმეორებს, აგრეთვე ძალიან ხშირად იგი იძლევა ამ ფრაზის სახეცვლილ ვარიაციულ გამოძახილებს და ფრაზის დამატებად და განსავითარებლად ჰქმნის ამათუმი ახალ ფიგურაციას, რომელიც აძლიერებს შთაბეჭდილებას, განასხვაფერებს რა ხმიერი ფრაზის შინაარსს. განსაკუთრებულის ძლიერებით ეს გამოითქმის რიტურნელებისა და სცენური პაუზების დროს.

აღნიშნავენ ორგანის გავლენას ზაქარია ფალიაშვილის საორკესტრო მუსიკაზე. ეს არც გასაკვირველია და არც ნაკლად ჩაითვლება. ძველი კლასიკოსების ორგანულ მუსიკაზე აღზრდილს და თითონაც ორგანისტს, ზაქარია ფალიაშვილს არ შეეძლო არ აეთვისებინა ამ მიმართულების სუკეთესო ტრადიციები.

„აბესალომში“ ამ სტილის გავლენა ეტყობა მხოლოდ ანსამბლებს, მაგალითად მეორე მოქმედების „დიდებასა“ და „მაყრულს“ და მესამე მოქმედების „დიდ ანსამბლს“.

და იქნება, ნაწილობრივ, სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს ნაკვეთები დიდის ექსპრესიით და მონუმენტალურად მეტყველებენ.

აგრეთვე ზაქარია ფალიაშვილს (ამმხრივ უკვე ვაგნერის გავლენით) დიდი მიდრეკილება ჰქონდა სპილენძის

ჩასაბერი საკრავებისადმი და ხანდახან ერთსაღაიმავე ტემბრის საკრავს რამდენსამეს ერთად იყენებდა ხოლმე. საცრის ოდ, ქართული ჰაეროვანი მელოდიისათვის ეს, შეიძლება, ზედმეტი ტვირთი იყო. ამიტომაც მისმა ქმამ, სახ. არტ. ვანო ფალიაშვილმა, როცა „აბესალომის“ ლოტბარობას ხელი მოჰკიდა (წინად ამ ოპერას თვით ზაქარია ლოტბარობდა), განტვირთა ორკესტრი ამ ზედ-მეტი ბარგისაგან და ეს ტრადიციად გადაიქცა სხვა ლოტბარებისთვისაც.

„აბესალომის“ ცალკეულ ინსტრუმენტალურ ნომ-რებში შესანიშნავია ოპერის მოკლე წესავალი, თუ არ ვცდები, „შენ გიგალობ“-ის შორეული გამოძახილი. აგ-რეთვე მეორე სურათის სულ პაწია, მშვენიერი ინტერმე-ცო აბესალომის შემოსცლის წინ, სავსებით ეკლექტური ხასიათისა, რომლის ბოლოშიაც, როგორც მე მგონია, ცხენის ჭენების ხმა გაისმის. და, ბოლოს, ოპერის ფინა-ლი, სცენიური მომენტის შესაფერი ტრაგიკული აკორ-დებით სავსე.

საუცხოოა აგრეთვე, „საყვარელო გულისა“, „კვარ-ტეტისა“, „დედამთილი, მამამთილი“-სა და „ქალია-ქვეყ-ნის თვალია“-ს დაისტრუმენტება.

დაგვერჩა ბალეტი. იგი მოცემულია „ლეკურის“ და, როგორც თითონ ზაქარია იტყოდა ხოლმე, „მირზაიას“ კახით.

ეს საბალეტო ნიმერი არა მარტო ჩინებული სა-ცეკვაოა, არამედ ავტორვე საუცხოო სიმფონიური მუსი-კაა. განსაკუთრებით „ლეკურია“ მდიდარი მრავალი მუ-სიკალური ფიგურაციით. აქ გაისმის ანწუჯხური, დუდუ-კური და ზურნული ლეკურის მელოდიები, რთულ ჰარ-

მონიზაციად გახაწილებული უპირატესად სიმიან და ხის ჩასაბერ საკრავებზე.

ბალეტი იწყება „ლეკურით“. შემდეგ უდაჯიოს სახით მოცემულია „მირზაია“ *), მუსიკალურად აღმოსავლური ხასიათისა, უფრო ლამაზი პლასტიკური მოძრაობისა და სურათოვანი პოზებისათვის განკუთვნილი, ვიდრე ფეხის თამაშისათვის. თავდება ბალეტი კვლავ ლეკურით.

„ლეკურის“ მკვირცხლი რიტმი და მუსიკალური „ჩუქურთმები“ და „მირზაიას“ სალივლივო მიმოხვრის შესაბამი ფიგურაციები, ადგილ-ადგილ მკვეთრი აქცენტებით, აშკარად გვიჩვენებს, რომ ზაქარია ფალიაშვილის მხატვრულ ხილვას ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა ამ ორივე ცეკვის ბუნება—გარეგანი ფორმაც და იდეური შინაარსიც.


19--IX—39 წ.

თბილისი.

*) აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა გამახსენა კერძო საუბარში, რომ ამ „მირზაიასათვის“ განსვენებულ კომპოზიტორს გამოყენებული აქვს თემა ხალხური მგზავრული სიმღერისა „იშითა და კინტრიშითა“, რომელიც მე პირადად ამ 40—45 წლის წინად მომისმენია კახეთში. ხოლო კომპოზიტორის ჰარმონიზაციაში იგი ისეა. გადაკეთებული, ისეთი რიტმით და ახალი თავისებური ფიგურაციებით არის მოცემული, რომ უკეთესად აღმოსავლური საცეკვაოს იერით იმოსება.



ზაქარია ფალაშვილის მე ნნის ფოტო-სურათი,
როცა „აბგუსალომ და ეთერი“ იწერობოდა.



ზაქარია ფალიაშვილის ხელით დაწერილი პირველი კლავირი
„აბესალომ და ეთერისა“.

ART. 19. 19. 19. 19.

PIANO

Pieludum

Adagio di molto religioso

Flute	Bassoon	Clarinet	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano	Bassoon	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano	Flute	Bassoon	Clarinet	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano
Demi	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Baritone	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Bassoon	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Tenor	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

Adagio di molto religioso

Flute	Bassoon	Clarinet	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano	Bassoon	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano	Flute	Bassoon	Clarinet	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano
Demi	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Baritone	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Bassoon	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Tenor	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-


Adagio di molto religioso

Flute	Bassoon	Clarinet	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano	Bassoon	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano	Flute	Bassoon	Clarinet	Violin	Cello	Tenor	Bass	Soprano
Demi	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Baritone	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Bassoon	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Tenor	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ჩაქარია ფალიაშვილის ხელით დაწერილი ნოტები „აბესალომ
და ეთერის“ პრელიუდისა.



ზაქარია ფულიაშვილის სამუშაო ოთახის კუთხე.



პეტრე მირიანაშვილი, „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს
ავტორი.



ବ୍ୟାକ୍‌ରାଜୀର ପ୍ରାଣିଶୁଦ୍ଧିକୁ ଆଶ୍ୱରାଲନ୍ତ ଓ ଉତ୍ସବରେ “ବିରାଜରୀର” ଲାଭଗ୍ରହିଳ ମନ୍ଦରୀଙ୍କୁ ଶରୀରିଲା.



სახალხო არტისტი ვანო სარაჯიშვილი აბესალომის როლში.




სახალხო არტისტი სანდრო ინაშვილი მურმანის
როლში.




სახალხო არტისტი ოლგა ბახუტაშვილი-შულგინა
ეთერის როლში.



სახალხო არტისტი ვანო ფალიაშვილი, „აბესალომ და ეთერის“
დირიჟორი.



თბილისის გ. ფალაშვილის სახელობის რაზრისა და ბალვანის
ლეპტინის როლენოსანი სახელმწიფო თეატრის შენობა,



“საბუსალომ და ეთერი” სსრ გაცნილის დიდი თეატრის სცენაზე (მოსკოვი). პირველი მჯრელების
I სურათის დეკორაცია. ფანქრით ნაჩატი მხატვ. რინდინისა.




სრ კუშირის დიდი თეატრის (მოსკოვში) მაცხოველთა დაჩანაზი „აბესალომ და ეფერის“ ჩუქულად დაღმის დროს, მე-3 მიუმელების ფონზე.



„აბესალომ და ეთერი“ სსრ გაფშირის დიდი თეატრის სცენაზე (მოსკოვში). პირველი მოქმედების I სურათის დასრულავა. ფანქრით ნახატი მხატვ. რინდინისა.





“აბესალომ და ეთერი” სარ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე (მოსკოვში). პირველი მოქმედების მე-II სურათ.



„აბესალომ და ეთერი“ სსრ კავშირის დიდი ესტრის სკუმაზე (მოსკოვში). მუ-II. მაქტელება.

ମୁଦ୍ରଣକାରୀ ପତ୍ରିକାରେ ଏହାର ପରିଚୟ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି ।





“**ପାଦ୍ମଶିଖ**” ନାମରେ ପାଦ୍ମଶିଖ ଜଗତକାଳୀନ ଲୋକ ଯେହାଠରୀରୁ ଉପରେଥିବାରୁ (ଥରସକ୍ଷମତା), ପଦ୍ମ-IV ପଦ୍ମମନ୍ତ୍ରିଲେଖା,



„აბესალომ და ეთერი“ სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე (მოს ფოვში). რსფსრ-ის სახ. არტ. ნ. ს. წანაევი აბესალომის როლში და რსფსრ დამს. არტ. გ. დ. კრუგლიკოვა ეთერის როლში.



„აბესალომ და ეთერი“ სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე
(მოსკოვში). მოცეკვავენი: მ. სემიონოვა და ა. კუჩინეცოვი.



„აბესალომ. და ეთერის“ ნაბეჭდი კლავირი.

6 356.

78
8 971

И. ЗУРАБИШВИЛИ

Опера Захария Палиашвили
«АВЕСАЛОМ И ЭТЕРИ»

на грузинском языке

Издат. «Театръ да Шромъ»
Тбилиси 1941